ფოსტის წყალობით

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

კომუნისტი

ს. ს. ს. ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და სა საქ. მ., გ., წ. არ. და მაზრ' დეპ. საბ. ცაკის ორგანო

რედაქცია ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული. რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 9-დან 10 საათამდე. ტელეფონი 14—76. რედაქტორის. 10—58. მდივნის.

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 10—49. ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 30 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 40 კ. კოლექტ. ხელის მომწ. 80 კ.; ქალაქს გარეშე მცხოვრე თვის 90 კაპ. განცხადება 20 კ. ჩვეულებრივ მომპარულის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 2 საათ.

გაზეთის დღევანდელი №-რი შეიცავს 6 გვერდს.

საფრანგეთი ყოველგვარ საშუალებას ხმარობს რათა ხელი შეუშალოს რუსეთ-ჩინეთის შეთანხმებას.
რუმინეთის დედა-ქალაქში ბუქარესტში გამოიცემა ... ხაალუდ წესები.
გერმანიაში გრძელდება სხვადასხვა წარმოებათა მუშების გაფიცვა; ფართო ხასიათი მიიღო რკინისგზელთა მოძრაობამ.
იტალიის პარლამენტის არჩევნებში ფაშისტებმა მიიღეს ხმების ორი მესამედი.

№ 80 (935) ოთხშაბათი 9 აპრილი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 80 (935)

საქართველოს კომპარტიის (ბ) ტფილისის კომიტეტმა დაადგინა მოიწვიოს ა. | წ. 21 აპრილს

ტფილისის ორგანიზაციის (ქალაქის და მაზრის) პარტიული კონფერენცია

დღის წესრიგი: 1. საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანები. 2. ტფილისის კომიტეტის ანგარიში. 3 საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ფრაქციის ბიუროს მოხსენება. 4 პარტიული აღმშენებლობა. 5. არჩევნები წარმომადგენლობის ნორმა 20 დან.—1.

ტფილისის პარტიულ კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევნები ხდება რაიონულ პარტკონფერენციებზე შემდეგი წარმომადგენლობით ხუთიდან—1

პარტიაში ახლად მიღებულ წევრებს მონაწილეობა ღებენ კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევნებში.

რაიონულმა კონფერენციებმა უნდა დაამთავრონ თავისი მუშაობა არა უგვიანეს 19 აპრილისა.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუხაძე.

ფულის რეფორმის გარშემო

III

ფულის რეფორმა და სახელმწიფო საკრედიტო ოპერაციები

ჩვენ უკვე ვწერდით („კომუნისტი“ № 77): „...ვერავითარი ვალიუტა, ვერავითარი რეფორმა ვერ იხსნის მდგომარეობას, თუ „საემისიო მეურნეობა“, ფულების გამოშვება გაგრძელდა იმ მიზნით, რომ დაფარული იქნეს სახელმწიფოს დეფიციტი“ თქო. სწორედ „სოვზნაკებისა“ და ბონების ბეჭდვა ჩვენი დეფიციტიანი ბიუჯეტის გამოსასწორებლად, იმ ხარჯების დასაფარავად, რომლებსაც არ ყოფნიდა ჩვენი შემოსავლის წყაროები—იყო მიზეზი, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი, ქაღალდის ფულის ფასების დაცემისა. ჩერვონეცსაც, ხმარებაში შემოსულ ამ მაგარ ვალიუტასაც და სახაზინო ნიშნებს, ეწევა იგივე ბედი, რაც ბონებს, თუ მათი გამოშვება გაგრძელდა დეფიციტის დასაფარავად და არა საქონლის ტრიალის მოსაწესრიგებლად და გასაფართოებლად, არა საშუალებათ აღებ-მიცემობისათვის. სწორედ ასეთი როლი აქვს მას მინიჭებული და მისი ბეჭდვა არის სასტიკად გამონაგარიშებული. მისი გამოშვება შეზღუდულია იმ რაოდენობით, რომელიც ესაჭიროება საქონლის ტრიალს და რამდენიც აუცილებელია სახალხო მეურნეობისთვის მინიმალური კრედიტის მისაცემად. ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაშიც ბანკნოტი უზრუნველყოფილია ოქრო-ვერცხლით და ფასიანი ქაღალდებით, აძლევს მას ხასიათს მაგარი ვალიუტისას, ის არის სწორეთ ასეთი მაგარი ვალიუტა. იმ მომენტიდან, როდესაც დაცული არ იქნება ასეთი წესი ჩერვონეცის და მისი ხურდა ნაწილების გამოშვებისა, ეს ვალიუტა შესდგება „სოვზნაკისა“ და ბონების „გზაზე“ და მას ეწევა მათი ბედი.

ამნაირათ, ბიუჯეტი უდეფიციტო ან მცირე დეფიციტიანი—არის აუცილებელი პირობა ჩვენი ფულის რეფორმის წარმატებით გატარებისა ე. ი. მტკიცე ფულის არსებობის.

მაგრამ არის ჩვენი ბიუჯეტი—დღეს უკვე კავშირის მთლიანი ბიუჯეტი (იხ. გუშინდელი ტელეგრამა მოსკოვიდან)—უდეფიციტო? არა. კერძოთ ამიერკავკასიის სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვა გვიჩვენებს მაგ. მარტის განმავლობაში დაახლოვებით 50 პროცენტს დეფიციტისას, ხოლო მთელი დანარჩენი კავშირის—დაახლოებით 17 პროცენტს. თუ ეს გასავალი დაიფარა ისევ ემისიით, ცხადია ვალიუტა შეირყევა, მისი ფასი ძირს წავა. საჭიროა ამიტომ სხვა ღონისძიება დეფიციტის დასაფარავად და წონასწორობის მიღწევა სახელმწიფოს ხარჯთაღრიცხვაში. ერთი უმთავრესი ზომა ამ მიმართულებით არის საკრედიტო ოპერაციები, რომელსაც მიმართავს სახელმწიფო შინაური სესხის სახით.

საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში ჩვენ უკვე გვქონდა რამოდენიმე მაგალითი ასეთი სესხის აღებისა შინაურ ბაზარზე. მას შემდეგ, რაც შეუძლებელი შეიქნა საგარეო სესხი, რადგან ასეთი სესხის საფასურად, მის „სარგებლად“ იმპერიალისტები ჩვენგან მოითხოვდნენ ფაქტიურად კოლონიალურ მდგომარეობაში ჩაყენებას, ქვეყნის სიმდიდრეთა გადაყლაპვას, რევოლიუციის მონაპოვართა დასამარებას და მუშურ-გლეხური ხელისუფლების მოსპობას—ჩვენ იძულებული შევიქენით დავყრდნობოდით ჩვენ საკუთარ ძალებზე, შინაური ბაზრის შესაძლებლობაზე, შინაური საკრედიტო ოპერაციების გატარებაზე. ყველა ცდა ამ სფეროში დღემდე დათავდა გამარჯვებით. პურის სესხი, ოქროს სესხი და სხვ. როგორც ცენტრალური მთავრობის ისე ხელისუფლების ზოგი ადგილობრივი ორგანოების მიერ დაწყებული, სრული წარმატებით დასრულდა დღემდე. სახელმწიფოს განმტკიცება შიგნით და გარეთ, ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის განვითარება ეს ისეთი ფაქტორებია კავშირის ცხოვრებაში, რომ საბჭოთა ქვეყნის მოქალაქე იმედით და ნდობით ეპყრობა მთავრობას.

პირველი გამოცდა ამ ნდობისა იყო პურის სესხი, რომელთან დაკავშირებული იმედები სრულიად გაამართლა სახელმწიფომ თანახმად თავისი დაპირებებისა. ამნაირად მისი კრედიტი გაიზარდა, შესაძლებელი შეიქნა მთელი რიგი სესხის აღება, მით უმეტეს, რომ მათი პირობები ყოველმხრივ ხელსაყრელი აღმოჩნდა კრედიტორებისათვის. გადაუმეტებლათ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ფულის ფასების დაცემის პირობებში სხვადასხვა სესხის ობლიგაციები ერთერთი სერიოზული და საიმედო საშუალება იყო ზედმეტი ქონების დაგროვებისა და შენახვისა, როგორც გლეხებისა და მუშებისათვის, ისე ყველა მოქალაქეთათვის. რასაკვირველია, მსხვილი ვაჭარ-სპეკულიანტები ეტანებოდნენ უცხოეთის ვალიუტას, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში, როგორც ეს უკვე აღნიშნული გვქონდა, ეს უცხო ვალიუტაც შეირყა ისეთ ცენტრებში, როგორც ლენინგრადი და მოსკოვია. ამნაირათ ყველამ პირი იბრუნა ჩერვონეცისაკენ.

ეს გარემოება სესხის ობლიგაციებსაც უხსნის გზას იმათკენ, ვინც დღემდე ალმაცერათ უყურებდა საბჭოთა მტკიცე ფულის ნიშანს. ასეთ პირობებში, საკმაო გამოცდილების მიღებისა და ნდობის მოპოვების შემდეგ, მიმართავს დღესაც საბჭოთა კავშირი სესხის გამოშვებას შინაურ ბაზარზე. ერთი ასეთია ამ უკანასკნელ ხანებში ე. წ. საგლეხო სესხი ორმოცდაათ მილიონ ოქროს მანეთის რაოდენობით. ჩვენ შევეხებით ცალკე წერილში მის მნიშვნელობასა და იმ უპირატესობას, რომელსაც ანიჭებს მთავრობა ამ სესხის ობლიგაციებზე ხელის მომწერთ. ვიტყვით აქ მხოლოთ, რომ ღონისძიებათა იმ საერთო სისტემაში, რომელსაც მიმართავს დღეს მთავრობა საბჭოთა ფინანსების გაჯანსაღების მიზნით, კერძოთ დღეს ფულის რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით და ამნაირად მთელი სახალხო მეურნეობის აღორძინებლად, საკრედიტო ოპერაციებს აქვს უდიდესი მნიშვნელობა და ამ ზომებს ხელი უნდა შეუწყოს ყველამ, ვინც დაინტერესებულია საბჭოთა კავშირის განვითარებაში და განმტკიცებაში.

პირველ ყოვლისა, ეს შეეხება მუშებსა და გლეხებს. მხოლოდ მათი აქტიური დახმარებით მიაღწევს მათი სახელმწიფო დასახულ მიზანს.

სასოფლო მეურნეობის განვითარებისთვის

ამ დღეებში დასრულდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მიწადმოქმედების კომისარიატების წარმომადგენელთა ყრილობა.

რესპუბლიკანური მიწად-მოქმედების კომისარიატები დამოუკიდებელი არიან, როგორც ამიერკავკასიის, ისე საკავშირო მთავრობებისაგან.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ არაფერი ჰქონდეთ საერთო და ჩაიკეტონ, გაიმიჯნონ ერთი მეორისაგან ჩინური კედლებით.

საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა და მიზანი სასოფლო მეურნეობის დარგში, როგორც სხვა დარგებშიც, არსებითად ერთი და იგივეა. მარტო ეს გარემოება ქმნის საერთო ნიადაგს მიწადმოქმედების კომისარიატების შეთანხმებული მუშაობისათვის.

გაზიარება ურთიერთ შორის თვითეულ რესპუბლიკაში შეძენილ გამოცდილებისა ამ სფეროში, გაცნობა მიღებულ ღონისძიებათა, მიღწევების თუ შეცდომების—ფრიად საჭიროა სასოფლო-მეურნეობის ამა თუ იმ საკითხზე ზოგადი სწორი პოლიტიკის გამოსამუშავებლად და მთელ რიგ, ცხოვრების მიერ წამოყენებულ პრობლემათა მიზანშეწონილი გადაჭრისათვის.

ამასთან არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ჩვენი რესპუბლიკები მთლიან ეკონომიურ ორგანიზმს წარმოადგენენ, გაერთიანებული გვაქვს ეკონომიკის მთავარი დარგები, და სასოფლო-მეურნეობის მრავალი საკითხების გადაჭრის დროს უნდა გამოვდიოდეთ ამიერკავკასიის ამ ერთიანი ეკონომიური სისტემის ფაქტიდან და თვითეულ რესპუბლიკის მიწადმოქმედების კომისარიატმა შეუფარდოს თავისი საქმიანობა საერთო სამეურნეო პოლიტიკას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-მეურნეობის მთელი რიგი საკითხების წარმატებით მოგვარება ამა თუ იმ რესპუბლიკაში შესაძლებელია მხოლოდ საერთო, ამიერკავკასიის მასშტაბით, მასში შემავალ ყველა რესპუბლიკათა ურთიერთი შეთანხმებით.

ამიტომაც საჭირო გახდა რესპუბლიკანურ მიწად-მოქმედების კომისარიატების წარმომადგენელთა ყრილობის მიწვევა სასოფლო მეურნეობის დარგში წამოჭრილ ზოგიერთი საკითხების საერთო ძალღონით განსახილველად.

ყრილობამ გაარჩია მრავალი საჭირბოროტო საკითხი.

ავიღოთ, მაგ., საძოვრების მდგომარეობა ამიერკავკასიაში.

საძოვრების საკითხთან მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთი დიდი დარგი მეურნეობისა, როგორიცაა მესაქონლეობა-მეჯოგეობა.

ჩვენში მესაქონლეობა საგრძნობლად დაცემულია, საქონლის რაოდენობა მნიშვნელოვანად შემცირებული.

სხვა მიზეზებს გარდა აქ დიდ როლს თამაშობს საძოვრების საქმის მოუგვარებლობა.

გარდა იმისა, რომ საჭიროა თვითეულ რესპუბლიკაში საძოვრების მოვლა-დაცვა, მათ სარგებლობის რიგიანი პირობების შექმნა,—აუცილებელია საძოვრებით სარგებლობის მოგვარება ამიერკავკასიის მასშტაბით, ვინაიდან ერთი რესპუბლიკის მესაქონლეობა ვერ ეტევა საკუთარ ფარგლებში და თავის არსებობა-განვითარებისათვის მოითხოვს მეზობელ ქვეყნის საძოვრებს.

ყრილობამ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და მიიღო ზომები, მესაქონლეობის აღორძინებისათვის ხელსაყრელ პირობების შესაქმნელად, საძოვრების საკითხის გადაჭრისათვის ამიერ-კავკასიის მასშტაბით.

ყრილობამ განიხილა მთელი რიგი სხვა საკითხები: აგრონომიული დახმარება, კრედიტის მიცემა სასოფლო მეურნეობისთვის, ბრძოლა სასოფლო-მეურნეობის მავნებლებთან, ვეტერინარულ საქმის უკეთ დაყენება, ტყეების მოშენება-დაცვა და მათი რაციონალური ექსპლოატაცია, ძვირფას კულტურებისთვის ხელისშეწყობა, და სხვა.

ცალკე რესპუბლიკებში მოპოვებულ მდიდარი გამოცდილების მიხედვით, გამოტანილ იქნა ამ საკითხებზე მნიშვნელოვანი პრაქტიკული გადაწყვეტილებანი და რეზოლიუციები.

საბჭოთა ხელისუფლების ყურადღების ცენტრში დგანან დღეს გლეხური და საერთოდ სასოფლო მეურნეობის განვითარების საკითხები.

ყრილობამ ამ მხრივ დასახა უდიდესი ამოცანები და მიგვითითა მათ განსახორციელებელ საშუალებებზე.

საბჭოთა მთავრობა და მისი ორგანოები—მიწადმოქმედების კომისარიატები, როგორც თვითეული ცალცალკე, ისე საერთო ძალღონით შეეცდებიან ამ მიმართულებით შემუშავებულ ღონისძიებათა გატარებას ცხოვრებაში.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ შემთხვევაში დაცული იქნება როგორც თვითეული რესპუბლიკის განსაკუთრებული, ისე მთელი ამიერ-კავკასიის საერთო ინტერესები.

55%-დან 40%-მდე

(საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

გაზეთ „კომუნისტის“ № 57-ში უკვე იყო გამოქვეყნებული ცნობები, თუ რა შედეგი მოგვცა ა. წ. 27 | 11 საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად მოხდენილმა მოულოდნელმა გამოკვლევამ იმისა, თუ რამდენად თავის დროზე ცხადდებიან სამსახურში საბჭოთა მოსამსახურენი.

ამ გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ თავის დროზე გამოცხადდა 45 პროც მოსამსახურეთა საერთო რიცხვიდან და დაიგვიანა-კი 55 პროც

24 მარტს საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ კვლავ განიმეორა ასეთივე გამოკვლევა მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად შემდეგ დაწესებულებებში: 1) განათლების სახალხო კომისარიატში, 2) უმაღლეს სამეურნეო საბჭოში, 3) სახალხო ბანკში, 4) ა | კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოში, 5) მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატში და 6) თბილისის აღმასკომში.

უკანასკნელის გამოკვლევამ ვერ მოგვცა ნათელი შედეგი სხვადასხვა ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო, რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო. დანარჩენი ხუთი დაწესებულების გამოკვლევის შედეგი არის ასეთი: აღნიშნულ კომისარიატებში სულ ითვლება 532 თანამშრომელი. აქედან ავადმყოფობის, მივლინების და სამსახურთან დაკავშირებულ მიზეზების გამო არ გამოცხადდა აღნიშნულ დღეს 94 კაცი. დანარჩენ 438 კაცში ცხრა საათამდე გამოცხადდა 266, დანარჩენმა 172 კაცმა დაიგვიანა. ამრიგად თავის დროზე გამოცხადდა 60 პროცენტი და დაიგვიანა 40 პროცენტმა.

დაგვიანებულთა რიცხვიდან 15 წუთით დაიგვიანა 107 კაცმა. დანარჩენი-კი გამოცხადდა სხვა და სხვა დროს. თუ შევადარებთ 24 მარტის ცნობებს 27 თებერვლის გამოკვლევიდან მიღებულ შედეგებს, დავინახავთ მნიშვნელოვან განსხვავებას:

თუ პირველ გამოკვლევის დროს დაგვიანებულთა რიცხვი აღემატებოდა 10 პროც. თავის დროზე გამოცხადებულთა რიცხვს, მეორეჯერ მოხდენილ გამოკვლევის დროს თავის დროზე გამოცხადებულთა რიცხვი აღემატება 20პრ. დაგვიანებულთა რიცხვს. 24 მარტს მიღებული შედეგები, ცხადია, ვერ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი, მაგრამ 27 თებერვალთან შედარებით მდგომარეობა ამ მხრივ საგრძნობლად გაუმჯობესებულია. და ეს აიხსნება მით, რომ პირველი გამოკვლევის შედეგების გამოქვეყნებისთანავე მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მიიღო სათანადო ზომები აღმოჩენილი ბოროტების აღსაკვეთად. მან ცირკულარით, რომელშიაც მოყვანილი იყო გამოკვლევის შედეგები, მიმართა ყველა სახალხო კომისარიატს და სხვა დაწესებულებებს, რათა მიეღოთ საჭირო ზომები თანამშრომლების სამსახურში დაგვიანების წინააღმდეგ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ამ მიმართვას თანაგრძნობით შეხვდენ დაწესებულებათა ხელმძღვანელები და მათ მიერ მიღებული ზომებით უნდა აიხსნას ის, რომ დაგვიანებულთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა.

გარდა ამისა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აცნობა იგივე შედეგები საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს, რომელმაც თავის მხრივ 31 | 111 სხდომაზე დაავალა სატარიფო ეკონომიურ განყოფილებას შეიმუშაოს სათანადო წესები და დაწესებულებებში აღნიშნულ არანორმალობის აღმოსაფხვრელად და დაეგზავნა ყველა კავშირებს ცხოვრებაში გასატარებლად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროფკავშირები არ დააყოვნებენ ამ მხრივ საჭირო ზომების მიღებას და დაწესებულებების ხელმძღვანელებთან ერთად შესძლებენ საბჭოთა მოსამსახურეებში დისციპლინის განმტკიცებას და მათგან, ვინც სისტემატიურად არღვევს შრომის დისციპლინას, დაწესებულების გაწმენდას.

მაგრამ ყველაზე უფრო მეტი ამ საქმეში თვით საბჭოთა მოსამსახურეების შეგნებაზე არის დამოკიდებული: საბჭოთა მოსამსახურეები შეგნებულად და ერთგულად უნდა მოეკიდონ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, რათა უმაღლეს ორგანოებს აღარ სჭირდებოდეს მათ მუშაობაზე კონტროლის დაწესება.

მუშათა და გლეხთა ინსპექცია კი პერიოდულად განიმეორებს ასეთ გამოკვლევებს და შეეცდება ჩვენი საბჭოთა დაწესებულებების მუშაობის თავის დონეზე დაყენებას.

დ. ქ.

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკ ახტა“-ს ცნობები)

ვენის კონფერენციის შემდეგ

რუმინეთი ვენის კონფერენციაზე მოქმედებდა პუანკარეს კარნახით.

უცხოეთის პრესა იწონებს საბჭოთა დელეგაციის პოზიციას ვენის კონფერენციაზე.

რუმინეთის მთავრობა განაგრძობს ინტრიგის წარმოებას ბესარაბიაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ვინ ჩაშალა კონფერენცია

საუბარი ამხ. ლიტვინოვთან

მოსკოვი. 8 აპრილი. „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ. ლიტვინოვმა მიუთითა, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები მწუხარებით მიიღებენ ცნობას რუმინეთის მიერ ვენის კონფერენციის ჩაშლის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი მოწადინებული იყო მშვიდობიანი და სამართლიანი გზით გადაეჭრა საერთაშორისო პოლიტიკის ეს ერთერთი მნიშვნელოვანი და მტკივნეული საკითხთაგანი.

საბჭოთა კავშირს მშვიდობიანობის დაცვა სურს.

რუმინეთის მთავრობის საქციელი მით უფრო გასაოცარია და მოულოდნელი, რომ მან მშვენივრად იცოდა, რომ ბესარაბიის საკითხი აუცილებლად იქნებოდა დასმული ვენის კონფერენციაზე.

რუმინეთის მთავრობამ იცოდა აგრეთვე ჩვენი პოზიცია ბესარაბიის საკითხში, იცოდა, რომ საბჭოთა მთავრობა ეყრდნობა ერთა თვითგამორკვევის პრინციპს საერთაშორისო ტერიტორიალური საკითხების გადაჭრაში და რომ საბჭოთა მთავრობა არ ვაჭრობს ერებით.

საბჭოთა მთავრობა თავიდანვე მინიმალური მოთხოვნილებებით გამოვიდა. მან მოითხოვა მხოლოდ პლებისციტი იმის მაგიერ, რომ ჩვენს ისტორიულ უფლებებზე დაყრდნობით, მოეთხოვა ბესარაბიის დაბრუნება უკრაინისათვის.

რუმინეთი პუანკარეს ლაქია არის.

რუმინეთის ასეთი განსაცვიფრებელი საქციელის ახსნა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ საფრანგეთის მთავრობამ დაამტკიცა კონვენცია ბესარაბიის შესახებ. რუმინეთი, როგორც ჩანს, გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ საბჭოთა მთავრობას იძლენათ დააფრთხობს ეს აქტი, რომ ის თავიდანვე დასთმობს თავის პოზიციებს და უარს იტყვის ბესარაბიაზე ყოველგვარ პრეტენზიებზე.

ჩვენ დამოუკიდებელ პოლიტიკას ვაწარმოებთ.

რუმინეთმა დაივიწყა, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელებმა მიაღწიეს იმას, რომ ე. წ. „დიდ სახელმწიფოებთან“ ერთად არსებობს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელიც აწარმოებს თავის დამოუკიდებელ საერთაშორისო პოლიტიკას და არავის არ აძლევს უფლებას, არც პარიზსა და არც ლონდონს, უკარნახონ მას მოქმედების ხაზი.

შესაძლებელია, რომ პუანკარეს მიერ ბესარაბიის დაპყრობის რატიფიკაცია, რომელიც სწორეთ კონფერენციის წინ მოხდა, რუმინეთმა გაიგო როგორც ბრძანება მოლაპარაკების ჩაშლის შესახებ და ჩვეულებისამებრ შეასრულა ის ბრძანება. ამრიგად ვენის მოლაპარაკების ჩაშლაში დანაშაული მიუძღვის არა იმდენათ რუმინეთს, რამდენათაც პუანკარეს.

კონფერენციას დადებითი მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ ამ კონფერენციას, მიუხედავათ ჩაშლისა აქვს თავისი დადებითი მხარეები, რადგან მან შესაძლებლობა მოგვცა ერთხელ კიდევ მოგვეგონებინა მთელი მსოფლიოსათვის ბესარაბიის საკითხის არსებობის შესახებ, რომელსაც ვერ გადასჭრის ვერც ელჩების კონფერენცია, ვერც ერთა ლიგა და ვერც „დიდი სახელმწიფოების“ პარლამენტები თუ ასეთი არ იქნება საბჭოთა კავშირის სურვილი.

ჩვენ პასუხს მოვთხოვთ ინგლისსა და საფრანგეთს.

კონფერენციამ აგრეთვე მოაგონა ბესარაბიის მცხოვრებთ, რომ ისინი არ დავივიწყებიათ მათ ძმებს უკრაინაში.

ბესარაბიის დაპყრობის რატიფიკაცია ახლო ხანში არ ჩაუვლის ინგლისსა და საფრანგეთს. ინგლისთან ახლო ხანში მოლაპარაკების დროს ბესარაბიის საკითხს ჩვენ სერიოზულათ დავსვამთ.

გაფრთხილება იტალიისა და იაპონიის.

ვენის კონფერენცია გაფრთხილება იქნება იტალიისა და იაპონიისათვის რომელთაც ჯერ არ დაუდასტურებიათ ბესარაბიის ხელშეკრულება. ახლა ყველას ეცოდინება, რომ რუმინეთისათვის მატერიალური და მორალური დახმარების აღმოჩენას ბესარაბიის საკითხში, ჩვენ დავაფასებთ, როგორც მტრულ აქტს საბჭოთა კავშირისადმი და არაპირდაპირ მონაწილეობას საბჭოთა კავშირის კუთვნილი ტერიტორიის ოკუპაციაში.

უნდა მოხდეს პლებისციტი.

პლებისციტამდი საბჭოთა კავშირი ბესარაბიას თავის განუყოფელ ნაწილათ სთვლის. ჩვენმა მეზობლებმა უნდა იცოდნენ, რომ რუმინეთთან ან რუმინეთის მოკავშირეებთან ყოველგვარი თანამშრომლობა აძლიერებს რუმინეთის ბატონობას ბესარაბიაში და ასეთი თანამშრომლობა არ შეიძლება შეთავსებული იქნას საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობასთან.

მშრომელთა ხმა

საუბარი ამხ. იურენევთან

რომი. 6 აპრილი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს იურენევმა განაცხადა, რომ რუმინეთის მიერ პლებისციტზე უარის თქმა ამტკიცებს რუმინეთის მთავრობის იჭვს იმაში, რომ ბესარაბიის მოსახლეობის სიმპატიები მის მხარეზე არ არის. 6 წლის ბატონობის შემდეგ რუმინეთის მთავრობა იძულებულია მიიღოს ბესარაბიაში უსასტიკესი რეპრესიული ზომები, რაც ამტკიცებს აგრეთვე იმას, რომ მცხოვრებთა სიმპატიები რუმინეთის მხარეზე არ არის.

საბჭოთა მთავრობამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა ვენაში თავისი მშვიდობიანი ზრახვები და ერთგულება ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპისადმი.

კონფერენციის გამოძახილი

რუმინეთის დელეგაცია ნერვიულობას იჩენს.

ვენა 6 აპრილი. საბჭოთა დელეგაცია მიემგზავრება ვენიდან ორშაბათს. კონფერენციის ჩაშლის შემდეგ რუმინეთის დელეგაცია სცდილობდა გაეგო ავსტრიის მთავრობის წევრთა საშუალებით, შესცვალა თუ არა საბჭოთა დელეგაციამ უკანასკნელ მომენტში თავისი თვალსაზრისი ბესარაბიის საკითხში.

რუმინეთის დელეგაციის და პრესის განწყობილება ნერვიულია. ეჭვს გარეშეა, რომ რუმინეთის მთავრობა გააძლიერებს ტერორს ეროვნულ უმცირესობათა მიმართ, განსაკუთრებით ბესარაბიაში. რუმინეთის პრესა სცდილობს მთელი პასუხისმგებლობა კონფერენციის ჩაშლისათვის დააკისროს საბჭოთა დელეგაციას.

დიქტატორული პოლიტიკა.

ვენა. 6 აპრილი. რუმინეთის მთავრობა აწყობს დემონსტრაციებს ბესარაბიის რუმინეთთან შეერთების სასარგებლოდ. 9 აპრილს კიშინიოვში იმართება საზეიმო დღესასწაული ბესარაბიის რუმინეთთან შეერთების 6 წლის თავის აღსანიშნავად. ზეიმის ოფიციალურ ნაწილში მონაწილეობას მიიღებენ მთავრობის წევრები და პარლამენტის წარმომადგენლები.

ყოფა-ცხოვრების საკითხებიდან

I. ძველი ოჯახი

მარქსი და ენგელსი ამბობდნენ: ბურჟუაზიული ოჯახი დამყარებულია კერძო შეძენაზე, განვითარებული ოჯახი მხოლოდ ბურჟუაზიისათვის არსებობს, მაგრამ მას ემატება პროლეტართა უოჯახობა და პროსტიტუცია. ბურჟუაზიული ოჯახი დაეცემა მის დამატების დაცემასთან ერთად, ხოლო ორივენი გაქრებიან კაპიტალის გაქრობასთან ერთად.

მართლაც რას წარმოადგენს ოჯახი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ოჯახი, როგორც მოწინააღმდეგე სქესთა კავშირი ფიზიკურ და ზნეობრივ მიზნის მისაღწევად, აქ არ არსებობს. ბურჟუაზიისათვის ოჯახის შექმნა, შეძენის, მოგების, გამდიდრების, შემოსავლის წყაროს ძებნაა. ბურჟუა ეძებს „მდიდარ ქალს“, იგი გამოსულია ბირჟაზე, სადაც გამოფენილია ლამაზ და ულამაზო ქალთა კადრილი სხვადასხვა პოზებში. იგი ეძებს „ნუსფერს“ რომ დაიკმაყოფილოს ცხოველური და ანგარული მიზნები, „იშოვოს“ ლამაზი ქალი, როგორც ოჯახის კომფორტი.

ეს ტრადიცია გადადის წვრილ ბურჟუაზიაში, წვრილი ბურჟუა თავის „დამსხვილების“ წყაროთ ქორწინებას სახავს. დ კლდიაშვილის პიესის „დარისპანის გასაჭირის“ ერთი ენამლუ „სტრელოჩნიკიც“ მაჰანკლებს უპასუხებს — „აა აა-აამ-სო.“ ეს „აქვს“ უდევს საფუძვლად თანამედროვე ოჯახს. თუ ვინიცობაა „არა აქვს“ იგი ბუნებრივი კანონების გარეშე უნდა დარჩეს.

პროლეტარიატს ოჯახი არა აქვს, სამრეწველო ცენტრებში პროლეტარი ქალი და კაცი ორივე ხდება ექსპლოატაციის ობიექტი. ბავშვები რჩება ქუჩის ანაბარა, სადაც იზრდებიან ბოროტმოქმედნი და ანტისოციალური ელემენტები. მუშათა კლასის ცოლები და ქალიშვილები უმრავლეს შემთხვევაში ბურჟუაზიის ცნებათა სათამაშოთ ხდებიან. ეს ბოროტება კარგად შეიგნეს ჯერ კიდევ მარქსამდე. ფურიესაც საუცხოვო კრიტიკა აქვს ბურჟუაზიული ოჯახის.

რასაკვირველია ბურჟუაზიული ოჯახი ერთი ფორმათაგანია საოჯახო ცხოვრების ფორმათა განვითარებაში. ჩვენ ვიცნობთ ოჯახების სხვადასხვა ფორმას სისხლის ნათესაობის საფუძველზე დაწყებულს და დასრულებულს მონოგამიური ოჯახით. ეს უკანასკნელიც თავის ადგილს დათმობს სოციალური ცხოვრების ვითარებაში.

რას წარმოადგენს მონოგამიური ოჯახი დღეს? ეს ოჯახი ფრ. ენგელსის თქმა რომ ვიხმაროთ, წარმოიშვა ქმრის ბატონობით ცოლზედ იმ მიზნით, რომ შვილი უეჭველად საკუთარი გვარის გაგრძელება ყოფილიყო. მონოგამია არისო—გვეუბნება ფრ. ენგელსი—პირველი ოჯახური ფორმა, რომელიც დამყარებულია არა ბუნებრივ, არამედ სოციალურ საფუძველზედ. (იხ. ფრ. ენგელსი „წარმოშობა ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოსი“) ავტორი განაგრძობს —მონოგამია ეს ცივილიზაციური საზოგადოების უჯრედი, რომლითაც შეიძლება შევისწავლოთ მასში ჩამარხული წინააღმდეგობანი და შეუთავსებლობანი.

ამ რიგად ქალი გახდა მონა, ვაჟი გამოვიდა გამარჯვებული. ამ უკანასკნელმა შექმნა სქესობრივი მორალი, რომელიც ქალს უკრძალავს სქესობრივ კავშირის დაჭერას სხვასთან, ხოლო თითონ ამის უფლებას იტოვებს. ეს მორალი, დღემდე გაბატონებული „ცივილიზაციურ“ ქვეყნებში, არსებითად არ განირჩევა ველურის მორალისაგან, რომელიც ამბობდა—კარგია, როდესაც მე სხვას ვართმევ ცოლს. ცუდია, როდესაც მე ვართმევენ. ამ მორალს შედეგათ მოყვება მეორე ფაქტი—სიცრუე. სცენაზედ გამოდის ცოლის საყვარელი და „რქიანი“ ქმარი, როგორც ამას ფრ. ენგელსი აღნიშნავს. ეს „რქა“ არის დაფნის გვირგვინი გამარჯვებული ვაჟის თავზედ დამარცხებული ქალისაგან. „ქმარი სარგებლობს მშვენიერი გეტერიზმით, ცოლი სიამოვნებას ნახულობს ოჯახური ერთგულების დარღვევაში“.

ამ საერთო ფონზედ იშლება სხვადასხვა სურათი ოჯახური ცხოვრებიდან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. აქვე საზოგადოებაში ვხედებით პროლეტარული ოჯახური კერის დანგრევას. ცოლი ქარხნის ატმოსფერაში, აქედან ზოგჯერ პროსტიტუციის ჭაობში. შვილები უპატრონო და აღმზრდელობითი მზრუნველობას მოკლებული, შემავსებელი ციხებისა და კატორღების. ამ საერთო უბედურებაში არის ერთი ჩანასახი ახალ ოჯახისათვის. აქ არის პრიმიტიულ ფორმებში ცოლის ეკონომიური დამოუკიდებლობის ნიშნები ქმრისაგან, ოჯახისაგან. აქ განქორწინებას არ ხვდება ის ქონებრივი დაბრკოლება, როგორც საზოგადოების სხვა წრეებში. ამდენათვე ცოლ ქმრული კავშირიც იღებს არა იმ ფარისევლურ, მესჩანურ ტრადიციულ სახეს, როგორც არის ბურჟუაზიულ-მონოგამიურ ოჯახში, არამედ იგი ემყარება ჭეშმარიტად ერთმანეთის პატივისცემას, სქესობრივი სიყვარულის და ოჯახური ერთგულების საფუძველს. ფრ. ენგელსი გვეუბნება—მონოგამია პროლეტარიატის წრეში არის ამ სიტყვის ეტიმოლოგიური და არა ისტორიული აზრით.

ძველი ოჯახი დღეს უეჭველად რღვევის პროცესშია მოქცეული. ამხ. ლ. ტროცკი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ოჯახს მოგლეჯენი თავის ბუნების მიხედვით ძნელად არის მისაწვდომი, მაგრამ ყველასათვის აშკარაა, რომ ჩვენს წინაშე არის დიდი პროცესი, მეტად ქაოტიური, რომელიც იღებს ზოგჯერ ავადმყოფურ, საზიზღარ, სასაცილოს, ზოგჯერ ტრაგიულ ფორმებს, რომელიც ჯერ კიდევ ვერ აღწევს ოჯახური ცხოვრების უმაღლეს ფორმის ხარისხამდე.

ეს სრულ სიმართლეა. ომი და რევოლიუცია არა მარტო ფიზიკურ და მატერიალური ენერგიის ხარჯვა იყო, არამედ დიდი სულიერი გარდატეხაც. ძველი ზნეობრივი და სოციალური წესების და ნორმების შერყევაც დღეს სხვა სახეს იღებს რომანი როგორც წიგნში, ისე ცხოვრებაში, სხვა სახეს იღებს ოჯახი, როგორც კანონმდებლობაში, ისე სინამდვილეში.

მუშათა კლასს შეუძლია უყურადღებოთ დატოვოს პიროვნებათა ინტიმური ცხოვრება. ჩვენთვის სულ ერთია თუ ვინ როგორც ინადირებს, იცეკვებს, გაერთობა, მაგრამ სულ ერთი არ არის როგორი ურთიერთობა დამყარდება ოჯახის სფეროში. უპირველესად აქ ისმის საკითხი ნახევარი კაცობრიობის, ქალთა მასების განთავისუფლებისა, შემდეგ საკითხი სოციალური უჯრედის, ოჯახის იმ პირობებში ჩაყენების, რომ უზრუნველყოფილი იყოს ბუნებრივი პროცესი წარმოშობა-განვითარების და სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების პროგრესის. ამიტომ მთელი სიმკაცრით ისმის ახალი ოჯახის შექმნის საკითხი. ამით ჩვენ გავლენას მოვახდენთ საზოგადოების მოძრაობაზე და განვითარებაზე. თუ მოისეს რჯულდება, ან ებრაული საოჯახო სამართლის კრებული „ეგენ გა ეზერი“, რომელიც უკრძალავს კაცის მკვლელად რაცხს, ყურანი—რომლითაც გიყიდიაც და ბავშვებიც ცოლის შერთვის ნება აქვს და ყველა ქვეყნის კანონმდებლობანიც საერთოდ თავისებურ გავლენას ახდენენ ოჯახურ ცხოვრებაზედ, ჩვენი კანონმდებლობაც უნდა გამოვიყენოთ ახალი ოჯახის ჩამოყალიბების პროცესისათვის.

ხერ. ამილახვარი.

იაპონიის პრინცის ზეიმით შეხვედრა.

ვენა. 6 აპრილი. იაპონიის პრინცს ნარუნ-ნიკო-ნიგაშს, რომელიც ბუქარესტში ჩამოვიდა, დიდი ზეიმით შეხვდენ. რუმინეთის პრესა ხაზს უსვამს პრინცის ჩამოსვლის პოლიტიკურ მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ იაპონიის და რუმინეთის საერთო ინტერესები აქვთ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებაში.

პრესის აზრი

ვენა. 6 აპრილი. სამხრეთ-სლავიის პრესა კომენტარიებს უკეთებს ვენის კონფერენციის ჩაშლას მეტად თავშეკავებულად.

უნგრეთის პრესა ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა დელეგაციის კილოს მიხედვით, საბჭოთა კავშირი საკმაო აქტივობას გამოიჩენს ბესარაბიის საკითხის გადასაჭრელად.

ბულგარეთის პრესა იზიარებს საბჭოთა დელეგაციის თვალსაზრისს და აღნიშნავს, რომ პლებისციტის მოთხოვნა აშენებულია უფრო მტკიცე მორალურ საფუძვლებზე, ვიდრე რუმინეთის მთავრობის პოზიცია, რომელსაც ეშინია პლებისციტის. გენნადიევის ორგანო „ნაროდნო ედინსტვო“ აღნიშნავს, რომ ბულგარეთის დობრუჯა არის თავისებური ბესარაბია, უსაყვედუროებს ცანკოვს უგონო ანტი-საბჭოთა პოლიტიკას და ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების საჭიროებას.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ჩინეთი.

პუანკარე ჯერ არ ისვენებს.

ბერლინი. 6 აპრილი. „დეიჩე ალგემაინე ცეიტუნგის“ პეკინელ კორესპონდენტის ცნობით, საფრანგეთი ყოველგვარ საშუალებას ხმარობს ჩაშალოს რუსეთ-ჩინეთის შეთანხმება.

კორესპონდენტი ხაზს უსვამს, რომ ჩინეთის ყველა ოლქებში სამხედრო, სამრეწველო და ინტელიგენტური წრეები და აგრეთვე ჩჟან ძო-ლინი და უ პეი-ფუ მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან შეთანხმებას.

იაპონია.

შეთანხმება იაპონიის მრეწველებთან.

ვლადივოსტოკი. 8 აპრილი. 6 აპრილს დამთავრდა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის საგარეო სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებსა და იაპონიის მრეწველებს შორის; თათბირზე განხილული იყო საკითხები ამ უკანასკნელთა დავალიანებისა და შორეულ აღმოსავლეთის წყლების ექსპლოატაციის შესახებ მიმდინარე სეზონში.

იაპონელებმა ძველი ვალებიდან იცნეს 2.750.000 იენი და დათანხმდენ გადაიხადონ ერთდროულათ 1.550.000 იენი, დანარჩენი თანხა კი გადახდილი იქნება 3 წლის განმავლობაში ყოველწლიურათ 400.000 იენის შეტანით წლიური 8 პროც. ზედდართვით. საჯარო ვაჭრობაზე იაპონიის თევზის მრეწველებმა იჯარით მიიღეს 219 უბანი; ყველა მათი საიჯარო გადასახადი უდრის 1.150 ათას ოქროს მანეთს. წარსულ წელთან შედარებით საიჯარო გადასახადი გაიზარდა 15 პროც., იაპონელები საიჯარო გადასახადის 5 პროც. იხდიან თევზის მოშენების საქმის სასარგებლოთ. ამას გარდა, 18 საუკეთესო უბანი, რომელიც წინეთ იაპონიის თევზის მრეწველებს ეჭირათ, ჩამოერთვა მათ და გადაეცა სახელმწიფო თევზის მრეწველობის სამმართველოს.

მდგომარეობა გერმანიაში

კომუნისტების გამარჯვება

ბერლინი 6 აპრილი. რურის ოლქის სამთომადნო წარმოებებში საფაბრიკო საქარხნო კომიტეტების არჩევნების დროს გამარჯვება წილად ხვდათ კომუნისტებს. დღევანდლამდე კომუნისტებმა მიიღეს 104 060 ხმა, სოც.-დემოკრატებმა— 57.000, ქრისტიანულმა პროფკავშირებმა —55,000; სოციალ-დემოკრატებმა დაკარგეს 80 000 ხმა.

ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღისათვის.

ბერლინი. 6 აპრილი. მეზღვაურების და ნავთსადგურის მუშების ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღისა და შრომის ხელფასის გადიდებისათვის გრძელდება. ბრემენის ნავთსადგურის მუშებმა 2,000 ხმის უმრავლესობით ორის წინააღმდეგ დაადგინეს განაგრძონ გაფიცვა.

ჰამბურგში ქალაქის რკინისგზების მუშებმა დაადგინეს გამოაცხადონ საერთო გაფიცვა.

პლაუენში მუშები უარს ამბობენ იმუშაონ 8 საათზე მეტი.

რკინისგზელთა გაფიცვა გრძელდება.

ბერლინი. 6 აპრილი. გერმანიის მთავრობა უარს ამბობს დაამტკიცოს გზათა სამინისტროსა და რკინისგზელთა კავშირებს შორის დადებული შეთანხმება. რკინისგზელთა სოციალ-დემოკრატიულმა კავშირმა განაცხადა, რომ ის პასუხისმგებელი არ იქნება იმ შედეგებისათვის, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მთავრობის დადგენილებას.

რკინისგზელების გაფიცვა.

პარიზი. 8 აპრილი. გერმანიის რკინისგზელთა გაფიცვა იზრდება. ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები მხარს უჭერენ მოძრაობას.

პარიზი. 8 აპრილი. ბერლინიდან მიღებულ ცნობების თანახმად მდგომარეობა გერმანიის რკინის გზებზე კიდევ უფრო სერიოზული გახდა. გაფიცულთა მიტინგი მტრულ პოზიციაზე დადგა მთავრობის უკანასკნელ წინადადებისადმი.

კომუნისტების დევნა.

ბერლინი. 6 აპრ. ბერლინის ქალაქის ხმოსანთა კრებაზე გამოცხადდა აგრეთვე კომუნისტი დეპუტატი, რომელიც განდევნილი იყო რამდენიმე სხდომიდან. პოლიციამ ძალით გაიყვანა ის დარბაზიდან. კომფრაქციამ განაცხადა სასტიკი პროტესტი, რის გამოც დარბაზიდან გაყვანილ იქნა კიდევ 7 კომუნისტი.

ლოზუნგები პირველ მაისის დღესასწაულისათვის.

ბერლინი. 6 აპრილი. კომპარტია აყენებს 1 მაისისათვის 8 საათის სამუშაო დღის და სოციალურ კანონმდებლობის ლოზუნგებს და მოუწოდებს მუშებს მიიღონ მონაწილეობა კომპარტიის მიერ გამართულ დემონსტრაციებში.

რკინისგზელებმა თავისი გაიტანეს

ბერლინი, 6 აპრ. რკინისგზელთა პროფკავშირმა მიაღწია შეთანხმებას გზათა სამინისტროსთან ხელფასის 15 პროცენტით გადიდების შესახებ და მამართა გაფიცულ მუშებს მოუწოდებით შეუდგენ მუშაობას.

არჩევნები იტალიაში

მუსოლინის გამარჯვება.

ბერლინი. 8 აპრილი. საყოველთაო არჩევნები იტალიაში მუსოლინის სრული გამარჯვებით დამთავრდა. ფაშისტებმა მიიღეს ყველა ხმების ორ-მესამედზე მეტი,

რომი. 8 აპრილი. უკეთებენ რა კომენტარიებს მთავრობის გამარჯვებას არჩევნებში, ფაშისტური გაზეთები ხაზს უსვამენ რომ დღეს არავის არ შეუძლია უარყოს, რომ საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერს მუსოლინის. გაზეთები ამტკიცებენ, რომ არჩევნების შედეგები დაამშვიდებს ქვეყანას.

სხვადასხვა ამბები

● **საფრანგეთი და ამერიკა.** საფრანგეთისა და ამერიკას შორის დაიდვა ხელშეკრულება, რომელიც თანასწორ უფლებას ანიჭებს ორივე ქვეყანას სირიაში და ლივანში.

● **არჩევნები ფინეთში.** წინასწარი ცნობებით საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს.

● **საბერძნეთი არ ცხრება.** საბერძნეთი ახალი დრედნოუტებისა და წყალქვეშა ნავების აგებას აპირებს.

● **არჩევნები ბავარიის ლანდტაგში.** ბავარიის ლანდტაგში არჩევნების შედეგი ასეთია: მიუნხენში ტევტონურმა პარტიამ მიიღო 104,000 ხმა, სოციალ-დემოკრატებმა— 71,000 წინანდელი 124,000 ნაცვლად, კომპარტიამ—48,000, ბავარიის სახალხო პარტიამ—50.000 წინანდელი 110000 ნაცვლად, ნაციონალისტებმა—12,000 წინანდელი—35.000 ნაცვლად, დემოკრატებმა—7.000, წინანდელი 26 ათ. ნაცვლად.

● **უკიდურესი პოლიტიკა.** სრულიად გერმანიის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანებამ გადასწყვიტა გამორიცხოს გაერთიანებიდან რეინ-ვესტფალიის ოპოზიციონური კავშირები.

● **საალყო წესები ბუქარესტში.** რუმინეთის მთავრობამ ფაშისტური მოძრაობის გაძლიერების გამო ბუქარესტში საალყო წესები გამოაცხადა.

● **გაფიცვები პოლონეთში.** სამთომადნო მუშების გაფიცვა გრძელდება. საგაფიცვო კომიტეტი დათმობაზე არ მიდის. დაიწყო მუშების მასიური დაპატიმრება.

● **პოლონეთის ფაშისტები ემზადებიან.** ცნობილი პოლონელი ფაშისტის აბრამოვიჩის ბინაზე ვარშავაში აღმოაჩინეს ბომბების საწყობი.

● **მემარჯვენეების მართლმსაჯულება.** ვარშავის სასამართლომ ხუთი წლის ციხე მიუსაჯა კომკავშირელების ჯგუფს. კომკავშირელებმა განაჩენის წაკითხვის დროს ინტერნაციონალი შეასრულეს.

● **განდების კრიზისს „ებრძვიან“.** პოლონეთის მთავრობა თავისი მრეწველობის უიმედო მდგომარეობის გამოსასწორებლად ხელს უწყობს კონტრაბანდისტებს, რომლებსაც ფარულად გადააქვთ საქონელი საბჭოთა საზღვარზე.

● **პოლონეთი უკმაყოფილოა.** პოლონეთის ელჩმა პარიზში პროტესტი განაცხადა მემელის შესახებ მიღებული დადგენილების გამო.

● **პირველი მარცხი.** მაკდონალდის მთავრობა საბინაო კანონპროექტის განხილვის დროს უმცირესობაში დარჩა.

● **შავი ჭირი ინდოეთში.** ინდოეთში პენჯაბის პროვინციაში შავი ჭირი მძვინვარებს და მუსრს ავლებს ადგილობრივ მცხოვრებლებს.

● **წყალდიდობა ჩეხოსლოვაკიაში.** ჩეხოსლოვაკიაში დიდი წყალდიდობაა.

● **ხალიფატის გაუქმების გარშემო.** ოსმალეთის გადაყენებულმა ხალიფამ გამოაქვეყნა მანიფესტი მორწმუნეთადმი. ოსმალეთის მთავრობამ შეუწყვიტა ყოფილ ხალიფს პენსიის მიცემა.

■ **ფაშისტების გამოსვლა.** ვარშავაში ნაციონალისტებმა ანტიგერმანული დემონსტრაციები მოაწყვეს.

■ **შეტაკება კომუნისტებსა და მემარჯვენეებს შორის.** ბავარიის ლანდტაგში არჩევნების დროს შეტაკება მოხდა კომუნისტებსა და მემარჯვენეებს შორის.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

პოლონეთი

გაფიცულია მუშების 80 პროც.

ვარშავა. 7 აპრილი სამთომადნო წარმოების მუშათა გაფიცვა ზემო-სილეზიის, დომბროვის და კრაკოვის რაიონებში ფართოვდება. გაფიცულია მუშების 80 პროცენტი. გაფიცულების რიცხვი 150,000 აღწევს. დომბროვისა და კრაკოვის ყველა მაღაროების მუშები გაფიცულნი არიან. პოლიციამ, რომელიც მეწარმეების განკარგულებაში იმყოფება, დაიკავა ყველა მაღაროები.

სოსნოვიციდან იუწყებიან სისხლის მღვრელ შეტაკების შესახებ გაფიცულებსა და პოლიციას შორის. პოლიციამ ესროლა მუშებს. მოკლულია 1 მუშა, მძიმედ დაიჭრა 8 და რამდენიმე მსუბუქად.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მოსკოვი-თბილისი-ბაქო.

მოსკოვი. 6 აპრილი. გაზაფხულიდან კომპანია „იუნკერსი“ იხსნის საჰაერო მიმოსვლის ხაზს მოსკოვი-თბილისი-ბაქო.

რეისები ვოლგაზე.

ასტრახანი. 7 აპრილი. იწყება გემების მიმოსვლა ასტრახანსა და კასპიის ზღვის ნავთსადგურებს შორის.

თევზის ჭერა თეთრ ტბაზე.

ჩერეპოვეცი. 7 აპრილი. თეთრ ტბაზე სწარმოებს თევზის მასიური ჭერა. გაზაფხულზე ლენინგრადის თევზის ქარხანა აგზავნის თეთრ ტბაში მოსაშენებლად 1 მილ. სხვადასხვა ჯიშის თევზებს.

ინტერვენციის მსხვერპლთა დახმარება საზოგადოებაში.

მოსკოვი. 7 აპრილი. ინტერვენციის საზოგადოების მოწოდებას „ანგარიშის დამზადების“ შესახებ, ფარტიის მსხვერპლთა დახმარების თოთ გამოეხმაურენ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში, დაარსდა მთელი რიგი საოლქო კომიტეტებისა, მაგ. სიბირსკის, რომლის შემადგენლობაში შედიან მცხოვრებთა სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები, ისინიც კი, ვინც წინად აქტიურ ბრძოლას აწარმოებდენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, და არხანგელსკის კომიტეტი, რომელიც ამჟამად დაუკავშირდა ყველა კუთხეებს და აწარმოებს აქტიურ მუშაობას „ანგარიშის“ შესადგენად.

სტეფანე ხალტურინის სიკვდილით დასჯის 42 წლის თავი.

ოდესა. 7 აპრილი. 4 აპრილს შესრულდა 42 წლის თავი ოდესაში ცნობილ რევოლიუციონერის სტეფანე ხალტურინის სიკვდილით დასჯის დღიდან. საგუბერნიო კომიტეტმა დაადგინა მოაწყოს ოდესაში ხალტურინის სახელობის შრომის მუზეუმი.

ოდესის სახლების სასწრაფოდ შეკეთება.

ოდესა. 7 აპრილი. ოდესის სახლების ერთი ნაწილის კატასტროფიული მდგომარეობის გამო, საგუბერნიო აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა ცენტრის წინაშე, რათა სასწრაფოდ გაღებული იქნეს 700,000 მანეთი ამ სახლების შესაკეთებლად. განზრახულია სასწრაფო წესით მოხდეს წყალსადენის და კანალიზაციის შეკეთება. ამ უკანასკნელ დროს კი დევ რამოდენიმე სახლს დაეტყო ნგრევის ნიშანი.

ამხ. ტროცკი ამ დღეებში დაუბრუნდება მუშაობას.

მოსკოვი. 7 აპრილი. ხამოვნიკის რაიონულ საბჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც შესდგა დემობილიზაციით გაშვებულ წითელარმიელების გაცილების საპატივცემლოდ, რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წევრმა ამხ. უნშლიხტმა ამხ. ტროცკის ჯანმრთელობის შესახებ განაცხადა: „ამხ. ტროცკის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ უკანასკნელ დროს იმდენად გაუმჯობესდა, რომ ახლო მომავალში ის დაბრუნდება მოსკოვში და შეუდგება მუშაობას“.

მოსავალი.

სამარა. 7 აპრილი. გაზაფხულის ამინდი ხელსუწყობს ნათესების მდგომარეობას. ანეულისათვის სესხად გაცემული თესლი უკვე დანაწილებულია ადგილებზე, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი საკმაოა.

სათესი მოედანის გადიდება.

მოსკოვი. 8 აპრ. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში მიმდინარე წელს ზამთრის ნათესების მოედანი გაიზრდება 5,7 პროცენტით, გაზაფხულის ნათესები ცხრა პროცენტით.

საშუალოდ ევროპის რუსეთის მთელი სათესი მოედანი გადიდდება 9 ნახ. პროცენტით. ამრიგად სათესი მოედანი მიაღწევს ომამდე არსებული მოედანის 80 პროცენტს. მოსალოდნელია კარგი მოსავალი ბალიანი სისტემის მიხედვით საბჭოთა კავშირში მოსავალი უნდა აღწევს 4 ბალამდე.

ბამბის ქსოვილების მრეწველობის მოგება.

მოსკოვი. 8 აპრილი. სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს პრეზიდიუმის სხდომაზე გამოირკვა, რომ ბამბის მრეწველობამ, მიუხედავად ფასების დაწევისა, მიმდინარე წელს უნდა მოჰქვეს 35 მილიონი მანეთი მოგება.

ფულის რეფორმა

მეორე საბირჟო ყრილობა.

მოსკოვი. 8 აპრილი. მეორე საბირჟო ყრილობის მომწვევმა ბიურომ დღის წესრიგი შეადგინა მომხსენებლებისათვის: ამხ. ლედუვა—ბირჟის როლი სახელმწიფო ვაჭრობის მოწესრიგებაში; ამხ. ბრიუხანოვი—ფულის რეფორმის პირველი შედეგები და მისი მომავალი პერსპექტივები; ამხ. კრასინი—პურის კამპანიის შედეგები; ამხ ლევინი—ვაჭრობის დაბეგვრა გადასახადით; ამხ კოგანი და ბერშტეინი—მიღწევები ტრანსპორტის დარგში, ვაჭრობის ინტერესების თვალსაზრისით; პროფესორი შრიტერი—სავაჭრო კანონმდებლობა; პროფესორი ვოლფი—სავაჭრო შენაწყობი; პროფესორი ვორმსი—საბირჟო საარბიტრაჟო კომისიები და ამხ. შეხანოვი—ყრილობის ბიუროს მუშაობის ანგარიში.

6 პროცენტიანი ოქროს სესხი.

მოსკოვი. 8 აპრილი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავალიუტო სამმართველოს ცნობების თანახმათ, სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო დადგენილების გამოცემამდე, 6 პროცენტიანი ოქროს სესხის ობლიგაციების განაწილება გაგრძელებული იქნება წინანდელ საფუძვლებზე. ამრიგათ, პრესაში გამოქვეყნებული ცნობები სესხის რეალიზაციის შეწყვეტის შესახებ ნაადრევია.

კერძო ვაჭრობის ხაზლი დამარცხება.

მოსკოვი. 8 აპრილი. პურით ვაჭრობის სფეროში კერძო ვაჭრებმა სრული დამარცხება განიცადეს. გამომცხვარი პურით ვაჭრობა მთლიანათ გადავიდა კოოპერატივების ხელში.

საგლეხო სესხი ბაშკირეთში

უფა. 8 აპრილი. ბაშკირეთის ფინანსთა სახალხო კომისარიატი მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებს საგლეხო მოგებიანი სესხის რეალიზაციისათვის. შეტანილია განცხადებები მილიონ მანეთის ობლიგაციებზე.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

მაუდის ფაბრიკა

განჯა. 7 აპრილი. 31 ვაგონით მიღებულია მანქანის ნაწილები მაუდის ფაბრიკისათვის, რომელიც განჯაში ეწყობა; ეს ფაბრიკა განჯას აჩუქა მოსკოვმა. ამ დღეებში დამთავრებული იქნება იმ ძველი კორპუსების რემონტი, სადაც მოთავსებული იქნება ფაბრიკა.

ფულის რეფორმა ამიერ-კავკასიაში
რეფორმის მნიშვნელობა

ამხ. ალიევის აზრი.

ბაქო 6 აპრილი. ამიერ-კავკასიაში ფულის რეფორმის გატარების შესახებ ა.-კავკასიის ფინანსთა კომისრის რწმუნებულმა აზერბეიჯანში ამხ. ალიევმა განაცხადა: „ფულის რეფორმის დაწყების შემდეგ უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ დეფიციტს ბიუჯეტში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ეს შესაძლებელია მთელ რიგ არანაყოფიერი ხარჯების შემცირებით. ფულის რეფორმის გატარებით მიღწეული იქნება ვაჭრობის მოწესრიგება და ფასების დაკლება ფართე მოხმარების საგნებზე. გარდა ამისა უნდა ვიქონიოთ უზრუნველყოფილი საქონლის ფონდი. რაც შეეხება ალიოტაჟს, მიღებული იქნება სასტიკი ზომები სპეკულიაციის წინააღმდეგ“.

ამხ. კაპლანის აზრი

სახელმწიფო ბანკის ბაქოს განყოფილების გამგემ ამხანაგმა კაპლანმა აღნიშნა, რომ ფულის რეფორმა გამოიყვანს ამიერ კავკასიის ვაჭრობასა და მრეწველობას მძიმე მდგომარეობიდან და შესაძლებლობას მისცემს კოოპერაციას ჯანსაღ საფუძველზე დაამყაროს თავისი საქმიანობა. ფულის რეფორმამ საშუალებას მოგვცემს მეტი ყურადღება მივაქციოთ კრედიტს, მუშაობაში და გავაუმჯობესოთ მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობა.

კოოპერაცია და სამეურნეო ორგანოები უნდა მოემზადონ და გამოვიდენ ბაზარზე საქონლით, რადგან საკრედიტო ოპერაციები მცირე დროის განმავლობაში ოდნავ შეფერხებული იქნება.

ამხ. მუქრეევის აზრი

შინა-ვაჭრობის თავმჯდომარემ ამხ. მუქრეევმა აღნიშნა, რომ დღეს ფულის რეფორმის შესახებ ბოლო მოუღებს სპეკულიატიურ ელემენტებს და შესაძლებლობას მისცემს წარმოებას მტკიცე ნიადაგზე დაამყაროს თავისი საქმიანობა

ფულის რეფორმის გატარების გამო დღის წესრიგში დაისვა კითხვა ბაზრის მოწესრიგების შესახებ ამ საკითხის მოწესრიგების მიზნით შინაგან ვაჭრობის კომიტეტს მიზნად აქვს მოიწვიოს კერძო ვაჭრების წარმომადგენელთა თათბირი.

მოდიან პარტიაში.

ბაქო. 7 აპრილი. აზერბეიჯანის კომპარტიის ბაქოს ორგანიზაციაში 6 აპრილამდე შეტანილია 9 068 განცხადება. მიღებულია 4,965 მუშა დაზგიდან, განცხადებები რაიონის მიხედვით ნაწილდება ამნაირად: ლენინის რაიონი—2,600, საფაბრიკო-საქარხნო—2,126, ქალაქის—1,898, ბაილოვო-ბიბიეიბათის—1,193, სადგურის განაპირა რაიონი—896, სურახანის—495, ბინაგადინის—360. განცხადებების შემოტანა გრძელდება.

ნავთის მრეწველობის მუშების საკურორტო ექიმობა.

ბაქო, 7 აპრილი. სამთომადნო მრეწველობის მუშათა კავშირმა „აზნეფტთან“ ერთად შეიმუშავა ნავთის მრეწველობის მუშების სანიტარულ-საკურორტო ექიმობის პირობები მომავალ სეზონისათვის. დაარსდა სამკურნალო საექსპორტო კომისია სოციალური დაზღვევის სამრეწველო კასებთან სამკურნალო სეზონი დაწესებულია 1 მაისიდან 1 ოქტომბრამდე. ადგილების საერთო რაოდენობიდან „აზნეფტის“ სენატორიუმში კავკასიის მინერალურ წყლებზე და აბშერონის აგარაკებზე მუშებს ეძლევა 85 პროცენტი, მოსამსახურეებს 15 პროცენტი. დასასვენებელ სახლებში ბუზოვნაში გაიგზავნება მუშები, რომლებიც ღებულობენ მრავალ რიგ შეღავათებს.

სომხეთი.

წითელარმიელთა შემოქმედების გამოფენა.

ერევანი, 7 აპრილი. სომხეთის დივიზიის ცენტრალურ კლუბში მოწყობილია წითელარმიელთა შემოქმედების გამოფენა.

სახალხო სამეურნეო მუზეუმი.

ერევანი, 7 აპრილი მესამე საბჭოთა მეურნეობაში ახლო ხანში დათავრებული იქნება ორსართულიან სახლის აგება, რომელშიაც მოთავსებული იქნება სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი და სამკითხველო და სკოლები საბჭოთა მეურნეობის მუშებისათვის.

აღმშენებლობა.

ნორბაიაზეთი. 6 აპრილი. სამაზრო აღმასკომმა დაამტკიცა 9 თვის ხარჯთ აღრიცხვა, რომლის 60 პროც. ხმარდება აღმშენებლობას, 5 პროც. განათლებას, 12 ნახ. პროც. სოციალურ უზრუნველყოფის საქმეს.

შაქრის ქარხანა

ლენინაკანი. 6 აპრილი. მაზრაში გამოყოფილია მიწის ნაჭერი შაქრის ქარხნის დასათესად.

ბათომის უპარტიო მუშათა მეორე კონფერენცია

კონფერენციის გახსნა.

აკადემიური თეატრის დარბაზში გაიხსნა ბათომის უპარტიო მუშათა მეორე ფართო კონფერენცია.

თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო მუშებით.

კონფერენცია გახსნა ბათომის კომიტეტის მდივანმა ამხ. ნიკ. სვანიძემ, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ სახელმწიფოსა და მასებს შორის მჭიდრო კავშირის დამყარება—არის კონფერენციის ძირითადი მიზანი.

პრეზიდიუმის არჩევა.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. ამხ. ხიმშიაშვილი, მოწყობილი, სვანიძე, ომიაძე, ბრეგაძე, აბრამოვიჩი, ოლინსკაია, ლომინაძე, მაჭარაძე, ჯუყელი ელენა, კიურეგიანი, ლარიონოვი, მეტენინი, დვალი, ღლონტი, გობეჩია, ავთანდილოვი, გურგენიძე და ვიგნანსკი.

სამანდატო კომისიაში.

ამხ. ამხ. გულნიცკი, შტილმანი და ბახტაძე.

საპატიო თავმჯდომარეები.

კონფერენცია ერთხმად საპატიო თავმჯდომარეებად ირჩევს სტალინს, ტროცკის, ზინოვიევს, ტომსკის, კლარა ცეტკინას, კაშენს, მახა ცხაკაიას, ორჯონიკიძეს, ლომინაძეს, კახიანს და ყურულაშვილს.

ამიერ-კავკასიის ცენტრ. აღმასკომის კომისიის მოგზაურობა საქართველოში
საბჭოთა აჭარისტანში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

სოფლად

ორშაბათს, 31 მარტს, ადრიანი დილით ამხ. თახსინ ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით მივდივართ აჭარისტანის სოფლებში. საკმაო კარგი ამინდია, ბუნება ხელს გვიწყობს და ჩვენც ვცდილობთ ვისარგებლოთ შემთხვევით და თვალით ვნახოთ, გავეცნოთ ფუხარა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას, საბჭოთა აღმშენებლობას სოფლად, სწავლა განათლების საქმეს, ქალთა მდგომარეობას, მიწების საკითხს და სხვა

ამხ. ალამალი-ოღლი, რომელმაც ამას წინეთ ცალი ფეხი დაკარგა, არ უშინდება მძიმე მოგზაურობას, ის დიდ ყურადღებას იჩენს ქართველ მუსულმანთა ყოფა-ცხოვრებისადმი, განსაკუთრებით მას ქალთა მდგომარეობა, აჭარელთა სარწმუნოებისადმი დამოკიდებულება აინტერესებს

გზადაგზა არკვევს ამ საკითხებს. აძლევს მცხოვრებთ რჩევა დარიგებას, ახსნა-განმარტებას, ჰპირდება მათ დახმარებას. ალამალი-ოღლიმ კარგად იცის თურქული, აჭარლებსაც ესმით ეს ენა, თუმცა უფრო ხშირად ქართულად ლაპარაკობენ და მათი კილო ძალიან ემგზავსება გურულს. გარეგნობა, სახის გამომეტყველებაც, განსაკუთრებით ბავშვების სიმგვანე გურულებთან მათ ახლო ნათესაობას ამტკიცებს. ყველა სოფლებში ვერ აზერებს ამხ. ალამალი-ოღლი თურქულად საუბარს, საჭირო ხდება მთარგმნელი. ასეთები კი არიან.

ლენინი სკოლაში. ინტერნაციონალის ჰიმნი ოსმალურად

ქედის სკოლის გამგეს შავიშვილს განათლება ოსმალეთში მიუღია და მისმა მოწაფეებმაც კარგად იციან ოსმალური. სკოლის დათვალიერებისას ბავშვებმა დამაკმაყოფილებელი პასუხი მისცეს მასწავლებელს ოსმალურ ენაზედ ლენინის პიროვნების შესახებ. დასასრულ ოსმალურათ იმღერეს ინტერნაციონალი, რამაც სტუმრები აღტაცებაში მოიყვანა.

აჭარის წყლის ხეობა

ჩვენ ერთ დღეს მოვასწარით მთელი ოთხი მაზრის გავლა სიგრძით: ჭოროხის, აჭარის-წყლის, ქედა და ხულოს მაზრების. გზა კარგია, ავტომობილები თავისუფლად მიდიან. გზაში ხშირად ვხვდებით ბათომში მიმავალ აჭარლებს კაჭკებით, რომლებშიაც ცხენებია გამბმული, აგრეთვე ბათომიდან უკან მომავლებსაც. გზის მდგომარეობას ეტყობა საკმაო ყურადღება ექცევა, ასეთ მთიან ადგილებში გზის დაცვა ადვილი საქმე არ არის. ბათომიდან გასვლისას ხვდებით კახაბერის ვაკეებში, მაშმად აბაშიძეს ადგილებს, რომლებიც ეხლა ჩამორთმეულია.

ბეგებისგან ჩამორთმეულ ადგილებში, ეს მიწები საუკეთესოა... მაღლა თოვლიან მთებში მოსჩანან სოფლები, რომლებიც ოსმალეთის საზღვარზე მდებარეობენ. ჩვენს თანამგზავრს ევროპა მოვლილ ჟურნალისტს და პუბლიცისტს ევ. ლუმბერგს ძალიან უკვირს, თუ როგორ ცხოვრებენ ასეთ მიუვალ ადგილებში.

განვაგრძობთ გზას, გავცილდით ჭოროხს და შევუდექით აჭარის წყალის ხეობას.

აჭარის წყალი ტიპიური მთის მდინარეა, რომელიც ეხლაც მღვრიე მოდის. მალე კი თოვლის დნობა დაიწყება მთებში და ის გიჟურათ მიაწყდება ნაპირებს, მოინდომებს თავის ვიწრო კალაპოტის გაფართოვებას, მაგრამ სალი კლდეები და მაღალი მთები, რომლებიც მას ბორკავენ ორივე მხრიდან, გასაქანს არ მისცემენ და ისიც უნდა დამორჩილდეს თავის ბედს და განაგრძოს ბრძოლა, სანამ არ ჩაყლაპავს მასზე უფრო წყნარი, მაგრამ მაინც საკმაოთ მღელვარე ჭოროხი

კონტრაბანდისტები ენერგიულათ მუშაობენ ამ ადგილებში, ჩვენს სანაპირო რაზმებსაც დიდი ყურადღება და სიფხიზლე სჭირდებათ. აჭარის წყალის ნაპირებზე ვხვდებით ლია კარავებს, პირველათ ქურთები გვეგონა, რომლებიც კახაბერის ჭალებში და ბათომის მიდამოებში სცხოვრობენ მიწურებში ზამთრობით, ზაფხულობით კი მთებში იალებში მიდიან თავის საქონლით: მაგრამ თურმე აქ მცირე ველური მოხეტიალე (КОЧЕВНИКИ) ხალხიც ცხოვრობს, ციგნები. საზოგადოთ ეტნოგრაფიული სხვადასხვაობა საკმაოა აჭარისტანში, მაგრამ მთავარი მასა აჭარლებია. ბათომის და მის მიდამოების გარდა უცხო ტომი ხალხს აქ იშვიათათ შეხვდებით, მხოლოდ რამდენიმე სოფელში სცხოვრობენ ბერძნები. დანარჩენი აჭარლებია, ქართველი მუსლიმანები, ქართული გვარებით, ქართულ ადათ-წესებით, სარწმუნოებით დაცილებული არიან ქართველებს და თუმცა ქართველი მშრომელი ხალხი უკვე თავისუფლდება სარწმუნოებისაგან, აჭარლები დღესაც საკმაო სიმტკიცით მისდევენ მუსლიმანობას. მოლები და ხოჯები ხშირად გვხვდება გზაში. ისინი ახალგაზრდობის აღზრდაშიაც კი იღებენ მონაწილეობას. საეჭვო კია მათი პედაგოგიური მოღვაწეობა. მაგრამ აჭარის სოფლებში უკვე იზრდება კომკავშირი — ყოველგვარი ცრუ-მორწმუნეობის მტერი, მან აქაც უნდა შესძლოს ახალი თაობის განთავისუფლება სარწმუნოებრივი ფანატიზმისაგან, ფუხარა ხალხის გაბედულათ წაყვანა კომუნიზმისაკენ.

თახსინი უყვარს ხალხს

აჭარლები იცნობენ თავიანთ ბელადს ამხ. თახსინ ხიმშიაშვილს. გზაში ყოველ ნაბიჯზედ მხურვალეთ, აღმოსავლეთურ მოწიწებით ესალმებიან მას. თახსინსაც უყვარს თავისი ხალხი, ესმის მისი საჭიროება-მისწრაფებანი. ამ ურთიერთ ნდობის და სიყვარულის საფუძველზე ადვილია შეთანხმებული აღმშენებლობითი მუშაობის წარმოება და მშვიდობიანობა, რომელიც დღეს სუფევს აჭარისტანში, რომლის მსგავსი შეიძლება არც ახსოვდეს მის ისტორიას.

მეხუნწეთის სკოლა

ჩვენი ავტომობილი ცოტა ხნით ჩერდება სოფელ მეხუნწეთში. ჩვენც მივეშურებით სკოლისაკენ, რომელიც იქვე გზის პირზეა მოთავსებული მეორე სართულში. წინ გვეგებება მასწავლებელი ქალი, კალენიკა ხანიაძე, ამხ. თახსინი და ლევან გოგობერიძე ეკითხებიან მასწავლებელს, თუ რამდენი მოწაფეა მის სკოლაში. ჩვენ მისვლის დროს სკოლის ორ განყოფილებაში 23 მოსწავლეა.

ყველანი მოსული არ არიან ჯერჯერობით.

— რატომ, სად არიან?

— ჯერ მოლასთან მიდიან და შემდეგ კი სკოლაში. უკმაყოფილოთ გვეპასუხებს მასწავლებელი. არ გვესიამოვნა, მაგრამ მალე მოსწავლეთა პასუხებმა სრულებით გაგვიქარწყლა, დაგვავიწყა, თუ რამე უკმაყოფილება გვქონდა. მასწავლებელი ეკითხება მოწაფეებს აჭარისტანის საზღვრების, წყობილების და სხვათა შესახებ. მოსწავლეები, მეორე განყოფილებაში მყოფი ბავშვები, ისეთ პასუხს იძლევიან, რომ ზოგიერთი პოლიტწრეების წევრებსაც შეშურდება.

— ვინ არის აჭარისტანის მთავრობის თავმჯდომარე?

— თახსინ ხიმშიაშვილი—უპასუხებენ ბავშვები. ჩვენი ეხლანდელი ძვირფასი სტუმარი—უმატებს მასწავლებელი. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს სთქვან რომელიმე ლექსი. ბავშვები ზეპირათ კითხულობენ საბავშო ინტერნაციონალს. შეკითხვებზე იძლევიან განმარტებას, თუ რა არის ინტერნაციონალი, კომუნა, ქალაქის სოფელთან კავშირის აუცილებლობა და სხვა. სტუმრების სახეზე გაკვირვება და სიამოვნება მოსჩანს. არ ვცქარობთ. სკოლის დატოვებას, გვინდა ანგარიშის გაკვეთილსაც მოუსმინოთ. ისევ კმაყოფილება, რომელიც კიდევ უფრო იზრდება, როდესაც მთელი სკოლა მასწავლებელთან ერთად იწყებს სიმღერას. ყველა მადლობას ვგრძნობთ მასწავლებელისადმი, ვფიქრობთ, თუ ყველა სოფლებში ასეთი ერთგული და თავის საქმის მოყვარული მასწავლებლები გვყავდნან, ჩვენი საქმე, ჩვენი მომავალი უზრუნველყოფილია. მაგრამ ვინ იცის, რა ხდება სხვა სკოლებში.

აღსანიშნავია, რომ სკოლაში გოგონები თითქმის იმდენივეა, რამდენიც ვაჟები, ეს უსათუოთ სასიხარულო ფაქტია, სასურველია ამ სოფლის მცხოვრებთა მაგალითს აჭარის სხვა სოფლებმაც მიბაძონ. გამომშვიდობებისას მხურვალე მადლობას უცხადებენ მასწავლებელს ამხ. ლევან ლოლობერიძე და თახსინ ხიმშიაშვილი. მადლობის გრძნობით გამოვდივართ სკოლიდან ჩვენც, ჟურნალისტები, და გვინდა ვაცნობოთ ჩვენი გაზეთების მკითხველებს, რომ იქ, შორს, ოსმალეთის საზღვრებზე, აჭარის წყალის ვიწრო ხეობაში, უცნობ მასწავლებელ ქალს თავისი წვლილი შეაქვს იმ დიდ მუშაობაში, რომელსაც ეწოდება ახალი თაობის კომუნისტური აღზრდა. ქება დიდება ასეთ ჩუმ და გამოუჩინარ მუშაობას, როგორიც კალ. ხანიაძისა.

ქედა

განვაგრძობთ გზას. ჯერ კიდევ ქვემო აჭარაში ვართ, რომელსაც უფრო მეტი კავშირი აქვს ბათომთან. გზაში გვხდება ინჟინერი, რომელიც აწარმოებს მუშაობას ქედის ხიდზედ. განზრახულია 60 საჟენი ხიდის გაკეთება რკინისა და ბეტონისაგან. ჟებირების გასაკეთებლად საჭიროა წყალის ამოშრობა ნაპირზე პატარა ტბაში. ამ მიზნით ბათომიდან მოტანილ მანქანას რაღაც გაფუჭებია და მუშაობა შეფერხებულა; ინჟინერი ბათომში მიდის სხვა მანქანის ამოსატანად. ამხ თახსინ სასტიკ ბრძანებას აძლევს, რომ მუშაობა არ შეფერხდეს, მანქანა დროზე იქნას მოტანილი.

მივაღწიეთ ქედამდე, რომელიც აჭარის წყალის მარცხენა ნაპირზედ მდებარეობს. ჯერ ჯერობით მხოლოდ ხის ძელების ხიდი არსებობს, მაგრამ ახალი ხიდის ასაშენებლათ განუწყვეტელი მუშაობა სწარმოებს. ქედა ამავე სახელწოდების მაზრის ცენტრია. ჩვენ მოვასწარით მხოლოთ სკოლის დათვალიერება და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა გაცნობა.

სკოლაში ჩვენ სამი მასწავლებელი დაგვხვდა: ორი ვაჟი და ერთი ქალი. მოსწავლეთა რიცხვი საკმაოა, არიან ქალებიც, მაგრამ პროცენტულათ უფრო ცოტა, ვიდრე მეხუნწეთის სკოლაში, რომელიც უფრო ახლოა ბათომზე. მოსწავლეებში ულვაშებ აშლილი ახალგაზრდებიც მოსჩანან. სკოლა თუმცა რვა წლის წინეთ იყო დაარსებული, მაგრამ დღემდე ნორმალური მეცადინეობა არ ყოფილა. ერთ დროს ინგლისელები მდგარან ამ სკოლის შენობაში და სრულებით გაუფუჭებიათ როგორც შენობა, ისე მისი ეზო ბაღი.

თავის მოტყუება იქნებოდა იმის თქმა, რომ დღეს სკოლაში ყველაფერი რიგზეა. უმთავრესი ნაკლია გარკვეული სისტემის უქონლობა, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ თანდათან ყველაფერი გამოკეთდება, ახალი თაობის აღზრდის საქმე აჭარაში მტკიცე საფუძველზე დგება

ამხ. ალამალი-ოღლი დაწვრილებით გაეცნო ბათომისკენ დაბრუნებისას ამ სოფლის წარმომადგენლებს და გლეხობას, გამოჰკითხა სოფლის საჭიროებანი და ავ-კარგი. განსაკუთრებით ის უკმაყოფილოა ქალთა მდგომარეობით, და სკოლას ჰპირდება ხუთას მანეთის დახმარებას, რომლის მეტი წილი ქალთა განყოფილებას უნდა მოხმარდეს. ჩადრა უნდა მოიხსნან ქალებმა, და როგორც სრულ-უფლებიანი ამხანაგი ამოუდგენ გვერდში მამა კაცებს. ამას ყველგან სთხოვს ალამალი-ოღლი და მშვენიერი მაგალითებით ამტკიცებს ქალთა გათანასწორების აუცილებლობას.

ქედაში არის ექიმი, რომლის განცხადებით რაიმე ეპიდემიური ავადმყოფობას ამ ქამათ ადგილი არ აქვს, წინათ ერთ-ხანაზე გავრცელებული იყო ისპანკა. რამდენიმეთ გავრცელებულია ტუბერკულიოზი.

ამხ. ალამალი-ოღლი ეკითხება ექიმს: რით აიხსნება, რომ ასეთ მთიან ადგილებში ავადმყოფდებიან.

—არის ერთი მეცნიერის თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ მთიან ადგილებშიაც შესაძლებელია ტუბერკულიოზი, მთებზედ ასვლა-ჩამოსვლა, სისხლის მოძრაობა ანემიას იძლევა და აქედან შორს არ არის ტუბერკულიოზი—უპასუხებს ექიმი. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ აქ კვებასაც მნიშვნელობა აქვს. აჭარლების გამხდარი სახე გვარწმუნებს, რომ კვებას საქმე ძალზე მოისუსტებს აქ. ან კი ამ სალ კლდეებში მცხოვრებ ხალხს სად ექნება საყოფი და სასარგებლო საჭმელ-სასმელი ქედის მაზრაში არსებობს ორი საავადმყოფო, ერთი ქედაში, ათი მუდმივი საწოლით, და მეორეც ცახმორისში, ამდენივე საწოლით. დღეში ქედაში ოცდა ათი ავადმყოფი ცხადდება. ქალებიც მიიჩვიენ საექიმო დახმარებით სარგებლობას. ექიმი ხულოშიც არის. ზოგიერთ ადგილებში „ბებია“ ქალებიც არიან. მომავალში განზრახულია ჯანმრთელობის განყოფილების უფრო გაფართოება. ქედის მაზრაში მიწის დიდი სივიწროვეა, სავარგი მიწები ძალიან ცოტაა, სთესენ უმთავრესათ სიმინდს. ჩამოსართმევი ადგილები თითქმის არა იყო რა ადგილობრივი მიწათ მოქმედების განყოფილების გამგის განცხადებით, მიწის მზომელები ძალიან საჭირო არიან ამ მაზრისთვის, რათა მიწათ-მოწყობამ ბოლო მისცეს იმ დავას, რომელიც ხშირია.

კიდევ დიდ ხანს გაგრძელდებოდა ალამალი-ოღლის საუბარი გლეხობასთან, მაგრამ გზა კიდევ დიდი გვაქვს

მხურვალეთ ემშვიდობება მოსულ ხალხი ძვირფას სტუმრებს და აღთქმას იძლევა, რომ ხელი შეუწყონ საბჭოთა აღმშენებლობას.

ჯერ კიდევ ქვემო აჭარაა. გზაში იგივე სურათებია: განუწყვეტელი მიმოსვლაა ბათომისაკენ. გვხვდებიან ქალები, რომლებიც სახეს გვარიდებენ, გზას გვიცლიან, თუმცა ჩადრი ისეთაც შეუძლებელია ხედის მათი სახის დანახვას. კრებებზეც სრულებით ვერ შევხვდით აჭარელ ქალებს. სოფელ ჭვალთან გზიდან ცოტა მოშორებით რამდენიმე ასეული კაცი მუშაობდა ახალი გზას გასაყვანათ, რომელიც რამდენიმე სოფელს შეაერთებს. ამხ. თახსინს დაპირდენ, რომ ათ დღეში გზა დამთავრებული იქნება დღეს მთელ გზაზე ათასკაცამდე მუშაობს. მათ შორის აჭარისტანის ცაკის ზოგიერთი წევრები, რომლებიც დანარჩენ ხალხთან ერთად მხურვალეთ ესალმებიან თავიანთ საყვარელ ხელმძღვანელს და მოსულ სტუმრებს. სამწუხაროთ ამ სურათების დროს ჩვენთან არ არიან ალამალი-ოღლი, შავერდოვი და ქვანია, რომლებიც ჩვენზე წინ არიან. საზოგადოთ ყოველ ფეხის გადადგმაზე რწმუნდებით, რომ მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომა მიმდინარეობს მთელ საბჭოთა აჭარისტანში.

უახლოვდებით ქვედა აჭარის საზღვრებს. იწყება ზემო აჭარა, რომლის ბუნება კიდევ უფრო ლამაზია, უფრო მწირია მოსავლისთვის, სამაგიეროთ მომხიბლავია მთების მოყვარულ ტურისტისთვის. ხევის ორივე ნაპირზედ მოსჩანან ფერდობებზედ ნაყინვარი, ტყის ზოგიერთ ადგილებიდან მოდის კვამლი, იღებენ ახოებს როგორც რაჭაში, ზემო იმერეთში და საქართველოს სხვა მთა-გორიან ადგილებში. გლეხობა უკვე ემზადება თესვისთვის და მალე ხვნა-თესვა გაჩაღდება. ზემო და ქვემო აჭარის საზღვარზე ახალი ხიდის გვერდზედ ძველი ხიდიც მოსჩანს, რომელიც კარგათ შენახულია. თამარის აშენე-

მისალმებანი.

ცაკის და სახკომსაბჭოს სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. ჩოჩუაძე, პროფსაბჭოს სახელით ამხ. ომიაძე.

დღის წესრიგი.

კონფერენციამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, შრომის სახალხო კომისარიატის მოხსენება, კომუნალურ მეურნეობის მოხსენება, აჯპოლ-ს მუშაობის ანგარიში, ხელფასის პოლიტიკის საკითხი, შრომის შემნახველი სალარო და მიმდინარე საკითხები.

კონფერენციამ ფეხზე მდგომით პატივი ეცა ამხ. ლენინის ხსოვნას.

მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გააკეთა ამხ. სვანიძემ, რის შემდეგ კონფერენციის პირველი სხდომა დაიხურა.

მეორე სხდომა

აჭარისტანის შრომის კომისარიატის მოღვაწეობა.

(ამხ. ბრეგვაძის მოხსენება).

შრომის დაცვა.

შრომის დაცვის სფეროში მუშაობას ერთი ნაკლი ჰქონდა—გარე უბნებს ვერ ექცეოდა შესაფერი ყურადღება. ეს ნაკლი უკვე გამოსწორებულია.

შრომის ინსპექტორმა დაიარა და დაათვალიერა 423 წარმოება. აქედან 250 კერძო წარმოებას ეკუთვნის. შრომის კანონების დარღვევისთვის პასუხისგებაშია მიცემული 4 სახელმწიფო და 41 კერძო წარმოება-დაწესებულება.

მუშა ხელის განაწილება და უმუშევრობა.

განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული მუშა ხელის განაწილებას და უმუშევართათვის მატერიალურ დახმარების აღმოჩენის საქმეს.

უმუშევართა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, შრომის ბირჟაში გატარებულ უმუშევრებიდან—1.130 უმუშევარი დაზღვეული იქნა და მათ სისტემატიურად ეძლევათ დამზღვევ სალაროდან დახმარება ფულით.

შრომის კომისარიატმა, პროფესიონალური ორგანიზაციების დახმარებით, მოაწყო 11 არტელი, რომელთა გარშემო გაერთიანებულია 1343 მუშა.

აპრილს უმუშევრებს განსაკუთრებული შეღავათი და უპირატესობა აქვს მინიჭებული—პირველ რიგში ასინი იგზავნებიან სამუშაოზედ.

საკონფლიქტო მუშაობა.

ამ დარგში გაწეულია ფართო მუშაობა. შრომის სასამართლოები კარგათ მუშაობენ. უთანხმოებასა და დავას იწვევს უმთავრესად ხელფასის საკითხი და უმიზეზოთ დათხოვა. კომისარიატმა გაარჩია სულ—105 კონფლიქტი. აქედან 84 კონფლიქტი მუშების სასარგებლოდ გადაწყდა.

კოლექტიური ხელშეკრულება.

აჭარისტანში 115 კოლექტიური ხელშეკრულება და 72 სატარიფო შეთანხმებაა დადებული, რაც ვრცელდება 3068 მუშა-მოსამსახურეზე.

ტარიფის დარღვევა მაზრებში.

მომხსენებელი ეხება სოციალური დაზღვევის პრინციპების ფართოდ გატარებას ოლქში და აღნიშნავს, რომ შრომის კომისარიატი ამ მიმართულებით მუშაობას აწარმოებს.

მომხსენებელს მრავალი შეკითხვები მისცეს, რომელზედაც მან სათანადო პასუხი გასცა. შემდეგ გაიმართა კამათი.

ამხ. ბრეგვაძის მოხსენებით კონფერენციის მეორე სხდომა შესწყდა.

(მესამე სხდომა)

ბათუმის კომუნალური მეურნეობის მოღვაწეობა

ამხ. ოსიპოვის მოხსენება.

სამხედრო ფრონტიდან სამეურნეო ფრონტისაკენ.

კომუნალური მეურნეობა სამი წლის განმავლობაში მოქმედებდა არა მარტო ქალაქის კეთილ მოწყობის ფარგლებში, არამედ სახალხო მეურნეობის ზოგადი ფუნქციების მასშტაბითაც.

საწარმოვო დარგები.

კომუნალურ მეურნეობას დიდი ენერგიის და შრომის დახარჯვა დასჭირდა, რათა ნახევრად განადგურებული ელექტრო სადგურები და განსაკუთრებით სანიტარული ქარავანი თავის ნორმალურ კალაპოტში ჩაეყენებია.

წარმოების ახალი დარგების გახსნა.

1921 წ. კომ. მეურნეობას გადაეცა ყოფ. სამეურნეო საბჭოს ყველა საწარმოვო დარგები და კომუნალური მეურნეობა შეიქნა მატარებელი არა მარტო მუნიციპალური ფუნქციებისა, არამედ სახალხო მეურნეობის აღდგენის ფერხულშიაც ჩაება.

1923 წლის პირველ ნახევარში კომუნალურ მეურნეობას ამ ფრიად მნიშვნელოვან სამეურნეო ორგანოების აღსადგენათ და განსავითარებლათ დასჭირდა არა ერთი ათეული ათასი მანეთის გაღება. ზოგიერთი საწარმოო ერთეულები, როგორიც მაგ., ბიდონის და ფანერის ქარხნები, დაიკეტა, მხოლოდ დანარჩენებმა კი მოკლე ხნის განმავლობაში შესძლეს არამც თუ უდეფიციტოთ ემუშავათ, არამედ მოგება მისცეს კომმეურნეობას 1923 წ. განმავლობაში. ქიმიური და თამბაქოს ქარხანა—ეს ორი დიდი საწარმოვო ერთეულები იპყრობენ არა მარტო ადგილობრივ ბაზარს, არამედ საბჭოთა რუსეთის ბაზარსაც კი.

სახალხო მეურნეობის აღორძინება.

კომმეურნეობამ დაასრულა ჰიდროელექტრონული სადგურის პროექტის შედგენა აჭარისწყალზე, რომელიც ღირსეული მემკვიდრე უნდა იქნეს არსებული ელექტრო სადგურებისა.

ყოფილი სამეურნეო საბჭოდან გადმოცემული საწარმოვო ერთეულები იმდენათ გაწვითარდენ, რომ ამ ჟამად შეუძლიათ შეუდგენ თავის პირდაპირ მოვალეობის შესრულებას—სახალხო მეურნეობის აღორძინებას ადგილობრივ მუნიციპალიტეტის დახმარებლად.

მომხსენებელს მრავალი შეკითხვები მისცეს. შემდეგ გაიმართა კამათი.

ამხ. ოსიპოვი საპასუხო სიტყვაში შეპირდა კონფერენციას კამათის დროს აღნიშნული დეფექტების მომავალში გამოსწორებას.

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარულათ.

თბილისის მაზრის ყველა რაიკომებს.

წინადადება გეძლევათ ა. წ. 15 აპრილიდან გაატაროთ თქვენს რაიონში კამპანია გლეხთა ურთიერთშორის დახმარების კომიტეტების გასამტკიცებლათ.

ამ კომიტეტებს პარტია უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს. კომიტეტებმა, გარდა დახმარების მოწყობისა ხელმოკლე და უსახსრო გლეხებისათვის—უნდა ჩაბან გლეხობა საერთო საბჭოთა აღმშენებლობაში.

ამ კამპანიის ჩასატარებლათ მოაწყვეთ რაიონულ აღმასკომთან სპეციალური კომისია, რომელშიაც უნდა შევიდენ რაიონულ აღმასკომის, რაიკომის, ქალთა განყოფილების, ახალგაზრდათა კომკავშირის, სახალხო განათლების განყოფილების და საადგილ მამულო განყოფილების წარმომადგენლები.

ამ კომისიამ უნდა შეიმუშავოს გეგმა და გაატაროს კამპანია გლეხკომების გამტკიცების დროშის ქვეშ.

თბილისის კომიტეტის მდივანი: რუზენი.

თბილისის კომიტეტის საგ.-საპრ. განყ. გამგე: მ. ესხენი.

თბილისის მაზრის გლეხკომის თავმჯდომარე ათაბეკოვ-ტუმანი.

მოდიან პარტიაში

არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგების მიერ შემოტანილია რაიკომში განცხადებები კომუნისტურ პარტიაში შემოსვლის სურვილის შესახებ.

არსენალის რაიკომი სთხოვს ყველა იმ ამხანაგებს და პირებს, რომელთაც აქვთ რაიმე მამხილებელი საბუთები ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების წინააღმდეგ, წარმოადგინონ ასეთები რაიკომში (მახეილის პრ. № 96). 1) თიოფანე გვინცაძე, 2) სუმბათ ვართანოვი, 3) ვალერიან კობრაძე, 4) ენოკ აროიანცი, 5) ბესარიონ გაგნიძე, 6) ივანე აგასიევი, 7) ნესტორ გვაზავა, 8) კეროი ფარეზოვი, 9) სილიბისტრო იაშვილი, 10) ნიკოლოზ მთვრალაშვილი, 11) ანდრია სუდორგინი, 12) ალექსანდრე პაქპანიძე.

მდივანი მახსუდოვი.

განცხადებები პარტიაში შემოსვლის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იუწყება, რომ ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების მიერ შემოტანილია განცხადებანი კომუნისტურ პარტიაში შესვლის შესახებ.

ამხანაგებს და იმ პირებს, რომელთაც აქვთ რაიმე მამხილებელი საბუთები ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების მიერ არსენალის რაიკომი სთხოვს წარმოადგინონ რაიკომში (მახეილის პროსპ № 96).

1. მურადიანი პოლის, 2 პეტროსიანი აბრაამი, 3. კოვალევსკაია ანნა, (№ 8 იაჩ.) 4. აბრამიშვილი—(იაჩ. № 2), 5. სარქისიანცი არტაშეს (იაჩ. № 21), 6. ოვანესიანცი ანტონი, 7. სარქისოვი ვაგან, 8. ესაიევი ნიკოლოზ, 9. გურინ ვასილი, 10. მუსერიძე—იაჩ. № 12, 11. გაიდაია ნიკოლოზ—იაჩ №19, 12. ანდრიასოვი ხაჩატურ—იაჩ № 19, 13 გოგოშვილი დ.—იაჩ №10, 14. ტატუნაშვილი ანტონ—იაჩ. № 18, 15 პერიძე იასონ—იაჩ. № 18, 16. სარქისოვი ამირჯან—აჰკომკავშირის იაჩეიკა, 17. აირაპეტოვი შავარშ.—აჰკომკავშირის იაჩეიკა, 18. რუხიტაშვილი ბარბალე—იაჩ. № 2, 19. არაქელოვი ვ.—იაჩ. № 2, 20. ხანზანტიანცი ალ.—იაჩ. № 2, 21. ხახანოვი ლევონ—იაჩ. № 2, 22, მინაგაროვი მარო—იაჩ. № 2, 23. ჩამუქიძე ივანე—იაჩ. № 2, 24. ბათმანოვი დ.—იაჩ № 5, 25. ივანიცკი სერგო, 26. ვიშნისკი მ., 27. აგიკიანი ეგიშე—იაჩ. № 15 აჰკომკავშირის, 28 დუდოჩკინ მიხეილ—იაჩ. № 15, 29. ბარნაბიშვილი შ., 30. იაჩნიკოვა ვ. 31. შონიაძე ლიდია, 32. გოლ რომან, 33 ოსიპოვი ანდრანიკი, 34. გრიცუკ ალ., 35. გალანჯაროვი ე.—იაჩ. № 3, 36. ზალიევი ვაგან, 37. ვარდოიანი სურენ, 38 ბესტიაშვილი ზ., 39 ამბარცუმოვი გ., 40. ზელელური გ., 41. ჩანდიაშვილი, 42 იორდანიშვილი, 43. ბერმან ბორის—იაჩ. № 20, 44. ანტონოვი დ.—იაჩ. № 30, 45. მარტიროსოვი გ.—იაჩ. № 80. 46 ედიგაროვი გ.—იაჩ 80, 47. ავაქოვი აირაპეტი—იაჩ № 30, 48. არუთინოვი არშაკ—იაჩ № 30, 49. დიასამიძე მიხ.—იაჩ. № 30, 50. კაზარიანი გრიგ.—იაჩ. № 30, 51, არუთინოვი ისაკი, 52. აივაზოვი ივანე, 53. ბემლერ ფრიდრიხ, 54. ბაკუროვი ილია, 55. არჩვაძე ლონგეროს, 56. გიგაური დავით, 57. გუბაშვილი პეტრე, 58. იგნატოვი სტეფანე. 59. კუპიაშვილი მიხ., 60. მურადოვი რუბენ, 61. რევაზოვი არამ, 62. ოტელაშვილი სერგო, 63. ჩოპანოვი არტემ—იაჩ. № 13, 64 იურჩენკო ლუკა—იაჩ № 13, 65 ლომიძე ილია—იაჩ. № 5, 66. ხმელაშვილი იოსებ, 67. ბიგვთაიშვილი ვარლამ.

მდივანი მახსუდოვი.

ფშ. აღმასკომის კომკავშირის უჯრედში

ა. წ. სამ აპრილს შესდგა კომკავშირის უჯრედის მორიგი ღია კრება.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ქიქოძემ. აღსანიშნავია ის, რომ პირველად ამ დღიდან უარყავით ლექციური სისტემა და მოხსენება ჩატარდა საუბრის სახით. ეს უკანასკნელი უფრო ნაყოფიერია წევრთა აქტიობისთვის, ვინაიდან ყველა წევრები იღებენ მხურვალე მონაწილეობას საუბარში, მხოლოდ, რა თქმა უნდა, უფრო ცოცხლად და ნაყოფიერად ჩატარდება, თუ ესა თუ ის თემა უჯრედის პოლიტიკურ ცოდნის დონესთან იქნება შეფარდებული. აღნიშნულ მოხსენების შესახებ საუბარი გადატანილ იქნა შემდეგი სხდომისთვის გასაგრძელებლად.

უჯრედის წევრთა შორის სხდომაზე ჰქოვა გამოძახილი აგრეთვე უმწეო ბავშვთა დახმარების მიმდინარე კომპანიამ. მომავალი საბჭოთა მოქალაქენი უნდა დავიხსნათ ჩავარდნილ მძიმე მდგომარეობიდან; ეს კარგად იციან ამხანაგებმა და თავის წვლილი გამოიღეს ჯამაგირიდან პროცენტების გადარიცხვის სახით.

აგრეთვე გამოყოფილ იქნა კომისია ამხ. ამხ. გერმანის, სადირაშვილის და კულიჯანოვის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა კომუჯრედის მიერ გამოყოფილ კომისიასთან ნაყოფიერი მუშაობის წარმოება. უჯრედმა დაადგინა: გამოძახილ იქნას თბილისის ორგანიზაციის 1-ლ რაიონის № 1 უჯრედი და ყველა კომკავშირის უჯრედები თბ. აღმასკომის წარმოებათა, როგორიც არის მაგალითად: ტრამვაი, აბანოები, სასაკლაო, წყალსადენი, ელექტრონ. მომწესრიგებელი სამმართველო, ტრესტ-ები და სხ.

მუშკორი ნინა ხადიაშვილი.

ქალ. სამტრედია

ორშაბათს, 24 მარტს, სამტრედიის რკინისგზის მუშათა კლუბში მოხდა ფართე კრება მუშა-მოსამსახ. რომელსაც ესწრებოდა ხალხი დაუსწრო, დაესწრნენ აგრეთვე პარტიაში ახალი წევრების მიმღები სამაზრო კომისიის თავმჯდ. ამხ. მიშა გახოკია და წევრები ალ. სტურუა და ილ. სტურუა. პრეზიდიუმში აირჩიეს ამხხ ილ. სტურუა (თავმჯდ.), გარსევან ჯანჯალია, ვასო ჯიბლაძე (მდივანი) სამ. კომისიის ჩიმშვილი და ის ბოხუა. პარტიაში ახალი წევრების მიღებაზე ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. მიშა გახოკია, რომელიც აღნიშნავს იმ გმირულ ბრძოლას, რომელიც რიცხვით მცირემ, მაგრამ მტკიცე კომპარტიამ გადიტანა მრავალი, როგორც სამხედრო, ისე ეკონომიურ ფრონტზე. ეს უმთავრესად მიეწერება იმას, რომ მას ყავდა ისეთი თავდადებული და უანგარო ბელადი, როგორიც ამხ. ლენინი იყო მისმა დაკარგვამ განუსაზღვრელი მწუხარება გამოიწვია, როგორც პარტიაში ისე ფართო მუშათა და გლეხთა მასებში. ამისთვის პატიოსანმა მშრომელმა მასამ გადასწყვიტა, და ამ გადაწყვეტილებას სისრულეში შეუდგა ჩვენი ცენტრალური კომიტეტი, შეავსოს კომპარტიის რიგები ახალი წევრებით, რომლებიც ღირსეული დამცველი იქნებიან ამხ. ლენინის გზის, მისი იდეების გამტარებელნი. გადაწყვეტილია პარტიას შემატოს მთელს საბჭოთა რუს. ფარგლებში ასი ათასი დაზგასთან მომუშავე ამხანაგი. საქართველოს ერგო ამ რიცხვში 2 ათასი. გასაგებია ის აღტყინება და ლტოლვა ჩვენი პარტიისაკენ, რომელსაც იჩენენ ამხ. მუშები. დღეს ჩვენ უნდა შევაფასოთ და დავახასიათოთ განცხადების შემომტანი ამხ. მუშა, მოდის ის კომ. პარტიაში ნამდვილი შეგნებით ყოველგვარ პირადი ანგარიშების გარეშე, როგორც მუშა და თავდადებული რევოლუციონერი, კაპიტალის წინააღმდეგ მებრძოლი, თუ სხვა მიზნებით. ჩი, ამ კრებამ ჩვენ უნდა მოგვცეს დღეს ასეთი მშრომელები და კომისიაც დარწმუნებულია, თქვენი დახმარებით შევძლებთ ამას. განცხადებები 700 იყო, სადაც როგორც დაზგასთან მომუშავე ამხ. ისე მუშა-მოსამსახურ თხოულობენ პარტიაში მიღებას. შეუდგენ შეფასებას. აქ გამოიჩინეს ამხ. მუშებმა საუცხოვო სიყვარული კომპარტიისადმი. იყო ისეთი შემთხვევები: ესა თუ ის პირი ცდილობდა გაძრომას პარტიაში, რომ მერმე თავისი პირადი საქმე მოეგვარებია, მაგრამ მას უარით ისტუმრებდენ. მუშაობა გაგრძელდა სულ ორი დღე და სათანადო ნაყოფი მოგვცა. სამწუხაროდ, სამტრედიას არ შეხვდა მოზრდილი რიცხვი, რომ ამხ. მუშებს უფრო მეტი მიგვეღო, მაგრამ ამით გული ნუ გაიტეხენ ისინი, თანდათანობით იქნებიან მიღებულნი პარტიაში ის პატიოსანი მუშები, რომელნიც ეხლა გამორჩენ.

ხან-კანი.

სენაკის მაზრა

(პარტ მუშაობის მოკლე მიმოხილვა იანვარ-თებერვლის განმავლობაში)

საანგარიშო პერიოდში მაზრკომის მიერ იყო მოწვეული რაიკომების მდივნების თათბირი, რომელზედაც გაირჩა უმთავრესად პარტიული მშენებლობისა და აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები. თითქმის ყველა თემებში გაიხსნა წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლები, სადაც მიმდინარეობს მეცადინეობა სისტემატიურად კვირაში ორჯერ.

სამაზრო კომიტეტმა ადგილობრივ ორგანიზაციებს დაუგზავნა შესაფერი დირექტივები რელიგიურ საკითხში ფრთხილი მოქმედების შესახებ.

პოლიტწრეების მუშაობას დაეტყო გაუმჯობესობა. მათი რიცხვი მაზრაში უდრის 57, რომლებშიც მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. მათზე მიმაგრებულია უფრო მომზადებული ამხანაგები, ხოლო ზოგიერთ სოფლებში, სადაც პარტიული მომზადებული პირი არ იშოვება, მიმაგრებულია უპარტიო მასწავლებლები, რომლებიც მუშაობენ რაიკომების ხელმძღვანელობით. პოლიტწრეებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ უპარტიო მუშა-მოსამსახურეები.

საერთო ხასიათის კამპანიები ჩატარებულ იქნა შემდეგი: 1)საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავი, 2) წითელი ლაშქრის არსებობის ექვსი წლის თავი, 3) პეტროგრადში მუშების დახვრეტის 19 წლის თავი და 4) კომპარტიისა და კომკავშირის დაახლოვების კვირეული. კამპანიების ჩატარების დროს ყველა თემებში მოეწყო მიტინგები და კრებები, სადაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ უპარტიო მუშები და გლეხები, სიტყვებით, მისალმებებით და სხვა სახით.

რაიკომები ყურადღებას აქცევდენ გაზეთების გავრცელების საქმეს და დღეს თითოეულ უჯრედს აქვს გამოწერილი რამოდენიმე ცალი გაზეთებისა.

ქალთა განყოფილების მიერ ახ. სენაკის რაიონზე მივლინებულ იქნა ინსტრუქტორი, რომელმაც ჩაატარა უპარტიო ქალთა ხუთი კრება. ქალაქში, უპარტიო ქალთა შორის, დაარსებულ პოლიტწრეში განყოფილება აწყობდა სისტემატიურ მეცადინეობას, რომელსაც ესწრებოდა 49 უპარტიო მოსამსახურე—ქალები. ქ. ახალ-სენაკში ორჯელ შესდგა დელეგატ ქალთა კრება. ქალთა საერთო და სადელეგატო კრებაზე წაკითხულ იქნა ლექციები პოლიტიკური, ისტორიული და სოციალური შინაარსის საკითხებზე. ცოლ ქმართა განქორწინების დროს სასამართლოში ქალთა განყოფილება სცდილობს დაიცვას ქალთა ინტერესები. ასეთი შემთხვევა იყო ორი.

ახ. კ. კავშირის სამაზრო კომიტეტთან მაზკომს აქვს მჭიდრო კავშირი ურთიერთშორის წარმომადგენლობით. ადგილებზე კომკავშირის ორგანიზაციებს ხელმძღვანელობენ რაიკომის მდივნები. კ. კ. წევრები ესწრებიან პარტიის უჯრედების და სათემო გაერთიანებულ კრებებს.

კ. კ—ის უჯრედებზე სპეციალურად მიმაგრებულია ამხანაგები მაზკომს არ ყავს. კავშირში არსებულ მარქსისტულ და პოლიტწრეებში მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ორჯერ. ზამთრის თვეებში მათი მუშაობას უფრო ინტენსიური ხასიათი ჰქონდა მიღებული.

საანგარიშო ხნის განსავლობაში მაზკომის პრეზიდიუმის სხდომა იყო 8, პლენუმის კიდევ 8 მათზე გარჩეულ იქნა 107 სხვადასხვა საკითხი.

გ. კ—ძე.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(9 აპრილი)

ჩერვონცები	—	65.000 მილ.
გირვ. სტერლინგ ეფექტ.		53 000 „
„ ჩეკები	—	48 100 „
დოლარი ეფექ.	—	12.600 „
„ ჩეკები	—	11.700 „
ოსმ. ქალ. ლირა	—	6100 „
იტალიური ლირა	—	525 „
ფრანკი ფრანგ.	—	615 „

ბიულეტენი

ა. კ. სახ. ფინკომთან არსებული კურსის დამწესებელი სავალუტო კომისიისა.

(9 აპრილი)

ოქროს მანეთი 5.500 მილ.

მუშკოოპის ფასები

(9 აპრილი)

პური 2 ხარ.—6 კაპ., ძროხის ხორცი—43—45 კაპ., შაქარი რაფინადი—36 კაპ., შაქარი ფხვნილი—29 კაპ., ბრინჯი ალდ.—11 კაპ., კარტოფილი—3 კაპ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(9 აპრილი)

პური 1 ხარ.—10—12 კაპ., პური 2 ხარ.—8 კაპ., ძროხის ხორცი—50 კაპ., ღორის ხორცი—50 კაპ., შაქარი რაფინადი—38 კაპ., შაქარი ფხვნილი—29 კაპ., ბრინჯი ალდაშის—18 კაპ., კარტოფილი—5 კაპ.

ბირჟის მიმოხილვა

რუს. მანუფაქტურა, მზესუმზირას ზეთი, (2 ცისტერნი), ჩაი „ცენტროსოიუზ“-ის, ცეილონის და ჩინეთის, სპილენძი, ფურცლოვანი, თეთრი თუნუქი, (ინგლ.), ტყავის ღვედები, „სახაროტრესტ“-ის პროდ. „ხლებოპროდუქტ“-ის ფქვილი, ფანჯრის მინა (ბემის), ხორბალი და პურეული, სახ. მეურნ. საბჭ. საფეიქრო და საპნის ტრესტის პროდუქცია (საპონი „პეტუხ“ და ტუალეტის, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.), „კრაიტორგ“-ის პროდუქცია, (ცემენტი, ეტერნიტი და სხვ.), ყავა „მოკკო“, შაბიამანი, შაბი (განჯის), პაპიროსის ქაღალდი, გაზეთის ქაღალდი, იტალიური გოგირდი, ფეხსაცმელები (ინგლ.).

ბირჟის მოთხოვნილება.

თუშური მატყლი, რუს. მანუფაქტურა, ნედლი ტყავეულობა, ტეხნიკური ცხიმები, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, მზესუმზირას ზეთი, სალომასი, ქვა-მარილი ნახიჩ., პორტლანდის ცემენტი, თხილი, გოგირდი (ფხვნილი), ტომრები, ავსტრალიის ქონი.

ოფიციალური ფასები.

პურის ფქვილი 1 ხარ.—3 მან. 25 კ. და 2 ხარ.—2 მან. 70 კ. ფ., ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

ქაფი—6½ მან. ფუთი,—ფრანკო-საწყობი თბილისში.

რკინა—(ქვაბის)—8 მან. 40 კაპ. ფუთი, ფრანკო გამყიდველის საწყობი.

ელექტრონის ლამპები „მერკური“, 220 ვოლტ., 50 სანთლ.—1 მ. 50 კ; „ვოლტან“—500 ვატი.—12 მ ფრანკო გამყიდველის საწყობი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრებზე მოქმედება შესუსტებულია.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება

(9 აპრილი)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით
1	კ.—65.000.000	56	კ.—3.640.000.000
2	კ.—130.000.000	57	კ.—3.705.000.000
3	კ.—195.000.000	58	კ.—3.770.000.000
4	კ.—260.000.000	59	კ.—3.835.000.000
5	კ.—325.000.000	60	კ.—3.900.000.000
6	კ.—390.000.000	61	კ.—3.965.000.000
7	კ.—455.000.000	62	კ.—4.030.000.000
8	კ.—520.000.000	63	კ.—4.095.000.000
9	კ.—585.000.000	64	კ.—4.160.000.000
10	კ.—650.000.000	65	კ.—4.225.000.000
11	კ.—715.000.000	66	კ.—4.290.000.000
12	კ.—780.000.000	67	კ.—4.355.000.000
13	კ.—845.000.000	68	კ.—4.420.000.000
14	კ.—910.000.000	69	კ.—4.485.000.000
15	კ.—975.000.000	70	კ.—4.550.000.000
16	კ.—1.040.000.000	71	კ.—4.615.000.000
17	კ.—1.105.000.000	72	კ.—4.680.000.000
18	კ.—1.170.000.000	73	კ.—4.745.000.000
19	კ.—1.235.000.000	74	კ.—4.810.000.000
20	კ.—1.300.000.000	75	კ.—4.875.000.000
21	კ.—1.365.000.000	76	კ.—4.940.000.000
22	კ.—1.430.000.000	77	კ.—5.005.000.000
23	კ.—1.495.000.000	78	კ.—5.070.000.000
24	კ.—1.560.000.000	79	კ.—5.135.000.000
25	კ.—1.625.000.000	80	კ.—5.200.000.000
26	კ.—1.690.000.000	81	კ.—5.265.000.000
27	კ.—1.755.000.000	82	კ.—5.330.000.000
28	კ.—1.820.000.000	83	კ.—5.395.000.000
29	კ.—1.885.000.000	84	კ.—5.460.000.000
30	კ.—1.950.000.000	85	კ.—5.525.000.000
31	კ.—2.015.000.000	86	კ.—5.590.000.000
32	კ.—2.080.000.000	87	კ.—5.655.000.000
33	კ.—2.145.000.000	88	კ.—5.720.000.000
34	კ.—2.210.000.000	89	კ.—5.785.000.000
35	კ.—2.275.000.000	90	კ.—5.850.000.000
36	კ.—2.340.000.000	91	კ.—5.915.000.000
37	კ.—2.405.000.000	92	კ.—5.980.000.000
38	კ.—2.470.000.000	93	კ.—6.045.000.000
39	კ.—2.535.000.000	94	კ.—6.110.000.000
40	კ.—2.600.000.000	95	კ.—6.175.000.000
41	კ.—2.665.000.000	96	კ.—6.240.000.000
42	კ.—2.730.000.000	97	კ.—6.305.000.000
43	კ.—.2795.000.000	98	კ.—6.370.000.000
44	კ.—2.860.000.000	99	კ.—6.435.000.000
45	კ.—2.925.000.000	1 მ.	6.500.000.000
46	კ.—2.990.000.000	2 მ.	—13.000.000.000
47	კ.—3.055.000.000	3 მ.	—19.500.000.000
48	კ.—3.120.000.000	4 მ.	—26.000.000.000
49	კ.—3.185.000.000	5 მ.	—32.500.000.000
50	კ.—3.250.000.000	6 მ.	—39.000.000.000
51	კ.—3.315.000.000	7 მ.	—45.500.000.000
52	კ.—3.380.000.000	8 მ.	—52.000.000.000
53	კ.—3.445.000.000	9 მ.	—58.500.000.000
54	კ.—3.510.000.000	1 ჩერ.	65.000.000.000
55	კ.—3.575.000.000		

შინა-ვაჭრობის კომიტეტში.

საქონლის შემოტანის საკითხი. — შინა ვაჭრობის კომიტეტმა, ფართო მომხმარებელთა მასის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, განსაკუთრებით სოფლად, საჭიროდ სცნო კოოპერატივებში იყოს შემდეგი საქონლის ასორტიმენტი: ფქვილი, შაქარი, ჩაი, კეროსინი, მარილი, ასანთი, რკინეულობა (სახურავი, ლურსმნები და სხვა), ჰურჰელი, ფანჯრის და ლამპების შუშები, ბაწარი, ტომრები, საპონი, მონპასიე, თამბაქო, პაპიროსები, საწერი ქაღალდი, ფანქრები და სხვა, ფეხსაცმელები, ძაფი, ნემსები, ფეხსაცმელების ძირები, თოკი, თელების წასასმელი, შაბიამანი, გოგირდი და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი (ცელები, ნამგლები და სხვ.).

რაც შეეხება მანუფაქტურას, შინა ვაჭრობის კომიტეტი აღიარებს, რომ ზოგიერთი საქონელი იმ ასორტიმენტიდან, რომელსაც უგზავნენ კოოპერატივებისთვის სახელმწიფო ორგანოები (საფეიქრო სინდიკატი), არ შეეფერება სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებას, ამიტომ საჭიროა, რათა კოოპერატივებისთვის გამოშვებული იქნეს შემდეგი მანუფაქტურა: ჩითი (30 პროც.), თეთრეული (20 პროც.), ნარმა (30 პრ.), მიტკალი (30 პრ.), სამკე საქონელი (2 პრ.) და ტანსაცმლები (8 პროც.)

ამიერ-კავკასიის სახაზინო ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში.

აბრეშუმის თესლის მიღება და განაწილება.

საზღვარ გარეთიდან შემოტანილია (მოქ. ფერრანის მიერ) 18 750 კოლოფი აბრეშუმის თესლისა (გრენის), რომელიც თბილი ამინდის გამო ეხლავე განაწილებული იქნება ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორის.

აბრეშუმის თესლის უფასოდ გაცემა აზერბეიჯანში.

რწმუნებულის სამმართველოს პრეზიდიუმმა დაადგინა—აბრეშუმის თესლი უფასოდ დაურიგდეს მეაბრეშუმეთ აზერბეიჯანში, ხოლო იმ პირობით რომ ეს პროდუქცია მიეყიდოს ა. კ. სავაჭრო სამმართველოს იმ ფასებში, რომლებიც დადგენილ იქნება აზერბაიჯანის სავაჭრო-სამრეწველო კომისარიატის მიერ.

ბრძოლა კონტრაბანდასთან.

რწმუნებულის სამმართველომ საჭიროდ სცნო კონტრაბანდასთან ბრძოლაში ადმინისტრატიულ ზომებთან ერთად მიღებულ იქნეს ეკონომიური ზომებიც. ვინაიდან კონტრაბანდის გზით შემოდის საქონლის მცირე ჯგუფი, უმთავრესად მანუფაქტურა, პრეზიდიუმმა დაადგინა—აღიძრას შუამდგომლობა საგარეო ვაჭრობის კომისარიატის წინაშე, რათა სახელ. ორგანოებისათვის დადგენილი იყოს შემოტანის კონტინგენტი (ввозной контингент) აღნიშნულ ჯგუფისათვის.

საკონტროლო განყოფილება

შემუშავებულია პროექტი საკონტროლო განყოფილების დებულებისა რწმუნებულის სამმართველოსთან. საკონტროლო აპარატის ხელმძღვანელად დანიშნულია ამხ. პეტრაკოვსკი.

სავაჭრო-სამრეწველო მუზეუმის ორგანიზაცია.

ბაზრობის ქვე განყოფილებას მიეცა წინადადება შეუდგეს მუშაობას მუზეუმის მოწყობისათვის, რისთვისაც გადადებულია 2905 ჩ. მან. თანხა.

ტყავის დამამუშავებელ წარმოებათა ტრესტში.

(თებერვლის ანგარიში).

ამ წლის თებერვლის განმავლობაში ტრესტში შედიოდა 6 წარმოება, აქედან ორი ტყავის დამმუშავებელი ქარხანა, ერთი ფეხსაცმელების ფაბრიკა, ხელოსნური ფეხსაცმელების ფაბრიკა და ელექტრონის სადგური მუშაობდენ სავსებით, ხოლო ქეჩის ფაბრიკაში (რომელიც გაჩერებულია 1923 წ. თებერვლიდან) მუშაობდა მხოლოდ ორი საწმენდი მანქანა.

ყველა წარმოებებში ირიცხება: საწარმოვო მუშა—295 და მოსამსახურე—26.

პროდუქცია: ოთხი წარმოებების პროდუქციის (ე. ი. ორი ტყავის ქარხნის, ფეხსაცმელების ფაბრიკის და ელექტრონის სადგურისა) ღირებულება უდრის 69,444 მანეთის, აქედან ყველაზე მეტი მოდის ტყავის ქარხანაზე № 1 (35,199 მან.)

ორ ტყავის ქარხანაში დამუშავებულია 1915 მსხვილი ტყავი და 342 წვრილი.

ფეხსაცმელების ფაბრიკამ თებერვალში დაამზადა 363 წყვილი ფეხსაცმელი (ბატინკები), 1015 წყვილი სანდალი, 326 წყვილი სხვა ფეხსაცმელი.

ხელოსნური ფეხსაცმელის სახელოსნომ დაამზადა პროდუქცია, სულ 1411 მან. ღირებულებისა.

თებერვლის განმავლობაში ტყავის ქარხნებში შემოსულია 1127 მსხვილი და 47 წვრილა ტყავი; გამოშვებულია წარმოებაში 1815 მსხვილი ტყავი, დარჩა 2378 ტყავი, რაც შეადგენს თვიურ მარაგს.

თებერვალში ტრესტის ნაწარმოებიდან გასაღებულია სულ 51,061 მანეთის საქონელი.

ულიაო—ამბობს ამხ. ხიმშიაშვილი. ავტომობილი სულ მაღლა და მაღლა იწევს. კვნესის, ხვნეშის. გზაში შიგადაშიგ ვხვდებით ბათომისაკენ მიმავალ კაჭკებს, საქონელს, ძროხებს, ცხენებს, რომლებიც გზის სივიწროვის გამო, გვერდზე გადასვლას ვერ ახერხებენ. შოფერს დიდი ყურადღება და ძალის დახარჯვა სჭირდება, რომ არაფერი არ მოხდეს. [illegible] საუკეთესო ექსკურსია.

ხეობის ორივე ნაპირზე ამართულია უზარმაზარი კლდეები, ამაყათ გადმოგვჩერებიან ზევიდან. შოფერი გაბედულათ მიაქანებს მაინც ზევით ავტომობილს.

ჩვენი თანამგზავრი ლუმბერგი აღტაცებაში მოდის შოფერების გაბედულობით და სიმარდით, ევროპაში ვერ იძლევა არც ერთი შოფერი არ დასთანხმდეს ასეთ საშიშ ადგილებში მოგზაურობაზე—ამბობს.

ხულო

უახლოვდებით ხულოს.

ორივე მხრივ მოსჩანან სოფლები ბაღ-ვენახებით, ერთ ადგილას გალმა მეთოფილეთა საკმაო დიდი გუნდის ხური ისმის.

შორიდან გამოჩნდა აჭარის სოფლებისთვის არაჩვეული ქვითკირის სახლი, რომელიც ამაყათ გადმოიყურება ხულოს ერთი ვაკე მაღლობიდან. ეს არის სასახლე ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილისა, რომელსაც ზემო აჭარის ფუხარა ხალხი სულ მონაჩილებაში ჰყავდა და კიდეც მონაზებულად სარგებლობდა ამ ძალაუფლებით. რასაკვირველია, პირადი სარგებლობისთვის.

ეხლა ამ სასახლეში მოთავსებულია მაზრო მმართველობა და მილიცია. მილიციონერები კოხტათ გამოირჩევიან ყველა პოსტებზედ, მთელი ჩვენი მოგზაურობის დროს, აჭარელის სიმკვირცხლე მოსჩანს თვითეულ მათგანში. აჭარისტანის მილიციაში 500 კაცზედ მეტი ითვლება. მილიცია შესდგება სანდო ელემენტებისაგან და პირნათლათ ასრულებს თავის მოვალეობას. ჯამაგირი შედარებით მცირეა, 18 მანეთამდე, მხოლოდ მაზრის მილიციის უფროსი იღებს 25 მანეთს. სახამთრო ტანისამოსი მხოლოდ ეხლა, გაზაფხულზე მიუღიათ, მილიციის პოლიტიკური მომზადებისთვის ბათომში გახსნილია კურსები. მილიციელები მეცადინეობას დიდი ხალისით ეკიდებიან. აჭარისტანის შინაგან—საქმეთა სახალხო კომისარის, ამხ. ა. ქავთარაძის, განცხადებით ასეთივე კურსების გახსნა ახლო მომავალში განზრახულია მაზრების მილიციელთათვისაც. ბანდიტიზმის ნაშთიც კი არ არსებობს მთელ აჭარისტანის რესპუბლიკაში

მივედით ხულოში. უკანასკნელი მნიშვნელოვანი პუნქტია აჭარისტანში, რომელიც საზღვრიდან დაშორებულია დაახლოვებით ათი ვერსით

საზღვარზე, მთებში ჯერ კიდევ გაუტეხელი თოვლი სძევს. ხულოს მაზრაში 25,000-სამდე მცხოვრებელი ითვლება, მიწის სივიწროვე აქაც დიდია. განათლების მხრივ, მაზრა მეტად ჩამორჩენილია, წერა კითხვის უცოდინართა რიცხვი 99 პროცენტს, აღწევს, ხალხის მომწყრის შოვაც სჭირს ახალგაზრდობაზე ნაკლებათ ზრუნავენ მშობლები, ქალთა განათლება ხომ სულ უცხო და აკრძალული ხილია. ხოჯები რასაკვირველია, ქალთა განათლებისთვის თავს არ შეიწუხებენ, მათი ძალა გავლენა კი აქ ჯერ კიდევ დიდია. ამიტომ მარტის დასაწყისში აქ გაუხსნიათ ხუთი სკოლა, სულ ათი სკოლა არსებობს მათში მოსწავლეთა რიცხვი უდრის 800-სს. ქალებს სკოლებში არ უშვებენ. მშობლები და მთელი ხულოს მაზრის სკოლებში ვერც ერთ ქალს ვერ ნახავთ. მხოლოდ ერთ სოფელში ხუთი ქალიშვილი ჩუმათ, ღამით მშობლების ნება დაურთველათ მიდიან სკოლებში სამეცადინოთ

ამხ. ადამალი-ოღლი მიმართავს შეკრებილ ხალხს და უხსნის ქალთა განთავისუფლების საჭიროებას.

ჩვენ მოგზაურობის დროს თქვენს ქვეყანაში თქვენი ქალები ყოველთვის ზურგს შემოგვაქცევენ ხოლმე, ასეთი შეხვედრა, მგონი ჩვენ არ დაგვიმსახურებია — მიმართავს ის ხალხს.

— ვინ ზრდის ბავშვს ათ წლამდე მაინც.

— ქალები.

— მაშინ, ისინი რომ განათლებულნი იყვნენ, ხომ უკეთ აღზრდიდენ თავის შვილებს?

— რასაკვირველია...

ეთანხმება შეკრებილი ხალხი.

— მაშ სირცხვილია ქალების ისეთ მდგომარეობაში დატოვება, როგორც ეს თქვენშია. დიდი შეცდომაა, რომ ვერც ერთ მოზარდ ქალს სკოლებში ვერ ვხედავთ მთელ მაზრაში.

ამხ. ადამალი-ოღლი მოუწოდებს ხალხს ქალთა განათლებისკენ. ამ მიზნით ის 1500 მანეთს უტოვებს აჭარისტანის განათლების კომისარს, რომელიც თავის მხრივ 1500 მანეთს იღებს ხულოს ქალთა სასწავლებლისთვის.

ხულოს მაზრაში სწარმოებს პარტიული მუშაობა. არსებობს როგორც პარტიის, ისე კომკავშირის ორგანიზაცია, რომელშიც 120 კაცამდე ითვლება.

ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილის ეზოში საუცხოვო მაღლობ ადგილზედ განზრახულია აგება ამხ. ლენინის ძეგლის, რომელიც ამაყათ აიმართება აჭარის მთების მწვერვალებში და ნიშანი იქნება ფუხარა ხალხის ცხოვრებაში ახალი ხანის დაწყებისა.

ვბრუნდებით ბათომში ღამის ათ საათზე, და ვლაპარაკობთ აჭარის მომავალზე. სულ მოკლე დროში საბჭოთა ხელისუფლებას ბევრი გაუკეთებია აქ, აღმოსავლეთის კარებთან. კიდევ უფრო მეტი გასაკეთებელია და გვწამს, რომ ძლევა-მოსილი იდეები კომუნიზმისა თან და თან უფრო მძლავრათ გაანათებს აჭარის მიდამოებსაც, შეებრძოლება სტიქიას, აამუშავებს ბუნების ძალებს, ფუხარა ხალხის საკეთილდღეოთ. ბრწყინვალე მომავალი ისახება მის წინ. განზრახულია პირველ რიგში აჭარის წყალზე ჰიდრო-სადგურის აშენება, რომლის გეგმა უკვე წარმოდგენილია სათანადო ხარჯთ აღრიცხვით საკავშირო შრომის და თავდაცვის საბჭოში.

მტკვარს მალე დავსძლევთ. ავჭალის ჰიდრო-სადგურის დამთავრება იქნება უდიდესი გამარჯვება შრომისა და კომუნიზმისა.

არანაკლები გამარჯვება იქნება აჭარის წყალზედ 5000 ძალიანი ჰიდრო სადგურის აშენება, მიუვალ ხეობების განათება ელექტრონის „მზით“, რომელიც ჩვენ მძლავრ მოკავშირეთ ითვლება.

ელექტროფიკაცია და კომუნიზმი გაიმარჯვებს, გაანათებს ახალი კაცობრიობის ცხოვრებას.

ი. ბუაჩიძე.

2 აპრილი.

კომისია ფოთში

ამიერ-კავკასიის ცაკის კომისიამ დაათვალიერა 3 აპრილს ფოთის ნავთსადგური, გემების სარემონტო ქარხანა, შარშანდელ წყალდიდობით გაფუჭებული ხიდი მალთაყვაში, რომელიც აერთებდა ქალაქ ფოთს გურიის სოფლებთან.

ხიდი ზღვაში მოქცეულა და გურიიდან ჩამოსულ გლეხობას ბორანით უხდება მიმოსვლა, რაც ცუდი ამინდის და ზღვის მღელვარების დროს შეუძლებელი ხდება.

კომისიამ დაათვალიერა აგრეთვე ფოთის სახელოსნო სასწავლებელი, რომელშიაც 84 მოწაფე სწავლობს—მუშების და ღარიბ გლეხობის შვილები. სკოლა უსახსრობის გამო ცუდ მდგომარეობაშია, თუმცა მას დიდ სარგებლობის მოტანა შეუძლია კომისიამ მიიღო ყოველივე ეს მხედველობაში და გადასცა სკოლის სასარგებლოთ 800 მანეთი.

კომისია გაეცნო აგრეთვე ნავთსადგურის მუშაობას. ამჟამად ყველა მოსულ გემების ნაპირზე მიღება შეუძლებელია უადგილობის გამო; ორი გემი ზღვაში სდგას, უცდიან რიგს, სანამ გათავისუფლდეს ნაპირზე მდგომ გემების დატვირთვა მარგანეცით, სიმინდით და სხვა.

კომისია დაპირდა ფოთელ ამხანაგებს ნოვოროსიისკიდან „პოლუქსის“ გამოწერას, რომლითაც შესაძლებელია ნავთსადგურის გამაგრება და ახალი ნაპირების ჭაობების ამოშრობა.

ი. ბ.

გლეხთა კომიტეტების გაძლიერებისათვის

ინსტრუქცია

კვირეულის ჩატარების

კვირეულის ჩასატარებლად კომისიებმა, რომლებიც ატარებენ კვირეულს რაიონში, უნდა იხელმძღვანელონ შემდეგით:

1. მოეწყოს რაიონის ყველა სოფლებში გლეხების საერთო კრებები, რომლებზედაც ფართოდ და სისრულით უნდა განემარტოს გლეხებს გლეხთა კომიტეტების უდიდესი მნიშვნელობა გლეხობისათვის. კომიტეტები დახასიათებული უნდა იქნენ არა მარტო როგორც ღარიბ და სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულ გლეხობისათვის დახმარების ორგანიზაცია, არამედ აგრეთვე, როგორც მათი არსებობის საერთო პირობების კოლექტიური გაუმჯობესების საშუალება.

2. ამ საერთო კრებებზე მოსმენილ იქნეს სასოფლო საგლეხო კომიტეტების ანგარიშები მათი სარევიზიო კომისიების დასკვნებით; ამავე დროს წინასწარ უნდა ხდებოდეს სასოფლო და რაიონულ გლეხთა კომიტეტების პირადი შემადგენლობის გადასინჯვა, საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი ხელახალი არჩევნები (სასოფლო საგლეხო კომიტეტებში აუცილებლად შეყვანილი უნდა იქნენ წევრები წითელარმიელთა ოჯახებიდან და თუნდაც ერთი ქალი).

3. საერთო კრებებზე დასმულ იქნეს საკითხი სამეურნეო დახმარების შესახებ სუსტ მეურნეობათათვის (წითელარმიელების, ინვალიდების, ქვრივების) მიწის დახვნის დარგში მთელი სოფლის ძალებით—რაც აუცილებლად მნიშვნელოვანია მომავალ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოსთან დაკავშირებით.

4. თუ არ გატარებულა გლეხების თვითდაბეგვრა მათივე კომიტეტების ფონდის სასარგებლოდ და თუ არის თუნდაც რაიმე შესაძლებლობა—უნდა გატარდეს ეს თვითდაბეგვრა. რადგანაც უფონდოთ შეუძლებელია გლეხთა კომიტეტების არსებობა.

5. წინადადება მიეცეს რაიაღმასკომებს მიჰქონდოთ სასოფლო საგლეხო კომიტეტებს თავისუფალი საფონდო მიწა საზოგადოებრივი წესით დასამუშავებლად საგლეხო კომიტეტების მიერ მათი ფონდების გასაძლიერებლად—აგრეთვე საფონდო პირობებში წისქვილები, საწნახლები და სხვა შემოსავლიანი წარმოებები. რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს საგლეხო მეურნეობისათვის.

6 სისწორით იქნეს აღრიცხული სოფლებში გაჭირვებული გლეხები—განსაკუთრებით ომის ინვალიდები, წითელარმიელთა ოჯახები, დემობილიზაციის გაშვებული წითელარმიელები, ობლები, ქვრივები და სხვ. მათთვის შესაძლებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით.

7 შედგენილი იქნეს კოლექტიური მუშაობის გეგმა გლეხთა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად (სოფლების გაწმენდა, გზების, არხების გაყვანა, სკოლების, საავადმყოფოების შენახვა და სხვა)

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე მ. ესხენი.

ტფილისის მაზრის გლეხთა კომიტეტის თავმჯდომარე ათაბეკოვ-ტუმანი.

სასოფლო მეურნეობა

ხანერგე ვენახების გაშენება საქართველოში

საქართველოს მევენახეობის პროდუქციის დიდ ნაწილს ყოველწლიურათ ანადგურებს ვაზის მჭამელა—ფილოქსერა. ამ ბოროტებასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ამერიკულ ვაზის გაშენება.

ჩვენი სასოფლო-მეურნეობის ორმა მთავარმა ორგანომ—მიწათ მოქმედების სახ. კომ-მა და წარმოკავშირმა 6 მარტს ურთიერთშორის დადებულ ხელშეკრულებით საძირეების ჩაყრის მეტად მნიშვნელოვანი საქმე. თანახმად ხელშეკრულებისა მიწათმოქმედების სახ კ-ტა უთმობს წარმოკავშირს სოფ. ჭყუბაში მდებარე

120 დესიატინა მიწას, რომელზედაც წარმოკავშირი ამთავითვე შეუდგება ამერიკულ ვაზების სადედე და ნამყენ ვაზის სანერგის გაშენებას, წარმოკავშირი აღნიშნულ ვენახების გაშენებას უკვე შეუდგა და წელს განზრახული აქვს დაამუშაოს 40 დესიატინა მიწა. ამ საქმის ნაყოფიერ განხორციელებისათვის წარმოკავშირთან დაარსებულია საფილოქსერო კომიტეტი, რომელშიაც წარმოკავშირის გარდა შედიან ყველა მევენახეთა კოოპერატივების წარმომადგენლები. აღნიშნულ კომიტეტის განკარგულებას ეძლევა საფილოქსერო ფონდი 60.000 მანეთის რაოდენობით, რომელიც შემდგარია წარმოკავშირისა და ზემოაღნიშნულ დაწესებულებების მიერ შემოტანილ საპაიო თანხებისაგან. მუშაობა ტარდება სპეციალისტ აგრონომის ხელმძღვანელობით, რომლის დასახმარებლად ეხლახან გაგზავნილია სამი აგრონომ-პრაქტიკანტი.

კამპანია ბამბის დასათესად საქართველოში

მარტის დასასრულს „გლავხლოპკომი“-ს და „წარმოკავშირი“-ს წარმომადგენლებმა შემოიარეს საქართველოს ბამბის სათესი რაიონები იმ საკითხების გამოსარკვევად, რომელიც დაკავშირებულია წლევანდელ ბამბის სათეს კამპანიასთან.

24 მარტს სარვანის (ბორჩალოს მაზრა) რაიონში შესდგა თათბირი, მიწ. სახ. კომის. „ბირლიკი“-ს და სარვანის რაიონის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

თათბირმა გამოარკვია, რომ წელს ამ რაიონში შესაძლებელია დაითესოს ბამბით 800-დან 900 დესეტინამდე. ბამბის მთავარმა სამმართველომ (გლავხლოპკომი) 421 დესეტინის დასათესად უკვე მისცა ფული თვითეულ დესეტინაზე 10 მანეთი. დანარჩენი მიწისათვის საჭიროა დათესვის მსურველთა სიის შედგენა მსურველთა მიმეცემათ სესხათ ფული თესლის შესაძენად.

27 მარტს მოეწყო თათბირი აზაგა-სერალის რაიონში. გამოირკვა, რომ აზაგა-სერალის რაიონში შეიძლება დაითესოს 600—700 დესეტ., ხოლო სარვანის რაიონში ამდენივე, —600 დესეტ. პირველ რაიონისთვის „გლავხლოპკომ“-მა უკვე მისცა ფული ავანსად 146 დესტ., ხოლო მეორე რაიონისთვის, 172 დესეტ დასათესად. ორივე თათბირზე გამოირკვა, რომ ადგილობრივ ბამბის თესლი არ მოიპოვება. სერვანის რაიონისათვის საჭიროა 2,700 ფუთზე არა ნაკლები, ხოლო ორი დანარჩენი რაიონისთვის 3,900 ფუთი.

ყველა რაიონში მოსარწყავი არხები მოუწყობელი და გაუსუფთავებელია, და საჭიროა მათი შეკეთება დაუყოვნებლივ.

თათბირმა საჭიროდ აღიარა აგრეთვე ბამბის ყანების კოლექტ. დაზღვევა სეტყვისაგან.

დადგენილია მთესველთ მიეცეს შედგენილ სიების მიხედვით ყოველ დესეტინაზე ათი მანეთი, ხოლო მეორე ავანსის ანგარიშში „წარმოკავშირი“-ს საშუალებით შეძენილ იქნეს საჭირო საქონელი და სასოფ.-სამეურნეო იარაღები.

მსხვილფეხ საქონლის უეცარი დახოცვა მცხეთაში

5 აპრილს მცხეთიდან შეატყობინეს სავეტერინარო სამმართველოს, რომ იქ უეცრივ დაიხოცათ საძოვარზე ძოვის დროს ილია და ალექსი მრევლიშვილებს ოთხი სული საქონელი.

იმავე დღეს მცხეთაში გაემგზავრა სავეტერინარო სამმართველოს მიერ მივლინებული ვეტერინარი ექიმი საქონლის ავადმყოფობის გამოსარკვევად. ვეტერინარ ექიმმა მოახდინა განკვეთა დახოცილ საქონლის ლეშისა.

ვეტექიმის მიერ თბილისის ვეტბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიაშიაც იქნა გასინჯული პატოლოგიური მასალა, მაგრამ არავითარი გადამდები სენი არ აღმოჩნდა.

ერთ-ერთ პატრონის, ალექსი მრევლიშვილის განცხადებით, მისი საქონელი მოიწამლა საძოვარზე საწამლავით, რომელსაც ვითომც ადგილობრივი ამბულატორიის ფერშალი ყრიდა მგლების და მელების მოსაწამლავათ.

თუ პატრონის იჭვი არ გამართლდა, მივლინებულ ვეტექიმის დასკვნა შემდეგია: საქონელი დაიხოცა მუცლის შემობერვის გამო (ტიმპანიტი), რომელიც ხშირათ ემართება საქონელს გაზაფხულის პირზე, როცა საქონელი საძოვარზე იდევნება და ხარბად სჭამს ნედლ ბალახს. ხშირია აგრეთვე იელით მოწამვლა.

მ—დი.

ა.-კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთა წარმომადგენლების ყრილობა

მეექვსე სხდომა

გადასახადის ნორმა საძოვრებით სარგებლობისათვის.

თავმჯდომარეს ამხ. კანდელაკს წინადადება შეაქვს, ყრილობამ გამოიმუშავოს საძოვრებით სარგებლობისთვის გადასახადის ნორმა.

ამხ. ერზნკიანი ეხება რა გადასახადის საკითხს, წინადადებას იძლევა გადასახადათ დაწესებული იქნეს ომამდე არსებული ნორმა, რომლის გადახდაც ოპონენტის აზრით მესაქონლეთ არ გაუჭირდებათ, რადგან ამ მეურნეობის ნაწარმოებზე (ხორცზე, რძეზე, ყველზე, კარაქზე, მატყლზე) ფასი ერთი ორად გაიზარდა მშვიდობიან დროსთან შედარებით.

გადასახადიდან შემოსული თანხა უნდა მოხმარდეს სასოფლო მეურნეობის აღდგენას და შევიდეს ადგილობრივ ბიუჯეტში.

ამხ. დათიევი არ ეთანხმება წინა ორატორს. მისი აზრით, მესაქონლეობის ნაწარმოებზე არსებული გაძვირებული ფასები მაჩვენებელია მისი, რომ საქონლის რიცხვის შემცირების გამო, შემცირდა ნაწარმოებიც, რამაც მისი სიძვირე გამოიწვია. ეს გარემოება გვიკარნახებს ჩვენ მესაქონლეობის აღდგენის მიზნით შექმნათ შეღავათიანი პირობები მესაქონლეობის არსებობისათვის. ოპონენტი მოითხოვს ომამდე არსებულ გადასახადის ნორმის განახევრებას.

ამხ. ფირალოვი აღნიშნავს, რომ ომამდე არსებული გადასახადი არ იყო მძიმე მესაქონლეებისათვის. მაშინ იხდიდა 1 მანეთს თვითეულ დესეტინა საბალახოსთვის, რომელიც ასაზრდოებდა 1 მსხვილფეხ და 5 წვრილ (ცხვარს) პირუტყვს—4 თვის განმავლობაში.

დასასრულ ყველა ოპონენტებს პასუხს აძლევს ამხ. ტიმოფეევი, რომელიც აღნიშნავს, რომ მან ყრილობას წარუდგინა საერთო პროგრამა, რომლის მიხედვითაც უნდა მოგვარდეს საძოვრების საკითხი.

კოოპერაცია

ამხ. „ფუტკარი და სკა“-ს მუშაობა

იმერეთის მეფუტკრეთა საზოგადოებამ „ფუტკარი და სკა“-მ მიაქცია მთავარი ყურადღება ბაღდათის რაიონის მეფუტკრეობას, სადაც თითქმის 20 ათასამდი ძირი ფუტკარი იმყოფება პრიმიტიულ მდგომარეობაში, შეკრა იქ დი ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ შესძლო მოეწყო საჩვენებელი საფუტკრეები ბაღდათის რაიონის შემდეგ ადგილებში: 1. დაბა ბაღდათში, 2. სოფ. წყალთაშუაში და 3 სოფ. ხანში. მომავალში სეზონური სამუშაოები ამხ. „ფუტკარი და სკა“-ს გადაწყვეტილი აქვს ჩაატაროს თავიანთ წევრების თანდასწრებით, სადაც ისინი შეასრულებენ ყველა პრაქტიკულ მუშაობას, რაც აუცილებლობას წარმოადგენს რაციონალურ მეფუტკრეობისთვის. ასეთი ცოცხალი ამოძრავებით „ფუტკარი და სკა“ მალე მოგვიტანს საგრძნობ შედეგებს, რომელნიც დაეხმარება დღეს ეკონომიურათ დაუძლურებულ გლეხობას.

სამწუხაროთ, არ შეიძლება არ ავღნიშნოთ ის ფაქტი, რომელიც ძლიერ ვნებს ძაურ გლეხობას. გელიაქეთში (რომელიც არის მოშორებული ბაღდათზე 35 ვ.) ვინახულე ქუთაისის მაზრის მიწად მოქმედების საფუტკრე, რომელიც ითვლება ყოფილ ვ. ივანკოვის საფუტკრეთ, შემდგარია დაახლოვებით 80 ძირი ფუტკრისაგან. დღიდან ქუთაისის მაზრის მიწათმოქმედების განყოფილების განკარგულებაში გადასვლისა, ზემოხსენებულ საფუტკრეს არავითარი ყურადღება არ ექცევა (რაც გამოიხატება ფუტკრის დაავადმყოფებაში), 80 ძირი ფუტკარი სიდამპლის საშუალებით 10 ძირამდის დასულა. როგორც გამოირკვა, ივანკოვის ხელში საფუტკრე ყოფილა რაციონალურად მოვლილი და თვალსაჩინო შემოსავალს იძლეოდა, დღეს კი საფუტკრე წარმოადგენს დიდ საშიშროებას მახლობელ სოფლებისათვის (სიდამპლის გავრცელებით).

1922 წელს ოქტომბრის რიცხვებში თვით განყოფილების გამგეს გურულიშვილს დაუფლებიერებია საფუტკრე, ამოურთმევია თაფლი და 4—5 ჩარჩოზე დაუტოვებია ფუტკრები, რაც ყოვლად დაუშვებელათ უნდა ჩაითვალოს; მასთან ერთად დაუღუქავს და ჩაუბარებია უცოდინარ დარაჯისათვის და ისე მიუტოვებია მომავალ წლამდე.

მიაქცია რა ყურადღება ამხ. „ფუტკარი და სკა“-მ ამ მოვლენას, დიდ შეცდომათ თვლის ამხ. გურულიშვილის მოქმედებას; აგრეთვე არ ეპატიება ქუთაისის მაზრის აგრონომს ამხ. ჯანდიერს ასეთი დაუდევრობა საქმის მიმართ.

ადგილობრივი გლეხები თხოულობენ საქმის გამორკვევას, სრულებით მოუვლელ და სიდამპლით დაავადებულ ფუტკრების განადგურებას, ან საფუტკრის აღდგენას და ყურადღების მიქცევას.

ფუტკარი.

ქ. ფოთი

9 მარტს შესდგა კოოპერატივის რწმუნებულთა ყრილობა, რომელსაც დაესწრო ცეკავშირის ინსტრუქტორი ამხ. ჩხეტია. კოოპერატივის გამგეობის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 1923 წ. ზაფხულში იყო მომენტი, როდესაც კოოპერატივი კინაღამ დაიხურა. საქმე იმაშია, რომ მას ჰქონდა სასადილო, საყასბო და სხვა განყოფილებები, რომლებიც იძლეოდნენ დეფიციტს და მოსამსახურეების რიცხვი უდრიდა 50 კაცამდე. ასეთი შტატი ვერ აიტანა კოოპერატივმა და 1923 წლის ნახევარში მან ნახა 5,000 მანეთზე მეტი ზარალი. ივლისში იქნა მიღებული ზომები, დაიხურა საზარალო განყოფილებები, შემოკლდა მოსამსახურეების შტატი 8 კაცამდე და იმავე წლის მეორე ნახევარში მას უკვე მოგება ჰქონდა, ასე რომ წლის ბოლოს კოოპერატივის დეფიციტი უდრის 2,200 მანეთს. ამავე დროს კოოპერატივს, უსახსრობის გამო არ ჰქონდა საშუალება მოეწოდებია წევრებისათვის პირველ საჭიროების საგნები. დღის-დღეობით საქმე წარმატებით მიდის, მაგრამ საბრუნავი თანხა არ არის და საჭიროა ცეკავშირმა გაუხსნას ფართო კრედიტი. ამავე დროს ფოთის კოოპერატივი ჩაყენებულია განსაკუთრებულ მდგომარეობაში, მას არა აქვს დიდი ტერიტორია და არავითარ დამამზადებელ ოპერაციებს წარმოება არ შეუძლია.

კამათში მოხსენების გარშემო ბევრ ამხანაგებმა მიიღეს მონაწილეობა. გამოირკვა, რომ ეს მოვლენა—დეფიციტი არის საერთო სენი, გამოწვეული ამიერ-კავკასიის ბონების კურსის დაცემით და საერთოდ ფულის საკითხით. კოოპერატივმა საგრძნობი დეფიციტი ნახა ფულის კურსის დაცემის გამო. დაბოლოს არჩეულ იქნა ახალი გამგეობა და კოოპერატივის საბჭო. გამგეობა შეუდგა ენერგიულად მუშაობას და, იმედია, საქმეს დააყენებს თავის სიმაღლეზე. საჭიროა ცეკავშირის ფართე კრედიტი, რომ კოოპერატივმა შესძლოს მომხმარებელს მიაწოდოს პირველ საჭიროების საგნები.

პრ. მეგრელიშვილი.

ა.-კ. კოოპერატიული თათბირი

მეორე სხდომა

კოოპერაცია აზერბეიჯანში

(მომხსენებელი ამხ. ვაზიროვი)

მომხსენებელი აზერბეიჯანს კოოპერატიულ მშენებლობის თვალსაზრისით ჰყოფს ორ მთავარ ნაწილად: ქალაქის რაიონად, სადაც კოოპერაცია მომხმარებელი ხასიათისაა და სოფლის კოოპერაციათ, რომელიც არის მომხმარებელი და მწარმოებელიც.

შემდეგ მოხსენებელი მოკლეთ ეხება კოოპერაციის განვითარებას აზერბეიჯანში და აღნიშნავს, რომ ნამდვილი კოოპერატიული მოძრაობა აზერბეიჯანში იწყება გასაბჭოების შემდეგ—1922 წლიდან.

კოოპერატივთა რიცხვი ამ ჟამად საკმაოა, მაგრამ თავის ღირსებით ვერ არიან დამაკმაყოფილებელი.

ბაქოს მაზრაში არის 4 კოოპერატივი, აღდაშის—3 კოოპ., აღდამის მაზ—ში—5, განჯის მაზრაში—16, გეოკჩაის მაზ.—16, ყაზახის—2, ყუბის მაზრაში—9, ნახჩევანის მაზრაში—18 კოოპ—ვი. ყველა ეს კოოპერატივი აკავშირებს 61.820 მომხმარებელს.

კოოპერატივები სოფლად შერეული ხასიათისაა. იგი ასრულებს როგორც მომხმარებელი კოოპერაციის, ისე სასოფლო კოოპერაციის ფუნქციებს. არის წმინდა სპეციალური დანიშნულების კოოპერატივებიც როგორც, მაგალითად, მეცხვარეთა საზოგადოება, მევინეთა ამხანაგობა „კონკორდია“, მიწის დამმუშავებელი ამხანაგობა — სულ სპეც. კოოპერატივების რიცხვი უდრის — 36 სასოფლო სამეურნეო კოოპერატივები აერთებენ 4800 წევრს.

„აზესტფაკის“ მიერ მოხდენილმა ძირითადი კოოპერატივების და რევიზიამ გამოარკვია, რომ სასოფლო კოოპერაცია დიდათ ჩამოქვეითდა, რაც შემოდგომის დეპრესიით აიხსნება: შემცირდა საქონლის რაოდენობა, გაიზარდა დავალიანება, გამოაკლდა მრავალი წევრი.

აზერბეიჯანის სასოფლო კოოპერაცია არის ინტეგრალური, რომელიც ცდილობს როგორც მოსახმარ საქონლის მიწოდებას გლეხობისათვის, ისე სასოფლო მეურნეობის პროდუქტების გასაღებას და აგრონომიულ დახმარებას სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიწოდებით, თითქმის ყოველგვარ სამეურნეო საჭიროებას აზერბეიჯანელ გლეხობას აკმაყოფილებს ერთაიანი კოოპერატივი.

ვიდრე აზერ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი შეუდგებოდა საკრედიტო ამხანაგობის ორგანიზაციას სოფლად „აზესტფაკმა“ კოოპერატივთან გახსნა საკრედიტო განყოფილებები, რომლის საშუალებით გლეხობას დაურიგდა იაფ-ფასიანი სესხი—110 ათას მანეთამდე. და დასასრულ მომხსენებელი თათბირს აცნობს აზესტფაკის მუშაობის მომავალ გეგმას—მებამბეობის, მეცხვარეობის, მევინეობის და სასოფლო მეურნეობის სხვა დარგში.

სომხეთის კოოპერაცია

(მომხსენებელი ამხ. მეგრუბიანი).

იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით განადგურებულმა კოოპერაციამ აღორძინება იწყო მხოლოდ 1923 წლიდან. დღეს არსებულ 47 კოოპერატივიდან 23 წლიდან არსებობა დაიწყო ამ რიცხვის 70 პროცენტმა, დანარჩენი 30 პროც. მანამდე არსებობდა. კოოპერაციის აღორძინება დაიწყო ქალაქებიდან და სომხეთის ადმინისტრატიულ ცენტრებიდან, სადაც კოოპერაცია თავის მოქმედების ბაზად ხდიდა მუშა-მოსამსახურეებს.

სოფლად კოოპერაციის განვითარება დაიწყო 23 წლის მეორე ნახევარში. კოოპერატივები სოფლად გახსნენ ქალაქის მოღონიერებულ კოოპერატივების ინიციატივით. თითქმის ყველა ქალაქის კოოპერატივს აქვს დღეს თავის განყოფილება სოფლად. სულ კოოპერატივთა რაოდენობა, რომლებსაც აერთებს „აიკოოპი“, უდრის—47. ყველა კოოპერატივი მომხმარებელია, არსებობს მხოლოდ ორი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი—ერთი ყველის დამამზადებელი ამხ-ბა—„Сырсоюз“, რომელიც აერთიანებს ლორის რაიონის ყველის დამამზადებელ არტელს და მეორე მეხილეთა ამხანაგობა.

სომხეთის კოოპერაცია აღორძინდა თითქმის უკაპიტალოთ. კოოპერატივებმა პირველად სავაჭრო საშუალება მიიღეს საქონლის კრედიტით მიწოდების სახით „აიკოოპიდან“, შემდეგშიაც კოოპერატივები საარსებო წყაროს იღებდენ ამ დაწესებულებიდან, რომელსაც უკვე სესხს აღარ უბრუნებდნენ და თავის საბრუნავ თანხას უმატებდენ. კოოპერატივების დავალიანება „აიკოოპის“ მიმართ ფრიად მნიშვნელოვანია, 23 წლის 1 იანვრისთვის ვალი უდრიდა 120 ათასს მანეთს, რომელიც 23 წლის განმავლობაში თან და თან მცირდებოდა, მაგრამ მაინც ვალი საკმაოდ დარჩა კოოპერატივების საკუთარი სახსარი 23 წლის 1 იანვრისთვის უდრიდა—20.000 მან წლის განმავლობაში ეს თანხა თანდათან დიდდებოდა საპაიო გადასახადის შემოტანით გამრავლების გამო.

24 წლის 1 აპრილისათვის კოოპერაციას ჰყავდა სომხეთში 10,000 წევრი, რომლის 70 პროცენტი მუშა-მოსამსახურეა. როგორც ქალაქში, ისე სოფლად კოოპერაცია მომხმარებელთა საჭიროებას აკმაყოფილებს და სხვა ფუნქციებს არ ისახავს. აქა-იქ ჰქონდა მხოლოდ ადგილი კოოპერაციის მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შეგროვებას და გასაღებას, განსაკუთრებით ნატურალური მეურნეობის რაიონებში. აშტარაქის კოოპერატივმა, რომელიც მევენახეობის რაიონში იმყოფება, შეისყიდა გლეხებიდან 9.000 ვედრო ღვინო. ე. ი. მთელ დამზადებულ ღვინის 15 პროცენტი. კამერლის კოოპერატივმა—10.000 ვედრო ღვინო, ეჩმიაძინის მთლიანმა კოოპერატივმა 10.000 ფუთი ბამბა.

რაც შეეხება კოოპერაციის საქონლის ტრიალს, ამ მხრივ დიდ შედეგებს მიაღწია მხოლოდ ქალაქის კოოპერაციამ. ერევნის ერკოოპის საქონლის ბრუნვა დღიურად აღწევს 5.000 მან. ხოლო ყოველთვიური ბრუნვა კი უდრის—120.000 მან. ალექსანდროპოლის კოოპერატივის თვიური ბრუნვა 30.000 მან. ახალ ბაიაზეთს—15.000 მან. თვიურად. ბრუნვა იზრდება ქალაქელ მომხმარებლის ხარჯზე.

გაიზარდა აგრეთვე სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ბრუნვა, რომელიც მომხმარებელი კოოპერაციის ბრუნვას მაინც ჩამოურჩება. სომხეთის კოოპერატივების თვიური ბრუნვა დღეს უდრის—400,000 მან. დანართო ხარჯების შეადგენენ ზოგან 8 პროცენტს, ხოლო ზოგან 25 პროცენტს (სასოფლო კოოპერაციაში) შემდეგ მომხსენებელი ეხება საკრედიტო ამხანაგობათ, რომელიც დაარსებულია სომხ. სახელმწიფო ბანკის ინიციატივით.

საკრედიტო ამხანაგობას ჰყავდა 1-ლ აპრილისათვის მთელ სომხეთში. 262 წევრი, საკუთარი თანხა კი შეადგენდა—1,430 მ.ნ. ძირითად თავის ფუნქციას გლეხობისათვის კრედიტის მოწოდებას ამხანაგობა ასრულებს ბანკიდან სესხად მიღებული თანხების საშუალებით. თვითეულ გლეხზე გაცემულ სესხის რაოდენობა ირყევა 25 მანეთიდან—75 მანეთამდე.

შემდეგ დამატებითი ხასიათის მოხსენებებს აკეთებენ რესპუბლიკების ცალკე კოოპერატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი. წიწვიძე „წარმოკავშირი“ მოქმედების შესახებ.

წარმოკავშირის „მოქმედება“

(მომხსენებელი ამხ. წიწვიძე) მომხსენებელი ეხება რა საერთოდ კოოპერაციის განვითარებას საქართველოში, აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა რიცხვი საქართველოში ძალიან ცოტა იყო და ისიც სპეციალურ მეურნეობის ხასიათს ატარებდნენ.

მხოლოდ 1919 წელს შეიქმნა სასოფ. სამ. კოოპერაციის ორგანიზაცია, მაგრამ კონიუნქტურა სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის განსავითარებლად იმ ჟამად არ იყო ხელსაყრელი, მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ, როცა საქართველოს სასოფლო მეურნეობის პროდუქტებისათვის ბაზარი გაიხსნა, იწყება საქარ. სასოფლო მეურნეობის აღორძინება. ამის შემდეგ „წარმოკავშირმა“ მაგარი ნიადაგი ჰპოვა და დაიწყო ლტოლვა დამოუკიდებელი არსებობისაკენ. ასეთი მდგომარეობის შემქმნელი წარმოკავშირი აერთებდა მხოლოდ 6 საწარმოო ორგანიზაციას. 1923 წლის დეკემბერში ეს რიცხვი მივიდა 18 მდე. „წარმოკავშირ“-ში თავმოყრილია 10 სპეციალური დარგის მეურნეობა და მთელი რიგი შერეული ხასიათის კოოპერატივები.

1923 წლის მაისში „წარმოკავშირ“-ის შემადგენლობაში შედიოდა 3 მევინეთა კოოპერატივი, 1—მეცხვარეთა, 1—მეხილეთა,—სულ 5 კოოპერატივი, 24 წლის თებერვალში კი წარმოკავშირი აერთიანებდა 10 მევინეთა კოოპერატივს 1 ზეთის მხილეთა არტელს, 8 მეცხვარეთა ამხანაგობას, 3 მეთამბაქოეთა ამხანაგობის 6—მებამბეთა საზოგადოების, 1—მეაბრეშუმეთა საზოგადოების, 3—მეფუტკრეთა საზოგადოების და 10 მეხილეთა საზოგადოების. და გარდა ამისა წარმოკავშირში შედის 4 შერეული უნივერსალური ტიპის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება ამგვარად „წარმოკავშირი“ თავის გარშემო თავს უყრის 50 ორგანიზაციას. მეურნეობათა საერთო რაოდენობა, რომელიც შედიოდა „წარმოკავშირში“ 23 წელს მაისში უდრიდა 3,493. ხოლო ამ ჟამად წარმოკავშირი აერთიანებს დაახლოვებით 15,000 მეურნეობას, შეუძლებელი იყო ასეთ მოკლე ხანში ისეთი წინსვლა ამ ორგანიზაციის, რომ საწარმოო კოოპერაციას არ ჰქონდეს ნოყიერი ნიადაგი განსავითარებლად.

„წარმოკავშირი“ მუშაობას აწარმოებს ორი მიმართულებით: სასოფლო მეურნეობის პროდუქტების გასაღება და საქონლის მისაწოდებელი ოპერაციები.

აგრეთვე წარმოკავშირი მიზნად ისახავს აგროკულტურულ დახმარებას.

23 წელს „წარმოკავშირის“ ბრუნვამ მიაღწია 2 მილ. ნახევარ მანეთს ბრუნვაში პირველი ადგილი უჭირავს პროდუქტების გასაღებას.

23 წელს რუსეთში გაიზიდა 250 ათასი ვედრო ღვინო, 10 ვაგონი კვერცხი, 55 ათასი ფუთი ხილი. ამავე დროს წარმოკავშირი აწვდიდა გლეხობას სანარმოო იარაღებს და მავნეებთან საბრძოლველ საშუალებათ, თუ რამდენათ გაიზარდა „წარმოკავშირის“ მუშაობა, გვიჩვენებს ბრუნვის ზრდა. 23 წლის 1 იანვარს ბრუნვა უდრიდა 5.400 ჩერვონეცს, ხოლო 23 წლის სექტემბერს—26.000 ჩერვონეცს.

ეხება რა „წარმოკავშირის“ მოქმედებას სხვადასხვა სპეციალურ მეურნეობის დარგებში, მოხსენებელი დაასკვნის, რომ საქარ. სასოფლო სამეურნეო კოოპერაციას აქვს სრულ უფლება და შესაძლებლობა დამოუკიდებელი არსებობისათვის.

საქართველოს ზოოტექნიკურ სადგურის პროექტი

ა. წ. 27 მარტს წარმოკავშირმა მოხსენება გააკეთა მიწათმოქმედების კომისარიატთან არსებულ ზოოტექნიკურ სექციას საქართველოს მეცხვარეობის პერსპექტივების და, კერძოთ, ამ დარგში ზოოტექნიკურ სადგურის დაარსების შესახებ.

მოხსენება აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის არსებული ეკონომიური კონიუნქტურა განსაკუთრებულ მოთხოვნილებას უყენებს მეცხვარეობას. რუსეთის საფეიქრო მრეწველობა, რომლის მოთხოვნილების მთავარ საგანს წარმოადგენს მატყლი, და აგრეთვე მოთხოვნილების ზრდა რძისა და ხორცის პროდუქციაზე, ხელსაყრელ პირობებს ქმნიან ჩვენი მეცხვარეობის განვითარებისათვის. მაგრამ, ვინაიდან ამ ფრიად მნიშვნელოვან დარგის განვითარება მოითხოვს რაციონალურ ორგანიზაციას, რასაც იგი ამჟამად მოკლებულია, და მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებს, წარმოკავშირი საჭიროთ სთვლის სპეციალურ ზოოტექნიკურ სადგურის დაწესებას, რომლის მიზანი იქნება შემდეგი საკითხების შესწავლა: რა უფრო ხელსაყრელია არსებულ პირობებში—ცხვრის ხორცის, რძის თუ მატყლის მეურნეობის განსაკუთრებული განვითარება, როგორ უნდა შეეფარდოს ერთი მეორეს ყველა ამ დარგის პროპორციონალური განვითარება, როგორი ჯიში უნდა იქნეს შერჩეული, რა წესით და სხვ. ზოოტექნიკურ სადგურში გაშენებული იქნება სხვადასხვა ჯიშის ცხვრის ფარეში, რომლებზედაც იწარმოებს სასურველ პირობების შესწავლა.

ზოოტექნიკურმა სექციამ აღნიშნული მოხსენება მოიწონა და შუამდგომლობა აღძრა სარ. კომ, საბჭოს წინაშე სათანადო რესურსების აღმოჩენის შესახებ.

საქართველოს კვერცხის ექსპორტი

წარსული წლის დეკემბერში წარმოკავშირი შეუდგა დიდძალ კვერცხის დამზადებას მოსკოვის ბაზრისათვის და უკვე იანვრის და თებერვლის განმავლობაში რუსეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ კავშირს გაეგზავნა 9 ვაგონი კვერცხი. გაზაფხულის განმავლობაში კვერცხის გაზიდვა დროებით შეწყდა დიდი მოწოდების და ფასების დაცემის გამო ვინაიდან კვერცხის ბაზრის კონიუნქტურა მოსკოვშიც და საზღვარ-გარეთ, განსაკუთრებით ლონდონში, ძალზე შეიცვალა ექსპორტის სასარგებლოთ. წარმოკავშირს განზრახული აქვს დაამზადოს მიმდინარე წლის განმავლობაში 70 ვაგონი კვერცხი, კვერცხი შეისყიდება სოფლად ნაღდ ანგარიშზე და გაიგზავნება იმავე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ კავშირს მოსკოვში, რომლის საშუალებით აღნიშნულ რაოდენობიდან 25 ვაგონს წარმოკავშირი მოაწოდებს ლონდონის ბაზარს.

ამ საქმეს დიდი მნიშვნელობა ეძლევა. იგი ხელს შეუწყობს ამ სამეურნეო დარგის განვითარებას როგორც რაოდენობითი, ისე ხარისხის მხრით, გააძლიერებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გავლენას სოფლათ, ჩამოაშორებს გლეხობას მევახშე-შუამავლებს და აღმოუჩენს მას შემოსავლის ახალ და საიმედო წყაროს.

პროფკავშირებში

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა პირველი კონფერენცია

შაბათს, 5 აპრილს. როდრიშვილის კლუბში დასრულდა კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა პირველი კონფერენცია.

3 დღეში კონფერენციამ გაარჩია მთელი რიგი საკითხებს: 1) კომ. მეურ. მუშ. კავშირის ც. გ. მოხსენება, 2) საქ. მთავარ კომუნალურ სამმართველოს გამგის მოხსენება, 3) მოხსენებები ადგილებიდან, 4) ფულის რეფორმა და სატარიფო პოლიტიკა, 5) საინსტრუქციო მოხსენება საორგანიზაციო მუშაობის შესახებ.

მოხსენებების მიხედვით მიღებულ იქნა რეზოლიუციები:

ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ.

კონფერენცია, ამხ. სერგეევის მოხსენების მოსმენის შემდეგ აღნიშნავს, რომ ცენტ. გამგეობამ სავსებით გეგმაშეწონილად გაატარა კავშირის მესამე ყრილობის მიერ მიცემული დირექტივები. კონფერენცია კმაყოფილია აგრეთვე კულტურული მუშაობის სწორი დაყენებით, ხოლო სარევიზიო კომისიის მუშაობა, კონფერენციის აზრით მოისუსტებს, ამის გამო წინადადებას აძლევს ც. გ. განაახლოს კომისიის შემადგენლობა.

ადგილებზე მუშაობის შესახებ.

კონფერენცია აღნიშნავს, რომ ზოგიერთი მაზრის გამოკლებით, სამაზრო ორგანიზაციები არ აქცევდენ სათანადო ყურადღებას ცენტრიდან მიწოდებულ დირექტივებს, რასაც შედეგად მოჰყვა მუშაობის სისუსტე და სწორი ხაზიდან გადასვლა. კონფერენცია ხაზგასმით აღნიშნავს შემდეგ დეფექტებს: 1) გორის სამაზრო აღმასკომის უმოქმედობას კომ. ორგანოების მიერ კოლლექტ. ხელშეკრულების დარღვევის დროს, 2) ოზურგეთის აღმასკომის მიერ კერძო მეწარმეებისაგან 2 პროც.-იან ანარიცხის აუკრეფლობას, 3) ქუთაისის სამეურნეო ორგანოების დავალიანებას, მიზანშეუწონელი ანარიცხების აკრეფას მუშებისგან უმუშევართა სასარგებლოდ, როცა იქ უმუშევრობას სრულიად ადგილი არ აქვს. 4) ქუთაისის განყოფილების მიერ ურთიერთ დამხმარე კასიდან შეფიფაზე ფულების ხარჯვას და საერთოდ პროვინციალური ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვის სისტემიდან გადახვევას.

კონფერენცია ავალებს ცენ. გამ-ბას მისცეს თვითეულ სამაზრო ორგანიზაციებს სათანადო დარიგებანი და დირექტივები.

მოხსენება სატარიფო პოლიტიკასა და ფულის რეფორმის შესახებ და აგრეთვე საორგან. განყოფილების საინსტრუქციო მუშაობაზე მიღებულ იქნა ცნობად.

დელეგატების არჩევა სრულიად რუსეთის ყრილობაზე.

სრ. რუსეთის კომ. მეურნ. მუშაკთა მე 5 ყრილობაზე არჩეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: სერგეევი, ჯორბენაძე და თოფაძე, მაისტოვი და კარტოშვი.

ს. რ. პ. კ. საკავშირო ყრილობაზე არჩეულ იქნა ამხ. გოგინაშვილი, მის კანდიდატად სერგეევი.

სხვა და სხვა კავშირებში

წითელი ტრაქტორები

კოოპერატიულმა სექციამ მოისმინა და მოიწონა მოხსენება წითელ ტრაქტორების შესახებ. სექციამ დაადგინა მოუწოდოს ორთაჭალის და რ. ს. გ. სადგურის რაიონის მუშა-ქალებს მიიღონ მონაწილეობა ტრაქტორებთან არსებულ სამეურნეო და კულტ-განმანათლებელ კომისიების მუშაობაში და ტრაქტორის წევრებათ მოიზიდონ სხვა მუშა-ქალებიც.

საწევრო გადასახადის შეტანის ვადა

შელითონეთა კავშირის სამდივნოს დადგენილებით მუშა-მოსამსახურეები ვალდებულნი არიან დღიდან ჯამაგირის მიღებისა სამი დღის განმავლობაში შეიტანონ კავშირის, წევრობის გადასახადი. წევრები რომელნიც დანიშნულ ვადაზე არ შეიტანენ, საწევრო გადასახადი გადაიხდიან დღის კურსის მიხედვით.

სანატორიუმი „არხენდი“

სანატორიუმი „არხენდი“ ავადმყოფების მისაღებად მზად იქნება მიმდინარე წლის ივლისისათვის.

ამ ჟამად სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა ელსადგურის დასადგმელად. სანატორიუმი მოათავსებს დაახლოებით 210 ავადმყოფს.

დასასვენებელი სახლები მცხეთაში.

პროფსაბჭოს დასასვენებელი სახლების მდგომარეობა მცხეთაში შარშანდელ წელთან შედარებით, გაუმჯობესებულია. ორანჟერეის მოსაწყობად დაწყებული მუშაობა უკვე დასრულდა. ამ ჟამად შენდება სხვადასხვა სადგომები რძის დასამზადებლათ ფერმისათვის. იწყობა აგრეთვე სპეციალური აბანო—სარეცხავი.

შრომის ინსპექტორთა არჩევნები.

პირველს და მეორე რაიონში შრომის ინსპექტორთა არჩევნები უკვე მოხდა. ამ დღეებში მოხდება შრომის ინსპექტორების არჩევნები მეოთხე და მესამე რაიონებში. არჩევნების წინ ინსპექტორები აკეთებენ საანგარიშო მოხსენებას.

ამ.-კავკ. რკინისგზელთა პროფკავშირის მეორე კონფერენცია

შრომის ინსპექციის ანგარიში

(მომხსენებელი ამხ. სიზოტენკო)

ამხ. სიზოტენკომ მოხსენების დასაწყისში აღიარა, რომ შრომის ინსპექციის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება და საამისო მიზეზიც დაასახელა. ეს არის შრომის ინსპექტორების ხშირი ცვლა და უსახსრობა. მას შემდეგ, რაც დამხმარე კასას მატერიალური დახმარება აღმოუჩენია შრომის ინსპექციისათვის, მუშაობაც გამოცოცხლებულა.

რვა თვის განმავლობაში შრომის ინსპექციას მოუხდენია საწარმოო დაწესებულებების გამოკვლევები შემდეგი რაოდენობით: თბილისის ფარგლებში—264, სამტრედიის—267, ხაშურის—150, ბაქოს—155 და განჯის.

შრომის ინსპექციის ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია ზედმეტი სამუშაოს საკითხის მოწესრიგებისათვის. და ამ მხრივ სათანადო შედეგებისთვის მიუღწევია. ზედმეტი სამუშაო საგრძნობლათ შემცირებულა და მიღებულია ზომები მის გასაუქმებლად, რამდენათაც ეს მოსახერხებელი იქნება.

შრომის ინსპექციის საქმიანობა გამოხატულია ქალის შრომის დაცვაშიაც.

შემდეგ ამხ სიზოტენკომ აღნიშნა საბინაო საკითხის მოუწესრიგებლობა და მუშების საცხოვრებელ ბინების უვარგისობა, სპეცტანისამოსის დანაკლისი და სხვ

მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები და კამათი. მომხსენებელმა ყველას სათანადო პასუხი გასცა.

მესამე დღე (დილის სხდომა).

ა. | კ. სატრან. მომხმარებელ საზოგადოების ანგარიში,

(მომხსენებელი ამხ. აკიმოვი)

პირველათ მომხსენებელი შეეხო იმ დაბრკოლებებს, რომლებსაც ძალზე შეუფერხებია ა. | კ სატრან. მომ. საზოგ. მუშაობა და რომლის გადალახვას დიდი დრო მოუთხოვია.

ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა, —ამბობს ამხ. აკიმოვი,—მეტად მძიმეა. ძველი გამგეობისაგან მემკვიდრეობით მივიღეთ უამრავი ვალები. ამას გარდა „მეკრატელმა“ დიდი ზარალი მოგვაყენა, რადგანაც იგი არ იყო გათვალისწინებული სამეურნეო ორგანოების მხრივ, სახელდობრ არც ჩვენ მიერ. შემდეგ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბონების კურსის დაცემა. ამ ნიადაგზე მარტო იანვრის თვეში დავკარგეთ 6306 მანეთი.

ჩვენი დანიშნულებაა ემსახ[ურებოდეთ] რკინისგზელებს, მაგრამ ... 26.000 ... წლის განმავლობაში მხოლოდ 9800 ... ლი სამეურნეო ორგანოებმა ... გაუწიეს დახმარება, მაგრამ ... იცის, რომ სესხს სარგებლით ... გადახდა.

მუშების საკრედიტო ფულ... ცეკავშირმა და სახ. ... რისთვისაც შესაფერ პრო... ვიხდით.

გაცემული საქონლის ღირებ... დღემდი არ შემოდის ჩვენ სალ...

ჩვენი ლიკვიდაციის მიზ... იყო იქით, რომ შეგვეცერებ... ნართი ხარჯები. ამ ნაირად ... ნაწილობრივ მივაღწიეთ. სა... ყურადღება ჰქონდა მიქცეულ... შების უზრუნველყოფას გამო... პურით და თუ ეს სავსებით ... ხორციელდა, უნდა მიეწოდო... ფუფულებზე.

ამხ. აკიმოვის მოხსენების ... გამართა კამათი ფართო კ... ბის ჩატარების საჭიროება კო... ციის საპოპულარიზაციოთ.

ამის შემდეგ კონფერენცია ... დის მორიგ მოხსენების მოსმენ...

პროფ. ტეხ. განათ. ... ანგარიში

(მომხსენებელი ამხ. ხიჯა...)

მომხსენებელმა აღნიშნა, რო... ლიფიკაციურ მუშათა რიცხვის ... დიდებულ რკ. გზებზე საჭ... მოითხოვდა სხვადასხვა ხასიათი... ების გახსნას, როგორიც არის, ... გადო, სცოროთქლმავლო, სა... ტორო, სადღეღვლტო და სხვ. ... ნელების მიღება პირველათ ... გოთ საწარმოებში, მაგრამ კ... სამოლოლო ჩამოყალიბებები შე... საქმე მოგვარებულია.

მეოთხე დღე

სხდომის უკანასკნელი დღ... კონფერენციამ მოისმინა რეზოლ... ბის კითხვებს, ა. კ. რკინისგ... პროფკავშირის პრეზიდიუმის ... დელეგატების არჩევნებს.

პრეზიდიუმში აირჩიეს ვ. ... რაძე (თავმჯდომარე), კო... კურულოვი, სტეპანოვი და ... ნოვი.

სრულიად რუსეთის რკინისგ... ყრილობაზე არჩეულ იქნა 14 ... გატი, სრულიად რუსეთის პრ... შირთა ყრილობაზე კი—3 დ... ტი.

დასასრულ დელეგატებმა ... ნეს მოსთხოვონ პასუხი გზებ... როს პოზიციებს კონფერენციი... მოუწესრიგებლობის გამო.

კონფერენცია დახურა „ინ... ციონალის“ სიმღერით.

საბჭოთა სასამართლოში

გეგელიას საქმე

7 აპრილის დილის სხდომა

დილით სასამართლოს წევრები, პროკურატურა, საექსპორტო კომისია ბრალდებულ გეგელიას თანდასწრებით გაემგზავრენ იმ ადგილის დასათვალიერებლად, სადაც 1923 წლის ივნისში მოხდა ქუთათელაძის მკვლელობა.

აქვე იქნა დაკითხული ბაღდასაროვი, გალუსტოვი, ქადაგიშვილი და ბრალდებული გეგელია.

ბრალდებული გეგელია იმეორებს სასამართლოში მიცემულ ჩვენებას.

ბაღდასაროვი კი კატეგორიულად უარყოფს მონაწილეობა სროლაში და მოვიდა მხოლოდ ქუთათელაძის დაჭრის შემდეგ.

დღის თორმეტ საათზე იხსნება სხდომა სასამართლოს დარბაზში.

დამცველთა შუამდგომლობით დაკითხული იქნა მოწმე გოგოლაური.

მოწმე გოგოლაური საერთოდ აძლევს მეტად აბნეულ ჩვენებას, მაგრამ გადაჭრით აცხადებს, რომ მან დაინახა ბაღდასაროვი ამოღებულ ნაგანით სროლაში მონაწილეთა შორის.

მოწმე ეკმოლიანცი და ნათელაშვილი გადაჭრით ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ბაღდასაროვი სულ მუდამ ატარებდა ნაგანს, სროლის წინა დღეს ჰქონდა ნაგანი, და მხოლოდ სროლის შემდეგ მოვიდა კომისარიატში უკვე ბრაუნინგით, რომელიც გასინჯვის შემდეგ არ აღმოჩნდა ნასროლი. ბაღდასაროვი უარყოფს გოგოლაურთან შეხვედრას და ეკმალიანცის და ნათელაშვილის ჩვენებაში მოყვანილ ცნობებს.

სხდომა გათავდა საღამოს 6 საათამდე.

7 აპრილის საღამოს სხდომა.

გრძელდება მოწმეების დაკითხვა.

მოწმე ნასიძე მოახსენებს სასამართლოს, რომ გეგელიამ ის სრულიად უმანკოდ დაპატიმრა ... და მევახშეობა ექსპლოატაციის ... მან ... არაფერი მას სხვადასხვა ... ნივთები და განთავისუფლებ... დეს არ დაუბრუნებია არც ... დებული ნივთი.

ბრალდებული გეგელია ... თებს ნასიძეს, როგორც ჩა... ვახშეს, რომელიც დაჭერილ... ექსპლოატაციისათვის პოლიტ... მიერ იმ დროს, როდესაც ... ნასკნელის კომპეტენციაში შე... ბრძოლა ჩარჩ-სპეკულიანტებთ...

მოწმე ციციშვილი, სიღნაღ... ცის უფროსი, მოუთხრობს სა... თლოს, რომ მის მიერ ჩამორ... ძვირფასეულობა, რომელიც მ... ბარა პოლიტბიუროს, უნდა ... პოლიტბიუროს აგენტებს. შე... აღნიშნავს გეგელიას მოსვლ... დების გაძლიერებას და გა... ბას, რაც აიხსნება ცუდ პო... და ბრძოლის საშუალების უვარ... ბით, მაგალითად ფანტონებით... ბანდიტებისა, რაც აგულიანებ... აძლიერებდა ბანდიტებს.

მოწმე ტატიშვილი უამბობს სა... მართლოს სალაყაის მიერ ... დაკარგვის ს...

მოწმე ჩხარტიშვილი მოუთ... სასამართლოს მკვლელობის ... რიას, რაც გაიგო მან ის დამს... გარეშე პირების ჩვენების ჩამ... მევით, რაც ადასტურებს ... როვის ყოფნას სროლის დრო...

მოწმე მაჭეხა, კახეთის ... ბიუროს თანამშრომელი, და... ახასიათებს გეგელიას მოქმედება...

დანარჩენ შვიდ მოწმეთა და... არსებითად არაფერს ამბობ...

მოწმეების დაკითხვა გათავ... სხდომა გადაიდო 8 აპრილისა...

კანდელაკის მოკვლის საქმე

7 აპრილის სხდომა.

სხდომა იხსნება საღამოს 7 ნახ. საათზე. თანახმად სასამართლოს წარსულ სხდომაზე გამოტანილ დადგენილებისა გორიდან ჩამოყვანილია მეხუთე ბრალდებული თეთრაძე.

დაკითხვის დაწყებამდე სასამართლო არჩევს საკითხს ზოგიერთ გამოწვეულ პირთა დაუსწრებლობის შესახებ. დადგენილია იმ პირთა დაჯარიმება, რომლებსაც უწყება ჩაბარდა, მაგრამ არ გამოცხადებულან საპატიო მიზეზის გარეშე.

შემდეგ სასამართლო იწყებს თეთრაძის დაკითხვას. თეთრაძე არ სცნობს თავს დამნაშავეთ და უარყოფს თავის მონაწილეობას მკვლელობაში. მისი ჩვენებით იგი ძალზე მთვრალი იყო მკვლელობის ... მილიციონერთან ელიზბარაშვ... ბის გამო მან გაზავების მიზნი... ფი გაისროლა. კანდელაკის შ... მას ახსოვს მხოლოდ ის, რომ ... ლაკმა რევოლვერი გაისროლა... ში, რის შემდეგ მას, კანდე... რევოლვერი წაართვეს. შემდეგ ... კვევით არაფერი ახსოვს. ... მოჰკრა მხოლოდ იმას, რომ სრ... შემდეგ კანდელაკი წაქცეულ... უკანასკნელის სიკვდილის შ... მან გაიგო მხოლოდ მეორე დღე...

ბრალმდებლისა და დამცვე... რამოდენიმე შეკითხვის შემდეგ ... მა იხურება.

შემდეგი სხდომა დანიშნულ... 8 აპრილს დილის 11 საათზე.

წითელ ჯარში

ქართულ ჯარის ცენტრ-კლუბში

ხუთშაბათს, სამ აპრილს, ქართული ჯარის ცენტრალურ კლუბში პირველ ლეგიონის დრამ-წრემ გამართა საპასუხო წარმოდგენა შოთა რუსთაველის სკოლის მიერ გამოწვევის გამო.

დაიდგა შილლერის „ყაჩაღები“ ყველაზე შიშს გამოსთქვამდნენ, რომ ვერ შესძლებენ დადგმას.

მაგრამ დაუძლეველი არაფერი ყოფილა თურმე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ დრამატიული წრე გამარჯვებული გამოვიდა ამ გამოცდიდან.

განსაკუთრებით კარგები იყვნენ ქანთარია—კარლოს მოორის როლში და ვ. სიხარულიძე—ფრანც მოორის როლში. დასაკვირველი იყო თუ როგორ შესძლეს მათ ამ როლების შესრულება. ყველანი თავთავის ადგილზე იყვნენ.

წარმოდგენას დიდძალი წითელარმიელნი და მუშები დაესწრნენ, რომელნიც კმაყოფილნი დარჩნენ თავიანთ წრიდან გამოსულ მსახიობებით.

სცენაზე უკრავდა ლეგიონის მუსიკა—დონენკოს მეთაურობით.

ზარი.

მეცნიერება და ტეხნიკა

ძველი ქალაქის აღმოჩენა მექსიკაში

წარსულ წელში მექსიკაში ცეცხლის მფრქვეველ მთა ქსიტლე—კოფრე და პოროგო (ვულკანიურის ზეგნით) აღმოაჩინეს უძველესი ქალაქი. ცოტა ხნის შემდეგ მექსიკის სატახტო ქალაქის ახლოს, კუნა პახრეს ფაბრიკის მიდამოებში აღმოაჩინეს 40 მეტრის სიმაღლის პირამიდა. ორივე აღმოჩენა ეკუთვნის ორიზონის მუზეუმის დირექტორს და მექსიკის საარქეოლოგიო უწყების უფროსს. მთელს ამერიკაში არ არის არც ერთი არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც სიძველეც ამ ახლად აღმოჩენილ პირამიდას შეედრება.

იმ ვულკანიური ფერფლისა და ლავების შესწავლის შემდეგ, რომელიც პირამიდას ფარავდა, გამოირკვა, რომ პირამიდა აგებულია ბევრი ხნით უფრო ადრე, ვიდრე ახლა უკვე საცნობით ჩაქრალი (...) ვულკანი მთა აიუსკო მოქმედებას დაიწყებდა. ამ პირამიდის საძირკვლად და მისი [illegible] ის ნაწილი, რომელიც ახლა განთავისუფლებულია ნაგვისა და ფერფლისაგან, სავსებით განირჩევა სხვა ძველი ნაშთებისაგან, რომელიც წინად იყვნენ აღმოჩენილი მექსიკაში.

ეს ძველი ნაშთები ეკუთვნის მექსიკის ძველ მკვიდრთ—ინკებს და აცტეკებს.

ფეხსაცმელი ლითონიდან

საფრანგეთში გამოიგონეს ფეხსაცმლის ლითონიდან დამზადების საშუალება.

ასეთი ფეხსაცმელი თავისი გარეგანი ფორმით არაფრით განირჩევა ჩვეულებრივისაგან.

განზრახული აქვთ მოაწყონ დიდი ფაბრიკა ლითონის ფეხსაცმელების დასამზადებლად.

რამდენი ხანია, რაც დედამიწაზე ცოცხალი ორგანიზმები არსებობენ.

საკითხი, თუ რამდენი ხანია გაჩნდა დედამიწა და შემდეგ ორგანიული (ცოცხალი) ბუნება მასზე, დიდი ხანია აინტერესებდა მეცნიერებს.

ეჭვს გარეშე, რომ ცოცხალი ორგანიზმები ვერ გაჩნდებოდნენ დედამიწაზე თავიდანვე, როცა ის ჯერ კიდევ გავარვარებულ მასას წარმოადგენდა.

სიცოცხლის გაჩენა დედამიწაზე შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა დედამიწა განთავისუფლდა სქელი ნისლისაგან, რომელიც მას პირველ ხანებში ფარავდა და გამაგრდა დედამიწის პირი.

მეცნიერები სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდენ გამოერკვიათ დედამიწაზე ცოცხალი ორგანიზმების არსებობის ხანგრძლივობა.

დარვინის გამოანგარიშებით დედამიწაზე ცოცხალი ორგანიზმები 50 მილიონი წელიწადია რაც არსებობენ, ჟოლის ცნობით—90 მილიონი, ამერიკელ მეცნიერების გამოანგარიშებით 40 მილიონი, კელვინის გამოანგარიშებით 24 მილიონი; გულმოლ[illegible] და ტოიპსონის გამოანგარიშებით 40 მილიონი წელიწადი.

უკანასკნელი მეცნიერული გამოკვლევების მიხედვით დედამიწა არსებობს უკვე ხუთი მილიარდი წელი, ცოცხალი ორგანიზმები კი მასზე გაჩნდენ 30 მილიონი წლის წინად.

არქეოლოგიური აღმოჩენა

საქართველოს მუზეუმის დავალებით მცხეთა-ქსანის მიდამოებში წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრის დროს მუზეუმის თანამშრომლებმა: გიორგი ჩიტაიამ და სოლომონ იორდანიშვილმა სოფელ წიწამურთან (კლასიკური იბერიების სახელწოდებით ქ. სევსამორა) იბოლოკლდის მახლობლად, არაგვის მარცხენა ნაპირზე აღმოაჩინეს უძველესი ხანის ნეკროპოლი.

ნაპოვნია რამდენიმე სამარხი, მათში ერთი მეტად საყურადღებო. ასეთი სამარხი საქართველოს ტერიტორიაზე პირველად არის აღმოჩენილი და სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდის უცნობია. სამარხში ერთად არის მოთავსებული მამაკაცი და ცხენი, რომელთა ირგვლივ ეწყო სხვა და სხვა ზომის რიყის ქვები მოთავსებული და ვეხებულია მარჯვენა გვერდზე. თავი უდევს სამხრეთით, ხოლო კორპუსი ჩრდილოეთით მიმართებით. სახე მიქცეული აქვს აღმოსავლეთისაკენ. ხელები იდაყვთან ისე აქვს მოხრილი, რომ თითები თავის მახლობლად მიდის. ფეხებიც მოხრილი აქვს, როგორც მჯდომარე, ისე მუხლებში.

სამარხის ინვენტარიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: ბრინჯაოს სამაჯური, ბისის წვრილები, ხმალი, სალესი ქვა და ნახევრად გამოწვარი თიხის ჭურჭელი.

საზოგადოდ, ამ სამარხებში ნაპოვნი ნივთები ამტკიცებენ, რომ ეს ნეკროპოლი უძველეს ხანას უნდა ეკუთვნოდეს, და რომ უაღრესად საჭიროა მისი მთლიანად გათხრა და სათანადოდ შესწავლა.

ქრონიკა

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულ წერილში: „კოოპერატორთა თათბირის გამო“ ერთ ალაგას სწერია: „კოოპერაცია ვერ წაიწევს წინ ამ მიმართულებით, თუ მან ა) ასე ვთქვათ, არ განაახლა სხვადასხვა სახის კოოპერაციის ფუნქციები, არ გამიჯნა სფერო მათი მუშაობისა“. ხაზგასმულ სიტყვების მაგიერ უნდა იყოს: „არ გამიჯნა“.

● **ქართველ ექიმთა საზოგადოებაში** ხუთშაბათს, 10 აპრილს, საღამოს 8 საათზე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს აუდიტორიაში შესდგება ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების სხდომა. დღის წესრიგი: 1) პროფ. ლამბარაშვილი: „ეთერის ჩასხმა [illegible] დროს ლაპარატომიების დროს პროფილაქტიური მიზნით“. 2) პროფ. [illegible] და ექ. წულუკიძე: „ვრეინანის ოპერაციის და გახალგაზრდების პრობლემის შესახებ“ (გახსნ-დება). 3) ექ. ხაზარაძე: „ზურგის ტვინის ანესტეზიის შესახებ“.

● **დაწინაურების უპარტიოთა მისალმება.** დასწინაურების უპარტიო გლეხთა სარაიონო პირველი კონფერენცია ესალმება საქართველოს კომპარტიის ცეკას და საქართველოს მუშურ-გლეხურ მთავრობას. გაუმარჯოს მათ მუშაობას მუშების და გლეხების საკეთილდღეოდ.

კონფერენციის პრეზიდიუმი.

● **აფთიაქების აღება იჯარით.** ქ. აღმასკომმა გადასწყვიტა ჯანმრთელობის კომისარიატისაგან აიღოს იჯარით აფთიაქები და საჭირო მასალები შეიძინოს სამკურნალო საშუალებით.

● **ქალაქის ლომბარდი.** ქალაქის ლომბარდის გამგეთ დაინიშნა ამხ. კვირიკელიძე. ლომბარდს [illegible] კომუნალური ბანკი.

● **ფულის გადაგზავნა მტკიცე ვალუტით.** ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები აპრილის 16-დან ფულის გადაგზავნას აწარმოებენ ფულის გადაგზავნის მტკიცე კურსით (ჩერვონცებით).

● **განათლების კომისარიატის ჟურნალი.** განათლების კომისარიატმა წინადადება მისცა განათლების განყოფილებებს სკოლების შორის გაავრცელონ კომისარიატის ჟურნალი „ახალი სკოლისაკენ“.

● **სრ. რუსეთის კოოპერატიული ბანკი.** 1 აპრილისათვის სრ. რუსეთის კოოპერატიულ ბანკში წევრად ირიცხებოდა სულ 1800 წევრი, რომელნიც ყველა—პროფკავშირის წევრებია.

● **ა-კ. კომუნისტური უნივერსიტეტი.** სრ. რუსეთის კოოპერატიულმა ბანკმა დაუნიშნა ორი სტიპენდია ა-კ კომუნისტურ უნივერსიტეტის ორ სტუდენტს 8 ჩერვონცის რაოდენობით.

● **უმუშევართა დაზღვევის საქმის გაუმჯობესება.** დამზღვევ კასამ, უმუშევართა დაზღვევის საქმის გასაუმჯობესებლად გადასწყვიტა გაადლიეროს მუშაობა და ამ მიზნით მჭიდრო კავშირი იქონიოს კავშირების ცენტრ. გამგეობასთან.

● **დაზღვეულთა აღრიცხვა.** დამზღვევ კასამ გადასწყვიტა: მოაწყოს საერთო აღრიცხვა დაზღვეულების.

● **შრომის ბირჟა.** 7 აპრილს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 332 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—81. მოთხოვნილება იყო—73, სამუშაოზე გაიგზავნა—61.

● **ცენტრალურ პარტიულ კლუბში.** ცენტრალურ პარტიულ კლუბში დაიწყო მეცადინეობა [illegible] ენის შესწავლის წრეებში, მეცადინეობა სწარმოებს: პირველ ჯგუფში (უმცროსი ჯგუფი) სამშაბათობით საღამოს 6—7 საათ. და შაბათობით საღამოს 5—6 საათ. მეორე ჯგუფში (რომელთაც იციან წერა-კითხვა) სამშაბათობით საღამოს 7—8 საათ. და შაბათობით საღამოს 6—7 საათ.

● **წყალსაზომების გაკეთება მუშათა სახლებში.** ქ. აღმასკომმა გადასწყვიტა უახლოეს ხანებში ყველა მუშათა სახლებში მოაწყოს წყალსაზომები.

● **წყალსადენის მფრინავი კასების მოწყობა.** წყალსადენის გამგეობამ გადასწყვიტა წყლის ფასის დროზე შესატანად ქალაქის სხვადასხვა უბნებში მოაწყოს მფრინავი კასები.

● **საავადმყოფო წალკაში.** ქალ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ დაადგინა [illegible] არსებული საავადმყოფო გადაიტანოს სოფ. წალკაში, სადაც 30.000 მეტი მცხოვრებია.

შემთხვევები:

■ **თვითმკვლელობა.** 6 აპრილს დღის 12 საათზე სასამართლოს ქ. № 31 მცხოვრებმა მოქ. თამარა გაბრიელის ასულმა ვარძელისამ თავის მოკვლის განზრახვით სამართლით გადაიკრა მარცხენა ხელის მაჯა, მიზეზი თვითმკვლელობის განზრახვისა გამოურკვეველია. დაჭრილი გადაგზავნილია რესპ. საავადმყოფოში.

■ **ძმის მოკვლა.** 5 აპრილს, ღამის 10 საათზე ჩერქეზოვის ქ. № 10 [illegible] ახლოს, სასიკვდილოთ დაჭრილი იქნა მოქ. ალექსანდრე ზარიძე, დაჭრილმა მოასწრო მოდარაჯე მილიციონერისათვის ეთქვა, რომ ის მოკლა მისმა ძმამ—დავითმა, რომელიც იყო გრიპით. მკვლელი შეპყრეს. დაჭრილი გარდაიცვალა საავადმყოფოში მიყვანამდის, მიზეზი ყოფილა საზიარო ქონების თაობაზე ხშირი უკმაყოფილება.

■ **ქალის გატაცება.** 5 აპრილს, საღამოს 7 საათზე არსენალის ქ. № 5, უცნობმა პირებმა ავტომობილით გაიტაცეს იაკუშ მარტიროსოვი, 10 წლისა. მიღებულია ზომები გატაცებული ქალის აღმოსაჩენად.

■ **უბედური შემთხვევა.** 6 აპრილს საღამოს 8 საათზე ჩერქეზიშვილის ქუჩაზე გაწყვეტილმა ელექტრონის ტროსმა მოკლა 16 წლის ყმაწვილი ივანე სერგოს ძე ცატიშვილი.

■ **შეპყრობა.** 5 აპრილს შეიპყრეს მოქ. ელენე პლუტოვისა, რომელსაც ბრალდება თოლორდავას ბინის გაქურდვა.

■ **ქურდობა.** 5 აპრილს, ღამით გაქურდეს მე-3 ცხენოსანთა ლეგიონის ფურნე კახეთის ქ. № 53 მდებარე, კედლის გამონგრევით. წაღებულია 150 ც. ცარიელი ტომარა და სხ. 6 აპრილს ღამით ახალციხის შესახ. № 11 გაქურდეს მოქ. ბიქოლ პეტროვის ბინა, წაღებულია 150 მან. ჩერ. ნივთები.

■ 6 აპრილს დღის 4 საათზე მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდული იქნა მოქ. ბეტშმის ბინა, ვერის აღმართი № 12 წაღებულია 80 ჩერ. მან. ნივთები.

■ **შეპყრობა.** 6 აპრილს შეიპყრეს ხ ჩაურ მირზოიანცი, რომელსაც ბრალდება მოქ. შვეიდერის ბინის გაქურდვა.

ხელოვნება

● **ვაჟა-ფშაველას პოემების გამოცემა.** სახ. გამომცემლობა შეუდგა ვაჟა-ფშაველას პოემების გამოცემას, წიგნში შეტანილ იქნება სხვათა შორის დაუბეჭდავი, ახლად აღმოჩენილი პოემები და სოფრომ მგალობლიშვილის ვრცელი მოგონება ვაჟაზე.

● **ჟურნალი „მნათობი“.** იბეჭდება და 20 აპრილს გამოვა საქ. პოლიტგანათლების მთავარმმართველობის ყოველთვიური სამეცნიერო სალიტერატურო ჟურნალი „მნათობი“ № 2, ჟურნალის პასუხისმგებელ რედაქტორად მოწვეულია ამხ. ვ. ბახტაძე.

● **ახალი წიგნი.** გამოვიდა და იყიდება ლაუ თურქის (სოტელლო) წიგნი: ასე სწამს ლაჩს.

● **საბავშვო ჟურნალი „ნაკადული“.** ახლო ხანში განახლდება საბავშვო ჟურნალის „ნაკადულის“ გამოცემა მცირეწლოვანთათვის. ჟურნ. „ჯეჯილის“ მაგიერ გამოვა „წითელი სხივი“ მოზრდილთათვის.

დღეს თეატრებში.

● **ოპერა.** „ოქროს მამალი“ პრემიერა.

● **რუსთაველის თეატრი.** სომხური წარმოდგენა.

● **ს. ხალხთა სახლი** რუსული წარმოდგენა

პროვინციაში

პროვინციელ კორესპონდენტების რეგისტრაცია

რედაქცია ახდენს თავის პროვინციელ კორესპონდენტების რეგისტრაციას.

ყველა ადგილობრივი პარტიული, პროფესიული და სხვა სათანადო ორგანიზაციები, რომელთაც ჰყავთ არჩეული კორესპონდენტები (თუ არა ჰყავთ, უნდა აირჩიონ), აგრეთვე ცალკე პირები, რომელნიც გვიგზავნიდენ კორესპონდენციებს და აქვთ სურვილი შემდეგშიც მოგვაწოდონ ასეთები,—**ვადდაუდებლად** დაჩქარებით გამოგვიგზავნონ შემდეგი ცნობები:

1. კორესპონდენტის ვინაობა (გვარი, სახელი, მამის სახელი).
2. „ სოციალური მდგომარეობა (გლეხი, მუშა, ინტელიგენტი და სხვ.)
3. „ პარტიულობა (წინანდელი, ეხლანდელი, პარტიული სტაჟი).
4. „ განათლება (შინაური, დაბალი, საშუალო, მაღალი).
5. „ პროფესია, თანამდებობა და სამსახურის ადგილი.
6. „ წლოვანება.
7. „ მისამართი.

რეგისტრაცია გაგრძელდება დღიდან ამის გამოცხადების **პირველ მაისამდე**

ადგილობრივ ორგანიზაციებს და ამხანაგებს მოუწოდებთ მოეკიდონ ამ საქმეს საჭირო სიფრთხილით და სერიოზულობით.

მუდმივ პასუხისმგებელ კორესპონდენტებს ჰეცემათ ჰონორარი.

ჩვენს პროვინციელ კორესპონდენტებს

კორესპონდენციებს, რომელნიც მოსდის რედაქციაში, ყოველ შემთხვევაში მათ საგრძნობ ნაწილს, მრავალი ნაკლი ახლავს თან, როგორც შინაარსის, ისე მისი დალაგების და გადმოცემის მხრივ.

ეს გასაგებია. კორესპონდენციების წერა რამდენიმედ დახელოვნებულ სამუშაოს წარმოადგენს; იგი ჰგულისხმობს ერთგვარ საერთო მომზადებას, კერძოდ წერის ტეხნიკის და ენის საკმაოდ ცოდნას.

ჩვენი კორესპონდენტების უმრავლესობა მუშები და გლეხებია, რომლებისათვის წინანდელ დროში სავსებით იყო დახშული გაზეთის ფურცლები, რედაქციის კარები ასე რომ საჭირო შეჩვევა, გამოცდილება აკლიათ. კორესპონდენტობა მათთვის უჩვეულო, ახალი საქმეა.

ბევრს მათგანს სულ არ მიუღია ასე თუ ისე შესამჩნევი სწავლა-განათლება.

მათ დიდ ნაწილს წინედ რევოლიუციონურ ბრძოლისათვის შეუწირავს თავისი დრო და ენერგია, ხოლო ეხლა ჩაბმული არიან სხვა და სხვა საზოგადოებრივ საქმეებში.

მათ საკმაო დრო და შესაძლებლობა არა აქვთ დახელოვნდნენ ამ დარგში ისე, როგორც ამას თვით საქმე მოითხოვს.

მაგრამ ამ გარემოებამ ჩვენი კორესპონდენტები ოდნავადაც არ უნდა დააფრთხოს

ჩვენთვის ძვირფასია ყოველი მათი კორესპონდენცია, ყოველი მათ მიერ მოწოდებული ხმა სოფლის ცხოვრების შესახებ.

რედაქცია ცდილობს ამა თუ იმ სახით დაუთმოს გაზეთის ფურცლებზე ადგილი ყველა ამ კორესპონდენციებს და ამით გადაშალოს სოფლის სრული სურათი, ყოველმხრივ გააშუქოს მისი მდგომარეობა.

ჩვენი კორესპონდენტები შეამჩნევდნენ, რომ ამ მიზნით რედაქციამ ამ ბოლო დროს საგრძნობლად გაადიდა პროვინციის განყოფილება.

რათა კორესპონდენტებმა უფრო უკეთ შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მათ მივსცეთ ზოგიერთი მითითებანი და რჩევა-დარიგება.

ამას მოითხოვენ თვით [illegible] კორესპონდენტები.

კორესპონდენცია უნდა ეხებოდეს სოფლის საჭირბოროტო საკითხებს, რომლებსაც აყენებს მიმდინარე სინამდვილე, რომელნიც აინტერესებენ ადგილობრივ მცხოვრებთ, ან რომლებზე ყურადღების მიპყრობა საჭიროა მათი და ხელისუფლების მხრით.

მრავალზე უმთავრესია ასეთი საკითხები და მოვლენები სოფლად

მაგ.: ხვნა-თესვა (რომელიც ეხლა იწყება). მისი ხელის შემწყობი თუ ხელის შემშლელი პირობები: ამინდი, სათესლე მასალა, სამეურნეო იარაღები და სხვა ინვენტარი, აგრონომიული დახმარება მატერიალურად და საჭირო ცოდნის გავრცელებით, წითელ არმიელთა ოჯახების, ქვრივ-ობლების, ინვალიდების და ღარიბების გლეხებისათვის დახმარება ყანის დამუშავებაში.

საცდელი მინდვრები, მიწების განაყოფიერება, არხების გაყვანა, საყანე ადგილების მორწყვა, ჭაობების ამოშრობა, მდინარეთა ნაპირების გამაგრება და სხ.

გზების გაყვანა, ხიდების და ბოგირების აგება.

კოოპერატივების მდგომარეობა და მუშაობა.

„მაკრატლის“ საკითხი. რა შედეგი მოიტანა სოფლად მთავრობის ღონისძიებამ ქალაქის საქონელზე ფასების დასაკლებად რამდენად გაიზარდა გლეხის საყიდელი უნარიანობა, მის ნაწარმოებზე ფასის თანდათან ზრდასთან დაკავშირებით.

სად უფრო ასაღებს გლეხი თავის ნაწარმოებს, კოოპერატივს საშუალებით, თუ ჩარჩთან. ვისგან უფრო იძენს ის საქონელს, კოოპერატივისაგან თუ კერძო ვაჭრისაგან. კოოპერატივების ბრძოლა ჩარჩებთან, კერძო ვაჭრობასთან. ამის შედეგები, და სხ.

გლეხთა ურთიერთ-დამხმარე კომიტეტები და მათი მოღვაწეობა. მათი შემადგენლობა, ფონდები, დახმარების სახეები და ფორმები. გლეხობის დამოკიდებულება ამ ორგანიზაციებისადმი.

ფინანსიურ რეფორმის მოლოდინში. გლეხობის განწყობილება რეფორმის ჩატარების კამპანია სოფლად. რეფორმის შედეგები.

სწავლა-განათლების მდგომარეობა. სკოლების აშენება-მოწყობა. მასწავლებელთა მიერ თავიანთი მოვალეობის ასრულება როგორც სკოლებში, ისე საზოგადო საქმეებში.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები. ბრძოლა წერა-კითხვის და პოლიტიკურ უცოდინარობასთან.

კლუბები. დრამატიული წრეები. წარმოდგენები.

ქოხ სამკითხველოები. მათი მომარაგება წიგნებით, ჟურნალ გაზეთებით. სამკითხველოში მოსიარულეთა რაოდენობა. გლეხების ინტერესი ამ დაწესებულებისადმი. [illegible] თუ არა მათთვის გაზეთების საჯაროთ წაკითხვა, და სხ.

გაზეთების გავრცელების საქმე პროვინციაში და ამ დარგში შემჩნეული ნაკლულევანებანი.

ბრძოლა რელიგიურ და სხვ. ცრუმორწმუნოებებთან.

გლეხობის ყოფა ცხოვრება. იცვლება თუ არა ოჯახური ურთიერთობა, ზნე ჩვეულებები და რაში გამოიხატება ეს.

გლეხ-ქალის გამოსვლა საზოგადო ცხოვრების სარბიელზე. გლეხ-ქალის მონაწილეობა საბჭოში, კოოპერატივში, გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტში და სხვა ორგანიზაციებში.

მართვა გამგეობის მდგომარეობა სოფლად. რამდენად აკმაყოფილებს საბჭოთა ქვედა აპარატის პირადი შემადგენლობა გლეხობის მოთხოვნილებებს. ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, ხალხისადმი უხეშად მოპყრობის შემთხვევები. ბოროტმოქმედებანი. მილიციის მუშაობა. ბრძოლა ქურდობასა და ყაჩაღობასთან.

სხვადასხვა კამპანიების, კრებების, მიტინგების, ყრილობების ანგარიში.

ცალკე პარტიული მუშაობა.

პროფესიონალური ცხოვრება, რამდენად საკვირველია იქ, სადაც მუშა მოსამსახურენი არიან.

შეუძლებელია ყველა იმ საკითხების აქ აღნუსხვა, რომელნიც გახდებიან კორესპონდენციის საგნათ. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი ავღნიშნეთ თვით ადგილობრივი ცხოვრება უჩვენებს კორესპონდენტს, თუ რაზე უნდა შეაჩეროს მან მკითხველის ყურადღება

საგანს, რომელზედაც უნდა სწეროს კორესპონდენტმა, ყოველთვის [illegible] ის. თავი და თავი, თუ როგორ უნდა შეადგინოს მან კორესპონდენცია.

პირველ ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს, რომ კორესპონდენტი საფუძვლიანად უნდა იცნობდეს იმ საკითხს, რომელზედაც წერს. მან უნდა გადმოგვცეს [illegible], ზუსტი ფაქტები. ძალიან ფრთხილად უნდა მოეკიდოს სხვის მიერ გადმოცემულ და ყურმოკრულ ამბებს, [illegible]. კორესპონდენტი დაინტერესებულებით უნდა იცნობდეს მისი რაიონის მდგომარეობას [illegible] შემთხვევაში შესაძლებელია, თვითონაც [illegible] შეიყვანოს შეცდომაში

კორესპონდენტი უნდა იყოს სავსებით მიუდგომელი ფაქტების ძიებაში, ის უნდა იდგეს ყოველგვარი პირადი ანგარიშის გარეშე. გაზეთი არ არის ვიწრო პირადი ინტერესების გასარჩევი საშუალება. არავინ არ უნდა გამოიყენოს გაზეთი პირადი [illegible]. კორესპონდენტი უნდა გამოდიოდეს მხოლოდ და მხოლოდ მშრომელი ხალხის [illegible] ინტერესების სახელით.

ეს ძირითადი და მთავარი პირობა [illegible].

კორესპონდენციიდან უნდა განიდევნოს ზოგადი სიტყვები, თავისთავად ცხადი აზრების განმეორება, გრძელი წინასიტყვაობა. კორესპონდენცია უნდა შეიცავდეს ფაქტების კონკრეტული მოვლენების უშუალო გადმოცემას.

კრებების ანგარიშებს შედგენის დროს ერიდეთ ორატორების სიტყვათა ვრცლად გადმოცემას. ხშირად მთელი კორესპონდენციები ამ სიტყვებს შეიცავენ. გაზეთისა და ფართო მკითხველისათვის ეს იმდენად არ არის საინტერესო, ამასთან ადგილს წაგვართმევს. მიტინგებზე და კრებებზე წარმოთქმული სიტყვები უნდა იყოს ძალიან მოკლედ გადმოცემული, გარდა გამონაკლისი, საგანგებო შემთხვევებისა.

გახსოვდეთ, რომ რამე, თუ გინდ წვრილმანი მოღვაწეობის [illegible] დარგში და მის შესახებ ცნობის მიწოდება გაზეთისათვის ათასჯერ უკეთესია ათას საზეიმო სიტყვის [illegible].

თვით კორესპონდენციის შედგენაზე წინასწარ უნდა შევიმუშავოთ გეგმა, სქემა თუ როგორ უნდა დავალაგოთ მასალა. ერთი აზრი მეორიდან უნდა გამომდინარეობდეს უნდა იყოს დაცული წინადადებათა შინაგანი თანამიმდევრობა.

თუ გინდათ შეეხოთ არა ერთს არამედ მრავალ საკითხს (მაგ. სკოლას, კოოპერატივს და სხ.), ისინი ერთმანეთში არ აურიოთ. ისე არ იწერდეს, რომ, მაგ., დაიწყეთ სკოლიდან, გადახვიდეთ კოოპერატივზე და აქ ისევ სკოლას დაუბრუნდეთ. ჯერ უნდა ამოსწუროთ ერთი საკითხი, [illegible] ყველაფერი, რაც გინდათ, და შემდეგ შეეხეთ მეორეს, და ასე ბოლომდე.

[illegible]

კორესპონდენცია უნდა იყოს მოკლე. 50—100 სტრიქონზე არ უნდა აღემატებოდეს, განსაკუთრებულ შემთხვევაში გარდა, როცა საკითხის სიდიდე მეტს მოითხოვს.

თუ გრძელია კორესპონდენცია, [illegible] მით მეტადრე, როცა სხვადასხვა საკითხებია გაშუქებული [illegible].

[illegible] კორესპონდენციები იმიტომაც საჭიროა, რომ ადგილობრივ მკითხველისათვის და გაზეთშიც მეტი ადგილი გვექნება [illegible].

წერეთ ქაღალდის მხოლოდ ერთ გვერდზე, გარკვევით, სტრიქონებს შუა საკმაო მანძილის დატოვებით.

რედაქციას ამით გაუადვილდება მასალის გასწორება და ასოთ ამწყობს მისი აწყობა.

ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ ვინც ასე დახელოვნებული არ იქნება კორესპონდენციების წერაში, იმან არაფერი მოგვაწოდოს. რედაქცია გაუშვებს და გამოიყენებს ყოველგვარ მასალას, რომელსაც რაიმე ღირებულება ექნება.

ადმინისტრაციული მუშაობა გორის მაზრაში

მაზრა, რაიონულ სისტემის შემოღებამდე შესდგებოდა 17 სათემო აღმასკომიდან, გარდა ბორჯომის რაიონისა, სადაც იყო 6 სათემო აღმასკომი, თვით სამაზრო აღმასკომი შედგებოდა 9 სხვადასხვა განყოფილებიდან.

ახალი სტრუქტურის გატარების შემდეგ, სამაზრო აღმასკომი შეიცავს, სამდივნოს გარდა, 2 უმთავრეს განყოფილებას—ადგილობრივ მეურნეობისა და საერთოს, რომლებშიაც შედიან სათანადო ინსპექციები და ქვეგანყოფილებები.

მაზრა ბორჯომიანათ დანაწილებულია 10 რაიონათ. მათში შემავალ საბჭოების რიცხვი უდრის 38 ს. მაზრის ასეთი ადმინისტრატიული დანაწილება ცხოვრების პირობებს შეეფერება და თვით მცხოვრებლების მიერ შესისხლხორცებულია, თუ არ მივიღებთ [illegible] იმ მცირე გამონაკლისს, რასაც წარმოადგენს ახალსოფლის საბჭოს დაკავშირება ახალქალაქის რაიაღმასკომთან და სხვა.

ახალი სტრუქტურის შემდეგ, მაზრის აღმასკომის საქმიანობას საბოლოოდ ჩამოყალიბებამდე ხვდება მუშაობის პროცესის დროს ისეთი შეფერხებები, რომლებიც საჭიროებენ სათანადო ახსნა-განმარტებებს, და ეს უკვე [illegible] მოგვარებული იქნება სათანადო ინსტრუქციებით.

როგორც ვიცით, გორის მაზრას გადახდა მრავალი სტიქიური უბედურობანი მიწის ძვრა, წყალდიდობა და სხ. ხალხი ამის გამო იყო [illegible], სულიერადაც დეცა, სამაზრო ხელისუფლებამ მიიღო შესაფერი ზომები მოსახლეობის მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად

სამაზრო აღმასკომმა თვით ქალ. გორში მოაწყო სამოსახლო კარო ნაკვეთების დარიგება მცხოვრებლებზედ. ამჟამად უკვე დაკმაყოფილებულია 350-დე კომლი სადგომი ნაკვეთით ქალაქის მცხოვრებლებზედ გაცემულია საადგილმამულო მასალათ —1188 რგვალი ხე, ხოლო სხვადასხვა რაიონებში 1000 ცალი.

სამაზრო აღმასკომმა უდიდესი ყურადღება მიაქცია გზების მდგომარეობას გამოტანილ იქნა აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ დადგენილება, რათა რაიაღმასკომებს [illegible] წესით ეწარმოებინათ გზების და ბოგირების შეკეთება

მთელი მაზრის სხვადასხვა რაიონებში შეკეთებულია 95 ხიდი და 150 ვერსის მანძილზე გზები. მთავარი, მნიშვნელოვანი გზა ცხინვალ-გორისა, თხოულობდა შესაკეთებლად დიდ ხარჯებს, რისთვისაც სამაზრო აღმასკომმა მიმართა რამდენჯერმე უმაღლეს ორგანოს სათანადო დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ იქიდან ჯერჯერობით არ მიგვიღია დახმარება სამაზრო აღმასკომი, დარწმუნებული იმაში, რომ ცხინვალის გზა ეს ერთად ერთი შემაერთებელი ძარღვია, როგორც მაზრის უმრავლეს ნაწილებისა, ისე სამხრეთ-ოსეთისა და თბილისს სასწრაფო შეკეთების, მიიღო ამისათვის ყოველგვარი ზომები, გადასდო ჯერჯერობით 1000 ჩერ მანეთი, მასთან მოიხმო კოოპერატიული ორგანიზაციები ამ საქმეში დასახმარებლად ცხინვალის გზა ამ ჟამად ქ გორის თავიდან 8 ვერსის მანძილზე უკვე დახურულია და სწარმოებს ინტენსიური მუშაობა.

ქ. გორში საყდრების ნანგრევი თლილი კლდეებით კეთდება ქუჩების გვერდებზედ რუები. მასთან სწარმოებს არყის ხეების გეგმით ჩაყრა, რაც უმზადებს გორს სურნელოვანი შემკობილ სილამაზეს

იქვე სწარმოებს და მოკლე ხანში დამთავრდება ლენინის ქუჩაზედ საავადმყოფოს შენობის აგება, რამაც წაართვა სამაზრო აღმასკომს საგრძნობელი თანხები; მოკლე ხანში აქ იქნება მოწყობილი მრავალ საწოლიანი საავადმყოფო, სადაც 10 საწოლი ექნება დათმობილი უფასოდ ღარიბულ მცხოვრებლებს.

საავადმყოფოების მოწყობა სწარმოებს აგრეთვე რაიონებშიაც, რაც ამჟამად 5 რაიონში უკვე შესრულებულია და მოწყობილია 5 საწოლიანი საავადმყოფოები; მხოლოდ დანარჩენებში შესაფერ შენობების უქონლობის გამო საქმე შეფერხებულია; მიღებულია ყოველგვარი ზომები ამ დარგში დაბრკოლებათა გადასალახავად

სამაზრო აღმასკომი აწარმოებს მოლაპარაკებას საზოგადოება „ი. ტ. ც. რ.“-თან სათანადო ხელშეკრულობის დასადებათ, მაზრაში ელექტროფიკაციის საქმის ფართოდ დაყენების შესახებ. სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ აღმასკომის ყოველგვარი შემოსავლიდან გადარიცხულ იქნას 2 პროც. აღნიშნულ საქმის განხორციელებლად, მასთან მიღებულია სხვა ზომები, საჭირო თანხების შესაქმნელად

ქარელის რაიონში შესძლო აღმასკომმა ელექტრონის სადგურის აგება, რომელიც მოქმედობს და აწვდის 400 ლამფის შუქს. თვით. ქ. გორში სწარმოებს მუშაობა მე 2-ე ელექტრონის სადგურის ასაგებად, რომელმაც უნდა გააშუქოს ქალაქის ახალშენი ადგილები ყოფილ ყაზარმების მიდამოებისაკენ, საიდანაც [illegible] მცხოვრებლების საგრძნობი რიცხვი, რომლის უმრავლესობას შეადგენს მუშა ხალხი.

ადგილობრივ მეურნეობის განყ. მიერ მოწყობილია მთავარ ქუჩაზედ სახარაზო, სადაც მუშაობს ყოველდღიურად 15 ხელოსანი და მზადდება საშუალოდ დღეში 200 წყვილი ჩუსტი, რაც ვრცელდება მომხმარებლებზედ კოოპერატივების საშუალებით გაცილებით იაფ ფასებში, ვიდრე კერძოთ.

წარმატებით მიმდინარეობს გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების მოქმედება, ამ კომიტეტების რიცხვი არის გორის მაზრაში 157, მათ შორის 1 საქალაქო, 10 სარაიონო, 26 სათემო და 120 სასოფლო. მაზრაში ამ ჟამად უკვე არის დაარსებული თვითდაბეგვრის [illegible] ყველა საბჭოს,—კომიტეტების ფონდათ—35 500 ფუთი.

მათ აქვთ სხვადასხვა ადგილებში გადაცემული ფონდიდან ხილის ბაღები, წისქვილები და სხვა.

სამაზრო ურთიერთ დამხმარე გლეხთა კომიტეტმა მოიტანა სარაიონო სათემო და სასოფლო კომიტეტებზე გადასაცემად 120 ფუთი ფრთალი, რაც განაწილებულ იყო მათ შორის, ფონდის და საჭიროების მიხედვით, გარდა ამისა თვით ქალ. გორში, კვირას, 30 მარტს, გატანილ იყო ფრთალი ბაზრობაზე, სადაც გლეხკაცობას მიეცა საშუალება ფრთალის შეძენისა. ბაზრობაზე მოსული გლეხკაცობა, აღფრთოვანებული იმ გარემოებით, რომ ფრთალი ეძლეოდათ ნახევარ ფასებში, გაიძახოდა: „გაუმარჯოს ჩვენს მუშურ-გლეხურ მთავრობას, გაუმარჯოს ჩვენს მხსნელებს სპეკულიანტების ბრჭყალებიდან“.

სოფლის ღარიბი გლეხკაცობა ჩადგა რიგებში და იღებდენ ფრთალეულს, რის შემდეგაც ბრუნდებოდნენ სახლებში სრული კმაყოფილებით და მხიარული სახით.

ბაზარზე გატანილი საქონელი დარიგებული იყო მხოლოდ და მხოლოდ გლეხკაცობაზე და როცა საქონელი იქ [illegible], დარიგებისას [illegible] მოსულმა გლეხკაცობამ [illegible] კმაყოფილებული იყო ფრთალით.

ამ დღეს, იქვე გვერდით, მოვაჭრეები დასევდიანებული დასცქეროდენ თავიანთ საქონელს და იძახდენ: „ჩვენ რაღა ვქნათ, რითი ვიცხოვროთ“.

მთელი ვაჭრობა გულხელ დაკრეფილი იყო საღამომდის ეს დღე იყო პირველი მისი გორის სპეკულიანტ ვაჭრებზე და გორის მაზრის გლეხკაცობის გამარჯვება მათზე.

მაზრის ადმინისტრაციაში უდიდეს ყურადღებას იქცევს [illegible] მუშაობა. ამ ჟამად მაზრაში სწარმოებს [illegible] 4 ადგილას: ტირიფონის არხისა, სადაც მუშაობს ყოველდღიურად 700 მუშამდე და გათხრილია 11 ვერსის მანძილზე, მაგრამ ამ მუშაობის შესრულებაში იჩინება ერთი უხერხულობა: სამუშაოზე გამოდის უმთავრესად ღარიბები და მცირე მიწის გლეხი, რომელთაც ნაკლები საქმე მოეძებნებათ სახლში, მუშაობის საფასურს ღებულობენ ძალიან მცირეს (ადგილობრივ ძალით 1,5—2 მან. კუბ. საჟ.), დღიური ხელფასი უდრის 25 30 ჩერ. კაპ., ხაროდ სამუშაოზედ კი უფრო ნაკლები. აღნიშნულ სამუშაოს დამთავრების შემდეგ სამუშაოზე დახარჯულ თანხის თანასწორათ გადახდევინებით, გამოვა, რომ ღარიბმა გლეხკაცმა ნახევარ ფასად შეასრულა მდიდარი გლეხკაცის წილხვედრი სამუშაო. ამ მოვლენას უნდა მიექცეს ყურადღება და ღირსეულად ფასდადებული იყოს მუშაობა.

სწარმოებს მუშაობა დღეს გრაკლის არხზე, უკვე გათხრილია 17 ვერსი, გაკეთებულია 8 [illegible] ხიდი და გათხრილია გვირაბი 80 საჟენი

სწარმოებს აგრეთვე ქარელისკოის არხის გაყვანა, სადაც გათხრილია 19 ვერსი და გაკეთებულია დროებით მცირე მანძილზე წყლის [illegible] მასალა [illegible] სიფონის ასაშენებლად

ასეთია გორის მაზრაში ადმინისტრაციული მუშაობა.

იმედია, დაწყებული საქმეები შესრულებული იქნება ხალხის საკეთილდღეოდ.

ვახო ქურდაძე.

საძოვრების საკითხი რაჭაში

რაჭველი ხალხი ცნობილია როგორც დიდი ენერგიის მქონე და სიზარმაცესთან მებრძოლი. მისი მთავარი ხელობა ხვნა თესვაა. იქი აქ მეცხოველეობასაც მისდევს (მეტ წილათ ქვემო რაჭაში). მიუხედავად შრომის უნარიანობისა, რაჭველი ვერ არის განთავისუფლებული [illegible] საცხოვრებლად გასვლისგან. რაჭველ კაცს შეხვდებით არა მარტო საქართველოს რესპუბლიკებში, არამედ ამერიკაში და სხვაგან. ეს აიხსნება მიწის სივიწროვით და უგარგისობით. „[illegible]“ ეს თქმულება რაჭაში ხალხში გამოთქმულა.

გარდა ხვნა თესვისა რაჭველი ხალხი მისდევს მეჯოგეობასაც, რომლისათვისაც შეძლებით კარგ პირობებს წარმოადგენს მაღალ მთებზე მდებარე სახელმწიფო საძოვრები. [illegible] საძოვრების სივიწროვის [illegible], მხოლოდ თუ გავითვალისწინებთ რაჭის ყოფილ [illegible] 1920 წ. შეგროვილ მასალებით, საძოვრების და სათიბების რაოდენობა დაახლოვებით 60,480 დეს. და 1,620 ოთხ. ქ. ს. განიხილება: 1 კატეგ. 16,054 დეს. 1700 ოთხ. ს., მე 2 კატ. 9906 დეს, და 10,10 ოთხ. ს., მე 3 კატ 16,158 დეს. 790 ოთხ. ს. და უვარგისი 18,761 დეს. 480 ოთხ. ს. უვარგისი საძოვრების რაოდენობა უფრო მეტია. [illegible], მაზრის მდგომარეობა ვერც აქ [illegible] არის საშუალო. მიუხედავად ამისა, ეს მცირე საძოვრები და სათიბები ვერ არიან მიზანშეწონილათ განაწილებულნი, რასაც დიდი არევ-დარევა შეაქვს თემების შორის დამოკიდებულებაში. ეს საკითხი ყოველთვის მწვავეთ იდგა მაზრაში. დღეს ეს უნდა გადასჭრას მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატმა.

ამ მხრივ ცდები იყო გაკეთებული რაჭის აღმასკომის მიწათ მოქმ. განყ. მიერ; მან არა ერთჯერ მიმართა კომისარიატს დახმარებისთვის, მაგრამ დადებითი გამოძახილი არ ყოფილა. პასუხი ასეთი იყო: ჩვენ არ გვაქვს საშუალება დავაკმაყოფილოთ მიწის მომწყობების კადრით. ყოველივე ეს კარგათ იცის ყოფილმა რაჭის აღმასკომის თავჯდომარემ, დღეს კი მიწათმოქმედების კომისრის თანაშემ. ამხ. წულუკიძემ; იცის აგრეთვე, რომ მთის სოფლები: ღები, [illegible], ჭიორა, გლოლა, უწერა გადაკიდებულნი არიან ერთი მეორეზე.

საქმის ვითარებას კარგადაა გაცნობილი რესპუბლიკის მიწების ყოფილი რევიზორი, ამხ. [illegible], რომლის მეთაურობით იმართებოდა ექსკურსიები, რომლებმაც ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღეს. საკითხი კი ღიად არის დატოვებული და ამ ვერავითარი კომისიები რაჭის მიწათმოქმედების განყოფილებისა ვერ გადასწყვეტს, თუ ამ საქმეს ხელი არ მოკიდა რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანომ, მიწათმოქმედების კომისარიატმა. ამჟამად სეზონის დასაწყისში ვემყარებით და თუ საძოვრების მოსაწყობად არ დაიწყო სამზადისი, ანტაგონიზმი მოდავე თემებს შორის უფრო გართულდება. თუ გვინდა მშვიდობიანობა დავამყაროთ, საჭიროა გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საძოვრების მოწყობას რიონის ხეობის ზედა ნაწილში, სადაც ხალხი მეტ წილად მეჯოგეობით ცხოვრობს.

თუ დღემდე ხელისშემშლელ პირობების გამო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ვერ გადადგა ამ დარგში სათანადო ნაბიჯი, დღეს უნდა იქნეს დაძლეული ყოველი დაბრკოლება და მიმდინარე წლის საზაფხულო სეზონის განმავლობაში პირველ რიგში მოგვარდეს რაჭაში საძოვრების და სათიბების საკითხი. ამ საქმისათვის დღესვე უნდა იქნეს გადადებული საჭირო თანხა და შერჩეული მიწისმზომელები.

საძოვრების მოწყობით დაინტერესებულია რაჭაში არა ერთი და ორი მოსახლე, არამედ ხალხის უმრავლესობა. ამით მიწად მოქმედების კომისარიატი შეასრულებს თავის მოვალეობას და რაჭის მშრომელ გლეხების სიმპატიებს საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთი ათად გაზრდის.

ამ საქმეში დაყოვნებას უეჭველად მავნე შედეგები მოჰყვება.

სერგო ჭიორელი.

შეფობა სოფელ სარტყელაზე

სად. ხაშურის მოძრაობის დარგის კომუნისტურმა უჯრედმა 30 მარტს 1924 წ. მიიღო შეფობა ხაშურის რაიონის სოფელ სარტყელაზედ“ აღნიშნული სოფელი მდებარეობს ქ. ხაშურიდან 7 ვერსის მანძილზედ. საშეფო კომისია ამხ. ამხ. შ. ნებიერიძის, ი. ფირაძის და ვლ. გოლუბიანის შემადგენლობით დილით 30 მარტს სამხედრო ორკესტრით და მრავალი ამხანაგებისა და მოქალაქეთა თანხლებით გაემგზავრა სოფელ სარტყელასაკენ. კომისიამ თან წაიღო სოფელზე დასარიგებლათ 10 ფუთი ნავთი, 10 ფუთი მარილი, 20 გირ. საპონი და 100 კოლოფი ფოსფორი. სოფელი სარტყელა შესდგება სულ 20 კომლისაგან. ძლიერ ღარიბი სოფელია საშეფო კომისიის მსვლელობას ჰქონდა საზეიმო ხასიათი. დღის 12 საათზედ კომისია მთელი შემადგენლობით და სამხედრო ორკესტრით უკვე იყო სოფელ სარტყელაში. იქ შეკრებილიყო მთელი სოფელი. დიდი და პატარა, ქალი და ბავშვები აღტაცებით შეხვდენ პროცესიას და ვაშას ძახილით და ტაშის ცემით მიიღეს ის. საზეიმო მიტინგი გახსნა ამხ. ილ. ფირაძემ, რომელმაც მდაბიო ენით ნათლათ დაასურათა და ახსნა-განმარტა შეფობის მნიშვნელობა, შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას და პარალელი გაავლო საბჭოთა ხელისუფლების ქვეყნებისა და ბურჟუაზიული ქვეყნების მდგომარეობებს; ნათლათ აღნიშნა, თუ როგორი გიგანტიური ნაბიჯით მიიწევს წინ საბჭოთა ქვეყნები, როგორც პოლიტიკურათ, აგრეთვე ეკონომიურათ. შემდეგ ილაპარაკეს ამხ. ამხ. სოკრატ ბარბაქაძემ, ი. ფილიშვილმა და მოძრაობის დარგის კომუჯრედის პ. მგ. მდივანმა ე. კალანდაძემ, რომლებმაც აგრეთვე ნათლათ და მკაფიოთ დაასურათეს საბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა, კერძოდ შეფობის მნიშვნელობა, აღუთქვეს სოფელ სარტყელას მომავალშიაც დახმარება და მოვლა. ამხ. ე კალანდაძემ, სხვათა შორის, შეეხო სარწმუნოებას და მღვდლების თვალთმაქცობას და დაამტკიცა ბევრი მაგალითების აღნიშვნით მათი მუშათა-გლეხთათვის მავნებლობა,

მიტინგის დასრულებისას კომისიამ დაარიგა ყოველივე მოტანილი მთელ სოფელ სარტყელას მცხოვრებლებზე, რამაც აუწერელი სიხარული გამოიწვია გლეხებში. გაიძახოდნენ ყველანი, რომ ჩვენ ვართ დარწმუნებულნი, რომ საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია ერთად ერთი დამცველია მშრომელი ხალხის ინტერესების, რომ ისინი ყოველივე ღონისძიებას ხმარობენ მუშების და გლეხების კეთილდღეობისთვის. [illegible] ყველა გლეხთა და მათმა ოჯახებმა, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე შეებრძოლებიან კო-

მუშათა ცხოვრება

რკინის გზის სამასალო სამსახურის მუშათა ცხოვრებიდან

სამასალო სამსახურის ქარხნებს გასულ 1923 წელს მოგება ჰქონდა ოქროს ღირებულებით 8000 მანეთის, ამ მოგებიდან ორმოცდა ათი პროცენტი გადადის გზის მოგების ფონდში, ორმოცდაათი კი უბრუნდება მუშებს პრემიის სახით. მაგრამ რადგან 50 პროცენტიდან უნდა მიეცეს წილი ადგილობრივ ქარხნის ადმინისტრაციასაც, ამიტომ დღემდის ვერ მოხდა მუშებს და ადმინისტრაციის შორის შეთანხმება პრემიის განაწილების შესახებ, რის გამო ფერხდება და გვიანდება ფულის მიღების საქმე. საქმე იმაშია, რომ კანტორაში ირიცხება 10 კაცი, რაიც შეადგენს მუშების 1 მეცხრედს.

მათ მოინდომეს 50 პროცენტიდან თექვსმეტი პროცენტის მათ სასარგებლოდ გადადება და ოთხმოც მუშას კი უნდათ დაუტოვონ 34 პროცენტი. აქედან რომ ვიანგარიშოთ ერთი კანტორის მოსამსახურეს ხვდება იმდენი, რამდენიც ოთხ მუშას.

ასეთი შეუსაბამო მოთხოვნილება მუშებისათვის მიუღებელია და ისინი ვერც დასთანხმდებიან ამაზე. ამიტომ საქმეში ჩაერია უბნის კავშირის წარმომადგენელი და საკითხი გადაწყდა იმ რიგად, რომ შვიდი პროცენტი მიეცათ კანტორის მოსამსახურეებისათვის, დანარჩენი 43 პროცენტი კი განაწილებულიყო მუშებზე. ამგვარად საქმე გახურებული იყო და მუშებს უნდა აეღოთ ფული. მაგრამ აქაც საქმე ჩაფუშა მოსამსახურეთა უკმაყოფილებამ, რადგან არ დასთანხმდენ ისინი ამაზე და აფურებს საჩივრები სამართველოში, ასის გამო პირველ აპრილს მუშებმა, გაიგეს რა ეს ამბავი, სამუშაოს გათავების შემდეგ შეიკრიბნენ ქარხანაში და იმსჯელეს რა აღნიშნულ საკითხზე გამოსთქვეს ის აზრი, რომ მიუხედავად იმისა რომ ქარხანამ მოგება ნახა განსაკუთრებით მუშების გამჯირჯებობით და იგი მათი ხალფლარია მაინც მოძმრე არიან კანტორასაც ხვდეს წილი მოგებიდან პროპორციონალურად. მხოლოდ მათი გადაჭარბებული მოთხოვნა კი შეუწყნარებლად ჩასთვალა ჩვენ მუშებმა, რისთვისაც დაავალეს მათ თავის წარმომადგენელს არ დასთმოს ამ საკითხში. ჩვენი მუშების მოთხოვნილება სრულიად კანონიერია და ისინი უნდა იქნას დაკმაყოფილებული.

მუშა ივ. ბ—შვილი

1-ლ გამასწორებელ სახლის მუშა-მოსამსახურეთა შორის.

ა. წ. ხუთშაბათს 27 მარტს შესდგა გამასწორებელ სახლის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. აღსანიშნავია № 1 გამსახლის მუშა მოსამსახურეების მისწრაფება სამკითხველოსადმი. ჯერ კიდევ 9 საათი იყო დილის, რომ მუშა-მოსამსახურეებმა მოიყარეს თავი თავის საყვარელ სამკითხველოში და შეუდგნენ გაზეთ-ჟურნალების კითხვა, ყველა დაწყნარებულად კითხულობს და არჩევს. სამკითხველოში სრული სიჩუმე სუფევს. ამ დროს მოდის საბჭოთა მოსამსახურეების კავშირიდან პასუხისმგებელი მუშაკი ამხ. ჯანიბახჩიევი. მოსამსახურეებს სახე გაუბრწყინდათ, ვინაიდან ამხ. ჯანიბახჩიევის დიდი მადლიერი არიან ჩვენი გამასწორებელი სახლის მუშა-მოსამსახურეები. ეს იმით აიხსნება, რომ ამხ. ჯანიბახჩიევი პირველ მიმართვისა მუშა-მოსამსახურეებს აძლევს გარკვეულ პასუხს და აყენებს სწორ გზაზედ. სრული 11 საათი იყო რომ თეატრის დარბაზში კრება გახსნა ადგილკომის პასუხისმგებელ მდივანმა ამხ. ადამიამ. კრების გახსნის წინ მოუწოდა კრების დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივეცათ პროლეტარულ რევოლუციის ბელადის ამხ. ლენინის ხსოვნისათვის, შემდეგ კრებამ ერთხმათ ამოირჩიეს თავმჯდომარეთ ამხ. ჯანიბახჩიევი, მდივნათ კი ამხ. სერგო მონიავა. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება ანგარიში პასუხისმგებელ მდივნის ამხ. ადამიას ერთი თვე ნახევრის მუშაობის შესახებ, 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3 მიმდინარე საკითხები, ა) კოოპერაციის შესახებ, ბ) ტრამვაის-მუშა მოსამსახურეებისათვის უფასო მიმოსვლა, გ) № 1 გამსახლში არსებულ დრამატ. წრის გამგეობის ამორჩევა.

ამხ ადამიას მოხსენებიდან გამოირკვა ადგილკომმა ერთგული მუშაობა თანამშრომლების სასარგებლოდ როგორც მატერიალურ, აგრეთვე კულტ-განათლების დარგში და სხვა. სხვათა შორის ამხ. ადამიამ აღნიშნა პროფკავშირის საბჭოსა მოსამსახურეებისა კულტკავშირის დახმარება წიგნებით და სხვადასხვა ჟურნალებით—გარდა ამისა ამხ. ადამიამ აღნიშნა საქართველოს გამსახლების უფროსის ამხ ლადო ფანიაშვილის დიდი დახმარება, მატერიალურ და კულტ განათლების საქმეებში. ადგილკომის მოხსენების შემდეგ იქნა სათანადო რეზოლიუცია გამოტანილი შემდეგ სარევიზიო კომისიის მოხსენება იქნა საერთო კრებაზე ერთხმათ დამტკიცებული იქნა ამორჩეული დრამწრის გამგეობა შემდეგი ამხანაგებით: 1. ქემეჩაიძე სიმონ, 2. სუგინოვი სერგო, 3 მაშინი ალექსეი, 4. საპატოვა მარია, 5 ტერ გრიგორიევი ლევონ, 6. კვარცხელია ხარიტონ. კანდიდატებათ ყუფარიძე გიორგი, კონტაძე კოლია და დიდებულიძე. კრება დაიხურა სრულ 2 საათზე.

მუშკორი ა. დ. მათხოვჯიელი.

მუშათა სამკითხველოების საყურადღებოდ

ჩვენ, მუშები, ბევრჯერ შევხვდებით მუშათა სამკითხველოებში, რომ ვიღაცა მოვაჭრე ზის სამკითხველოში, და ვითომ გაზეთს კითხულობს, და თან აქეთ-იქით თვალიერობს, რომ არავინ მოიწიროს. რასაკვირველია, არავინ უშლის მათ გაზეთების წაკითხვას სამკითხველოში. მაგრამ საქმე შემდეგშია: ვაჭარს კი არ უნდა რომ დიჯდათ გაზეთი წაიკითხოს, არამედ უნდა, რომ ქუდულათ კურსი გადმოიწეროს და წავიდეს. მას ცნობება დღეში ერთი გაზეთის ყიდვა და ჩვენ კი ხელს გვიშლის.

მუშების სამკითხველოებით სარგებლობენ სპეკულიანტები. ეგ მიუღებელია ჩვენთვის. საჭიროა ამას მიექცეს სერიოზული ყურადღება.

მუშკორი ი. ჯ.

მუშათა ქრონიკა

— სპეცტანსაცმელი. რკინისგზის სამმართველო ღებულობს ზომებს, რათა დაკმაყოფილებული იქნენ ახლო მომავალში სპეცტანსაცმლით ყველა მოსამსახურეები.

— მალარიასთან ბრძოლა. რკ. გზის დამზღვევმა კასამ გადასცა ჯანმრთელობის კომისარიატს საჭირო თანხა რკინის გზის საჭიროებისათვის ბინის შესაძენად.

— ჯამაგირების მომატება. ამ დღეებში გატარდება რკ. გზელ გონებით მომუშავეებზე 2 პროც. მომატება.

— მუშათა რიგების გაწმენდა. შორაპანში შავი ქვის გადამტვირთავ მუშებს შორის მოხდა გაწმენდა. გაწმენდაში მოხდნენ შეძლებული პირები.

— რკინისგზის აბანო. რკინისგზის აბანო (ცოლის ქუჩაზე), რომელიც შეკეთების გამო ორი კვირა დაკეტილი იყო, უკვე შეკეთდა და 5 აპრილიდან დაიწყო მოქმედება.

— უმუშევართა მოძრაობა 5 აპრილს რკინისგზის ბირჟაში ახლად ჩაეწერა 85, სამუშაოზე გაიგზავნა 6 კაცი. დარჩა აღრიცხვაზე 1874 უმუშევარი.

მუშკორ ალ. ბუშვილის საპასუხოდ

(იხ. „კომუნისტი" № 71)

გაზეთ „კომუნისტში" ა/წ. მარტის № 71 ში მუშკორი ამხ. ბ-შვილი ეხება დამზღვევი კასის ტრამვაის პუნქტს და აღნიშნავს მისი თანამშრომლების მუშაობის უარყოფით მხარეებს—ბიუროკრატიზმს—გულგრილობას და სხვა. მართალია ამ უკანასკნელ დროს იყო მაგალითი, რომ მუშას გაუჭირეს დახმარების მიღება 2-3 დღის განმავლობაში, ზოგიერთ დაზღვეულებს ორჯერ-სამჯერ მოუხდათ მოსვლა ხვედრი ფულის მისაღებად, მაგრამ ეს იშვიათად ამ ბოლო დროს მოხდა და ამას თავისი გასამართლებელი ობიექტური მიზეზიც აქვს. საქმე იმაშია, რომ ტრამვაის პუნქტი 11 მარტამდე დახმარებას აძლევდა მხოლოდ ტრამვაის მუშებს და საქმე არ რთულდებოდა, რადგანაც პუნქტის თანამშრომლები იცნობენ ტრამვაის მუშების კოლექტიურ ხელშეკრულებას, მათ ხელფასს და სხვა. 11 მარტიდან კი მოხდა პუნქტის რეორგანიზაცია. მას დაევალა ახლო მდებარე ქარხნების მუშებისათვის დახმარების გაცემა. ამან გამოიწვია პუნქტის ოპერაციების გაფართოება და საქმის შეფერხება იმ მხრით, რომ პუნქტს ბევრი დაზღვეული მოაწყდა. ამასთანავე პუნქტს ჰქონდა ერთგვარი წესები ტრამვაის ადგილკომთან შეთანხმებით გამომუშავებული, რომლის როგორც ფორმალური მხარეების, შესრულება აუცილებლობას წარმოადგენს ფულის გასაცემად, ეს ფორმალური მხარეები დანარჩენ უწყებათა დაზღვეულებს არ ჰქონდათ შესრულებული და ამით აიხსნება დახმარების გაცემის დაგვიანება. ამავე დროს მოხდა ჯამაგირების შეცვლა ფულის რეფორმასთან დაკავშირებით. მიზეზები საკმაოდ ობიექტურია და ვინც ფულის გაცემის დროს საჭირო დისციპლინის დაცვას იცნობს, მას კომენტარიები არ სჭირდება. დაბოლოს უნდა ითქვას, რომ მუშკორის მიერ აღნიშნული ნაკლი ეხლა ადგილი არა აქვს, რაკი არ არსებობს ის პირობები, რომლებიც მოვიხსენიეთ ზევით.

კასის მდივანი: ი. ლომაძე.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

ამხ მელითონეს

მე ვცხოვრობ დიდუბეში; მიჭირავს ორ ოთახიანი ბინა სივრცით 76 კვადრატიული არშინი; ვსარგებლობ სამზარეულოთი; ბინაზე არის წყალსადენი, რომლითაც მე ვსარგებლობ ჩემი ოჯახობით; ვიღებ თვიურად შრომის ხელფასად სიძვირის ყოველგვარი პროცენტების დამატებით 45 ჩერვონეცის მანეთს

გთხოვთ მაცნობოთ, თუ რა რაოდენობით უნდა გადუხადო სახლის პატრონს ბინის ქირა

პასუხი:

თანახმად თბილ. ქალ. საბჭოსა და აღმასკომის დადგენილებათა 1923 წ 8 ნოემბ. № 41 და 1924 წ 2 აპრილიდან (იხ. „ზარია ვოსტოკა" 1923 წ 11 ნოემბ. და „კომუნისტი" № 75 1924 წ 5 აპრილიდან) ყოველ კვადრატიულ არშინზე თქვენ უნდა გადაიხადოთ, როგორც უდიდეს მუშაკებს, ერთი ჩერვონეცის კაპეიკი, მთელი ბინისა კი—76 კაპ. ჩერვ და სამზარეულოთი სარგებლობისათვის კიდევ ერთი პროცენტის მომატებით ე. ი. ჩერვონეცის სამი მეოთ. კაპ სულ თქვენ უნდა გადაიხადოთ 75— სამი მეოთ. ჩერ კაპ.

ამხ. შაქრაძეს:

მე თვიურად ვიღებდი საქონლის 16 მანეთს. პირველ მარტიდან გადამიყვანეს ჩერვონეცის ანგარიშზე ე წ. მტკიცე პარიტეტით. უკვე მივიღე მარტის თვის პირველ ნახევრის ჯამაგირი ჩერვონეცის ანგარიშზე 50 პროცენტის მომატებით; მარტის მეორე ნახევრის ჯამაგირი ჯერაც ვერ მიმიღია. გთხოვთ მაცნობოთ თუ რა რაოდენობით უნდა მომეცეს მარტის მეორე ნახევრის შრომის ხელფასი

პასუხი:

თანახმად ს. ს. შრომის ს. კომისარიატის განმარტებისა 1924 წ 8 აპრილიდან 6 (იხ „კომუნისტი" № 77 5 აპრილ 1924 წ) თქვენ უნდა მოგცენ, ამხანაგო, შემდეგი: თქვენი ჯამაგირი—16 საქ მან. ჩერვონეცზე გადაყვანით მტკიცე პარიტეტით უდრის $16 \times 1{,}30 = 20$ მან და 80 კაპ. ჩერვ. ამას უნდა მოემატოს ახალი ინდექსის თანახმად ყოველ თვიურ მანეთზე 52 ჩერვ. კაპიკი—სულ მარტის თვეში თქვენ უნდა მიიღოთ დამატების სახით 20 მან. 80 კ.$\times 0{,}52 = 10$ მან. 82 კაპ. ჩერ—სულ კი 20 მან 80 კ.+10 მან. 82 კაპ=31 მან. 62 კ. ამ 31 მან 62 კაპ უნდა გამოაკლოთ ის ჯამი, რაც თქვენ მიიღეთ მარტის პირველ ნახევარში—ე ი. ძირითადი ჯამაგირი — ჩერვ 10 მან. 40 კ.+50 პროცენტი სიძვირისა—(რაც შეადგენს—5 მან. 2 კაპ) სულ კი=15 მან 60 კ. დარჩება 16 მან და 2 კაპ. აი ეს არის ის ჯამი რომელიც თქვენ უნდა მოგეცეთ მარტის თვეს ანგარიშის გასასწორებლად.

მუნისტურ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მტრებს.

საჩუქრების დარიგების დასრულებისას მიტინგის წინაშე გამოდის გლეხი ნიკალა კოტის ძე გელაშვილი სამი თვის ბავშვით ხელში და სთხოვს მიტინგს, რომ ვინაიდან ის სრულიად დარწმუნებულია სამღვდელოების სიყალბეში, ეს მისი შვილი ქალი სამი თვისა იქნეს დღეს კომუნისტურ წესით მონათლული; მთელი მიტინგი ამ განცხადებას ტაშით შეხვდა კომკავშირის სახელით საშფუ კომისიამ აიყვანა რა ხელში ის ბავშვი, ვრცლათ გააცნო გლეხობას მნიშვნელობა კომუნისტურათ ბავშვების მონათლვისა. ბავშვს სახელათ უწოდეს კლარა, ბავშვზედ ნათლობა მიიღო კომკავშირმა და დაასაჩუქრა რვა მილიარდი მანეთით. მომავალში აღუთქვა მოვლა და პატრონობა.

ილია ფერაძე

ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა ჩოხატაურამდე

ამას წინეთ გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული იყო საქ. სსბ მთავრობის გადაწყვეტილება რკინის გზის ჩოხატაურამდე გაგრძელების შესახებ. მთავრობა ეხლავე ავალებს მუშათა და გლეხთა ინსპექციას სხვა წარმომადგენლებთან ერთად, არა უგვიანეს ერთი თვისა, გამოარკვიოს აღნიშნული გზის ეკონომიური მნიშვნელობა მისი ღირებულება და სხვა.

უდავოა, რომ მომავალი გამომრკვევი კომისიის დასკვნა მუშათა და გლეხთა ინსპექციის მეთაურობით დადებითი იქნება და გურიის მშრომელი ხალხი სულ მალე მოესწრება კიდევ ერთ ბედნიერ დღეს, ახალ ზეიმს კიდევ ახალი გამარჯვებისას.

ეს ასეა მაგრამ უადგილოთ არ მიმაჩნია აღვნიშნოთ ერთი გარემოება. აქა-იქ ძლიერ მკრთალად, მაგრამ მაინც გაისმის ხმები, ვითომც ხსენებული გზა ვერ იქნებოდეს ეკონომიურათ სასარგებლო, რომ დაბა ჩოხატაური თავისი მოტიტვლებული (?) მთა გორიანი ადგილებით რა ამოუწურავ და უხვ საუნჯეს წარმოადგენდეს და სხვა.

მომავალი კომისია ყველაფერს აწონ დაწონის, შეისწავლის და შესაფერ დასკვნასაც გამოიტანს, მაგრამ მაინც გვაინტერესებს და ვიტყვი, რომ თუ ოდესმე რომელიმე გზას ჰქონია ეკონომიური მნიშვნელობა, მით უმეტეს აღნიშნულ გზას აქვს საუკეთესო მომავალი თავის მრავალფეროვანი სიმდიდრით

ზოგიერთ მათგანი ისე თვალსაჩინოა, რომ უბრალო ადამიანი შეუიარაღებელი თვალებითაც კი შენიშნავს.

აღნიშნული გზა მთელი 20—25 ვერსის მანძილზე ჩვეულებ 7—8 ვერსით გასწვრივ გურიის ხე ტყით დაბურულ მთის კალთებს, მთები მოცულია უღრანი გაუვალი მრავალფეროვანი ხეების ჯიშით. მაგ: ხაძვი, ფიჭვი, წიფელი, მუხა, ცაცხვი, წაბლი, წითელი ხე და სხვა.

მთებიდგან უხვად გადმოდის საკმაოთ მოზრდილი წყლები: მაგ., ბახვის წყალი, გობაზოული, ნატანები, სუფსა და სხვა, სადაც სულ პატარა ხარჯის გაწევით შესაძლოა მოწყობილ იქნეს მრავალნაირი ქარხნები, იმავე წყლების გამოყენებით. დღეს ეს ტყე მიუვალია და რესპუბლიკას არაფერს სარგებელს არ აძლევს. ტყე მიტოვებულია და ყოველწლობით ჰკარგავს თავის ფასს და ხარისხს. ყველა გურულმა იცის, რომ იმპერიალისტური ომის დაწყების წინ ვიღაც ინგლისელების კომპანია იკვლევდა გურიის მთის სიმდიდრეს, დიდი გეგმებით იყვნენ მოსული, მაგრამ ომმა ხელი შეუშალა.

ძირითად ხე ტყით და თეთრი ნახშირით, რომელითაც მდიდარია გურია და რომელიც ასეულად გაადვილებს ტყის დამუშავებას, არ თავდება საქმე. ის კუთხე, სადაც გაივლის რკინის გზა,—შემოქმედი, ბახვი, მოგითი (ჯერ არაფერს ვიტყვით სურების რაიონ ს საზე პროთ მლადარ ტყეზე),—ცნობილია მრავალგვარი მადნეულობით, მათ რიცხვში სილებავი (კრასკა) ოხრა, რომლის დამუშავება სრულიად უმნიშვნელო საშუალებებით შეიძლება და რომელსაც დიდი გასავალიც ექნება; ცნობილია სპილენძი, ნახშირი, შაბი, ლითონი და თუ გნებავთ, ვერცხლი და ოქროც. რასაკვირველია, ამ უკანასკნელის ხარისხზე და რაოდენობაზე არაფერს ვიტყვით, მაგრამ არ შეიძლება არ აღნიშნოს, რომ ხსენებული გზა მოდის ჯერ კიდევ გამოუცნობელი, ხელუხლებელ და ბუნების წიაღში საიდუმლოებით მოცულ საუნჯესაკენ, გზა მოდის ერთ-ერთ მშვენიერი საკურორტო ადგილებისაკენ, უახლოვდება ბახმაროს და სხვა საკურორტო ადგილებს. თუ კი ბუნების სილამაზეს ფასი აქვს, ამ შემთხვევაში კუთხე უნდა გადაიქცეს ჩაის, მანდარინის და ფორთოხლის სამშობლოთ, რის დასაბუთება ციფრებითაც შეიძლება საჭიროების დროს.

გურიის მშრომელთ ეშლებათ წინ ფრიალით ახალი შესაძლებლობანი. რომელიც კუთხეს ეკონომიურათ ააყვავებს და გიგანტიური ნაბიჯით წინ წასწევს.

იმედს გამოვსთქვამთ, რომ ბუნებრივი სიმდიდრეთა შესწავლა და აღნუსხვა დაჩქარებული იქნება და, მიუხედავათ ჩვენი სიღარიბისა, ამ გადაუდებელ საქმეს აჩქარებული ტემპით შეასრულებს საქ. საბ. მთავრობა მშრომელ ხალხთან ერთად და ახლო მომავალში ჩოხატაურში იზეიმებს მორიგ გამარჯვებას.

ქ. გურგენაძე

ლაგოდეხის რაიონი (სიღნაღის მაზრა)

ლაგოდეხის რაიონი ეკუთვნის სიღნაღის მაზრას. იგი მდებარეობს კავკასიონის მთის ძირებში და ალაზნის მიდამოებში. თვით ქ ლაგოდეხი, რომელიც იმყოფება ამ მთების ძირში, წარმოადგენს საზღვარს მეზობელ აზერბაიჯანის რესპუბლიკასა. ამ რაიონის ფარგლებში შედის 63 სოფელი მოსახლეობა შეადგენს სხვადასხვა ერის ხალხს. აქ არიან: ქართველები, რუსები, ოსები, თათრები, სომხები და სხვ. ლაგოდეხის რაიონში ფაქტიურად შედის ორი რაიონული აღმასკომი: ერთი თვით ლაგოდეხის და მეორე აფენის. პირველში შედის 34 სოფელი და მეორეში 29. ორივე რაიონის მოსახლეობის ძირითად საქმიანობას შეადგენს მიწათმოქმედება. ლაგოდეხის რაიონში უმთავრესათ მისდევენ მეთამბაქოობას, აფენის რაიონში-კი სიმინდის მოყვანას და ხე ტყის მასალის დამზადებას. იწყება აგრეთვე მეაბრეშუმეობის განვითარება. ორივე რაიონში არის მხოლოდ ერთი რაიკომი, რომლის პარტ-აპარატი თავის სიმაღლეზე ვერ იდგა დღემდი, ვინაიდან მთელი ყურადღება რაიკომის მდივნისა და ინსტრუქტორისა მიქცეული ყოფილა საბჭოთა ბაზზე მთელ რაიონში ითვლება 23 კომუჯრედი. ყველა პარტიის წევრების პოლიტიკური განათლება ძლიერ სუსტია, რადგან უჯრედის სხდომებზე არ ქონიათ პოლიტ მეცადინეობა. მიუხედავათ იმისა, რომ რაიკომის მიერ ყოფილა მიმაგრებული მომზადებული ამხანაგები ყველა უჯრედებთან მუშაობის ჩასატარებლად, არაფერი არ გაკეთებულა მათ მიერ. ქის სამკითხველოები ხომ თითქმის არც კი არსებობენ და არავითარ გაზეთებსაც არ ღებულობენ, რომელიც ადგილობრივი აღმასკომის დანამატებსაც შეადგენს: არ იწერს თუნდა საკმაო რიცხვს გაზეთ „სიმართლე"ს, რომელიც ამავე მაზრაში გამოდის და რაც მოდის, ისიც არ ნაწილდება გლეხობაში, არამედ ხმარდება ადგილობრივ კანცელარიის საჭიროებას.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ამ რაიონში არსებობს კლუბები, რომლებიც პერიოდულათ, გარდა ლაგოდეხისა, სდგამს წარმოდგენებს ლაგოდეხში წარმოდგენების დადგმა მიმდინარეობს სისტემატიურათ. სცენის მოყვარენი თამაშს იწყებენ ღამის 11 საათზე, გლეხები ვერ დაიარებოდენ კლუბში, რადგან წარმოდგენა თავდებოდა დილის 3—4 საათზე, დაიარებოდენ უმთავრესათ ქალაქის ჩარჩ ვაჭრები და ინტელიგენცია. ამავე კლუბთან არსებობს ბიბლიოთეკა, რომელიც ძლიერ ღარიბია მარქსისტული წიგნებით და გაზეთებით, სამაგიეროდ სავსეა მაინც ლიტერატურით. სოფლის ინტელიგენცია და მასწავლებლობა დღემდი გარიყული იყო კულტურულ-განმანათლებელ მუშაობიდან.

ქალთა შორის მუშაობა სწარმოებს მხოლოდ თვით ქ. ლაგოდეხში და განათლებაში (ლიკბეზებში). მუშაობა გამოიხატება სისტემატიურად კრებების მართვაში. მათ არ იციან როგორ აწარმოონ მუშაობა გლეხქალებში.

პლატონ შიშნიაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

რადგან ჩვენ მიერ გაზ. „კომ." №№ 25 და 47 წამოყენებულ ბრალდებებს საყულიის სკოლის გამგე ნიქაბაძე და მასწავლებლები ვ. სვანაძე და ს. ლომიძე ქუთაისის განათლების განყოფილების პირით ყალბათ და კერძო ინტერესებით გამოწვეულათ სთვლიან, ამიტომ სიმართლის გამოსარკვევათ სამივეს ვიწვევ სამედიატორო სამართალში; ჩემის მხრით მედიატორეთ და რწმუნებულათაც ვასახელებ ამხ. ვანო გოქაძეს; დაასახელონ მათაც მედიატორე. საქმე უნდა გაირჩეს საყულიაში ერთი თვის ვადაში დღიდან წერილის გაზეთში გამოქვეყნებისა ჩვენ მიერ წამოყენებული ბრალდებებია: 1) გამგისა და უფლებო მასწავლებლების მოხიბით სკოლის საქმე არ სდგას სათანადო ნიადაგზე შენობის უქონლობა, მაგალითები ზამთარში უ... ხლობისა და სხვა. 2) კულტურულ საქმიანობას ისინი არ ეწევიან, რის გამო სოფელი კულტურული დაწესებულებებით ძლიერ ღარიბია: არ არსებობს ბიბლიოთეკა სამკითხველო, სათეატრო შენობა, ხეირიანათ მოწყობილი კოოპერატივი 3) გამგე მეტ ყურადღებას ცეკვა თამაშს და ქეიფს აქცევს (15 იანვარი). 4) ხალხს შეზღუდულება ნიქაბაძის სწავლა-განათლების შესახებ და ამაზე აგებული ბრალდება. 5) სკოლაში მასწავლებლობენ ცოლ ქმარი კლავდია ნიქაბაძე და ვ სვანაძე, რაც დაუშვებელია. 6) 9 თებერვლის გამოძიების შესახებ: ცალმხრივობა, დახურულ კარებში საქმის გარჩევა, რეზოლიუცია და სხ. და 7) ყველა ის საკითხები, რაც წამოიჭრება საქმის გარჩევის პროცესში. განაჩენი უნდა გამოქვეყნდეს გაზეთებში.

პლატონიძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 11

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა

8 აპრილი 1924 წ

დამქირავებლების განთავისუფლების შესახებ მათთან დაქირავებით მომუშავე ინვალიდების საპროცენტო ანარიცხების გადახდისაგან, რომლებიც მიკუთვნილი არიან ინვალიდობის პირველ სამ ჯგუფს

დამქირავებლების განთავისუფლების საკითხის შესახებ მათთან დაქირავებით მომუშავე ინვალიდების საპროცენტო ანარიცხებისაგან—ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს.

1. წარმოება-დაწესებულებები, მეურნეობები და ცალკე დამქირავებლები, რომლებიც სარგებლობენ, ექსპერტიზის სათანადო ორგანოების მიერ ინვალიდობის პირველ სამ ჯგუფთან მიკუთვნებულ შრომით ინვალიდების დაქირავებითი შრომით, თავისუფლდებიან აღნიშნულ ინვალიდების დასაზღვევ თანხების შეტანისაგან.
2. პირველ მუხლში აღნიშნული ინვალიდები, მუშაობის განმავლობის დროს, კარგავენ ინვალიდობის გამო პენსიის მიღების უფლებას, ხოლო დანარჩენ დაზღვეულებთან ერთად სარგებლობენ დამატებითი, საექიმო და დროებითი შრომის უნარის დაკარგვის დროს ყოველგვარი დახმარებებით.
3. იმ შემთხვევაში, როდესაც პენსიის ფულების მქონე ინვალიდები სტოვებენ სამუშაოს ან სამსახურს, სოცდაზღვევის სათანადო ორგანოები განუახლებენ მათ პენსიის მიცემას.
4. იმ შემთხვევაში, როდესაც სამსახურიდან ითხოვენ პენსიის ფულების არამქონე ინვალიდები, ეს უკანასკნელნი შრომის ბირჟაში თავის დროზე რეგისტრაციის შემდეგ, უბრუნდებიან ფულის დანარჩენ უმუშევრებთან ერთად სადაზღვევო სტაჟის მიუხედავათ.
5. ყველა განკარგულებანი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამა დადგენილებას უქმდებიან

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი ა. მიქაძე.

რესპ. სოცდაზღვევის სამმართვ. უფროსი გოგიბერიძე.

სოცდაზღვ. სამმართვ. საორგან. ზაც. საინსტრუქ. განყოფილების გამგე ს. კილაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

სახელ. უნივერსიტეტის და მუშფაკის კომუჯრედის ბიურო ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს. 9 აპრილს, საღამოს 7 საათზე ქართულ მუშათა ფაკულტეტის შენობაში (ყოფილ რეალურ სასწავლებელში) შესდგება კომუჯრედის გაერთიანებული კრება და ყველა წევრებს და კანდიდატებს ევალებათ გამოცხადდნენ დანიშნულ დროზე.

კომუჯრედის მდივანი მ. ოდილავაძე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი, კატეგორიულად აძლევს წინადადებას ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს 2 დღის განმავლობაში გამოცხადდნენ საალრიცხვო სტატისტიკურ ქვეგანყოფილებაში აღრიცხვაზე ასაყვანად, როგორც პასუხისმგებელი ამხანაგები და იატაკქვეშ მომუშავენი.

1. ფართანიანი ც ნ., 2. ამას ა. ს., 3. ავეტისოვი ხ. ა., 4. აფანასიევი ს. დ., 5. არჩვაძე ვ დ., 6. ანსონ კ. კ., 7. მირიმანოვი კ. ნ., 8. აშუკინ ნ. ი., 9. ალავერდოვი ს. დ., 10. არჩაძე ნ., 11 ავაქოვი ა., 12. ახმეტელი ა. შ., 13. ბაბაჯანიან ლ. ა. 14 ბრეგვაძე ა. გ., 15. ბერძენიშვილი პ. ავ., 16 ბახტაძე კ. ი., 17, ბახტაძე ი. ლ., 18, ვარსიმაშვილი მ. ზ., 19, ვოლკოვი მ. ა., 20, გურული სპირიდონ, 21, გუბინ კ. ი., 22, გოპაძე შ, გ, 23. გაბუნია გ. გ., 24 ჯაფარიძე ს. ა., 25, დიმიტრაშვილი სოლომონ, 26, დუდუჩავა ა. ი., 27 ჯაფარიძე მ. გ., 28, დოლიძე ვ გ, 29, ჯაფარიძე ა., 30 დოლიძე ი., 31. დუბენსკაია ფ. მ., 32, ეგოროვი ნ. ლ., 34, ერმოლაევი პ. პ., 34, ზახაროვი ა. ს., 35, ზალმეტერ ა. კ., 36, ზახაროვი მ. ავ., 37, ეროშოვი ა. მ., 38, კილოსანიძე გ. გ., 39, კიკნაძე ი. დ., 40, კარპ მ. ა., 41, კიკნაძე გ. დ., 42. კ. ხიანი ა. ს., 43, კალანდაძე კ. გ., 44, კარაკაშ მ. ლ., 45, კუპრავა რ. მ., 46, კრიკოროტოვ ი. ა., 47, კიკნაძე მ დ., 48, კრილოვი ა. პ., 49, კ ჭარავა ა. ი., 50, კაკაბაძე ა. შ., 51, კეჩექმაძე ტ. ს., 52, ლიადოვსკაია გ. რ. 53, ლვინ გ. ლ., 54, მკრტჩიან ნ. მ. 55, მორჩილაძე ლ. ა., 56, მაჩაიძე ბ. ბ., 57, მესიავ ტ. ა., 58. მიქელიან ს. ე., 59, მისკინ ე., 60. მიქაძე დ. ი. 61, მხეიძე პ. ლ. 62. მიროტაძე გ. მ., 63. ნაზარეტიანი კ. მ., 64, ოკუჯავა ო. ს., 65, ორლოვა-მიხაილოვი გ. გ., 66. პეტროსიანი რ. ა., 67, პატარაია ნ. გ., 68, პოკროვსკი ა. გ., 69, პრედტ მ. ა., 70. რუსტანოვიჩ გ. ო., 72. რაჭავა აკვ ენტი, 72, სვრიძ ა. კ., 73, სვრომპიან ხ. ა., 74, სპირიდონოვ კ. მ. 75, სალარიძე, 76, სარუხანოვ გ. ა., 77, ტერ-აკოფოვი ა. ი., 78, ტერნოვი ა. ი., 79, თალაკვაძე ი. ს., 80, თალაკვაძე ს. ს., 81. ტერ-არუტინოვი ა. მ., 82, თაყაიშვილი ა. ნ., 83., უნაპკიშვილი ლ. ფ., 84, ფედოროვა მ. ა. 85, ხარაზიან ტ. გ., 86, ჩოდრიშვილი გ, მ., 87. ხრუცკი გ. ნ., 88, ხ ჩატუროვ ა. გ.. 89, ცინცაძე არუსიაკ, 90, შანნაზაროვა ა. კ: 91, შვეტაკოვი ი. პ., 92, კადეიშვილი ი ნ. 93, აპინა ვ. ი., 94, ბელატოვა ვ. გ., 95. მელიტ ა. ა. 96, შონია ა. პ., 97, ვინიძე გ. ა., 98, კაწარავა კ., 99. ჯაფარიძე ს., 100, რეინვალდ ა. ვ., 101, მაგნოვსკი მ. გ., 102, მოროზოვ ი. 103, მირიმანოვი ბ.

პასუხისმგებელი მდივანი გ. სტურუა.

საქართველოს კომპარტიის თბილ. ორგ. ნაძალადევის არსენალის რაიკომი ატყობინებს, რომ ოთხშაბათს, 9 აპრილს, საღამოს სრულ 5 ნახ. საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში შესდგება ბიუროების, დელეგატების, არსენალის რაიონის კომუჯრედების მდივნების კონფერენცია. სავალდებულოა ყველას გამოცხადება.

მდივანი მასხულია.

არსენალის რაიკომი წინადადებას იძლევა, რომ ერთიან პარტიულ დღეს, (პარასკევს, 11 აპრილს) დასმულ იქნეს არსენალის რაიონის ყველა უჯრედებში ნაციონალური საკითხი.

მოხსენებები აღნიშნულ საკითხის შესახებ დაევალოს უჯრედების წევრებს, თანამოხსენებლად წამოყენებულ იქნენ პასუხისმგებელი მიმაგრებული.

მდივანი მასხულია.

ოთხშაბათს, 9 აპრილს ცენტრალურ პარტიულ კლუბში ამხ. ნოვიკოვი წაიკითხავს მოხსენებას ლენინიზმის შესახებ.

შესვლა პარტიული ბილეთებით და იმ ბილეთებით, რომლებიც გაეგზავნათ რაიონებს. შესვლა შეუძლიათ აგრეთვე ახალგაზრდათა კომკავშირის წევრებს.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პარტკლუბის გამგეობა.

ოთხშაბათს, 9 აპრილს ცენტრალურ პარტიულ კლუბში შესდგება ლენინიზმის შემსწავლელ წრეების ხელმძღვანელთა მოსამზადებელ კურსების პირველი საორგანიზაციო კრება.

ყველა იმ ამხანაგებს, რომელნიც ჩაწერილნი არიან ამ კურსებზე და ლენინიზმის შესწავლის მაღალი ტიპის წრეებში, წინადადება ეძლევათ გამოცხადდნენ საღამოს სრულ 6 საათზე პარტიული კლუბის მცირე დარბაზში.

პარტკლუბის გამგეობა

განცხადებები

სახელმწიფო ოპერა

პარასკევს, 18 აპრილს 1924 წ.

რუსეთის სახელმწიფო თეატრების დამსახურებულ მსახიობის

ი. პ. ფალიაშვილის

35 წლის იუბილეისათვის

ოპერა

აბესალომ და ეთერი

ქ. მარჯანიშვილის ახალი დადგმით

ბილეთები იყიდება

ნ. 1004—1—1

ვ. ი. ლენინის სახელობ. საოპერო თეატრი

დღეს, 9 აპრილს

რიმსკი კორსაკოვის ოპერა

ოქროს მამალი

ქ. მარჯანიშვილის და შ. დადიანის დადგმით

ხუთშაბათს, 10 აპრილს —

სილვა

ნ. 1008—2—1

სამკურნალო საზოგადოების

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობა

„ზაკგოსტორგი"

ლორის მელიქოვის ქ № 5.

მიღებულია საზღვარ-გარეთიდან: „გოგირდის ფერი"

გოგირდის სუბლიმატი, უმაღლესი ხარისხის „ზუდას" და იტალიის ფირმების მარკის ფასი: ა) ფრანკო ვაგონი ბათუმი 2 ძ. 8 აპ (ჩერვ.) ფუთი სახელმწ. და კოოპერატიულ ორგანიზაციებს და 3 მან. ფუთი—კერძო პირებს. ბ) ფრანკო თბილისი „ზაკგოსტორგის" საწყობი 3 მან (ჩერვ) ფუთი სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციებს და 3 მან. 20 კ. ფუთ. კერძო პირებს.

ინგლისური შაბიამანი

ფრონტის მარკის ფასი: ფრანკო ბათუმი „ზაკგოსტორგის" საწყობი 5 მ. 20 კ. (ჩერვ) ფუთი სახელმწ. და სხვა და კოოპერატ. ორგანიზ. და 6 მ (ჩ. ვ) ფ. კერძო პირებს.

ნის. 1006 1—1

სახელმწიფო გამომცემლობა

მზადდება დასაბეჭდათ ახალი წიგნი:

ნ ჟორდანია და დევდარიანი

საქართველოს საკითხი.

შინაარსი:

ნ. ჟორდანია — — — — — ჩემი პასუხი.

ს. დევდარიანი — — — — — ეს პასუხი არ არის.

ს. დევდარიანი — — — — — ნ. ჟორდანიას „ეროვნული საკითხები" და საქართველოს გზა.

3—1

საქართველოს მეღვინეთა ამხანაგობა „მეყურძნე"-ს

გამგეობა ამით აცხადებს, ამხანაგობის წევრთა საყურადღებოდ, რომ 14 აპრილს 24 წელს, სოფელ თუქურმიშში (სიღნაღის მაზრა) შესდგება მორიგი

წლიური კრება

დღის წესრიგი:

1) გამგეობის მოხსენება.
2) საბჭოს და სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3) 1922 წ. პირველ მაისისათვის შედგენილ ბალანსის ხელმეორედ გადასინჯვა.
4) 1922 წ პირველ მაისიდან 1924 წ. 1 ლ იანვრამდე ანგარიშებ ს განხილვა და დამტკიცება.
5) მოქმედების გეგმა.
6) ხარჯთ-აღრიცხვა.
7) მიმდინარე საკითხები.
8) არჩევნები.

ამხ. „მეყურძნე"-ს გამგეობა.

ნის 1005—1 1

საქართველოს წ. თეთრი ჯვრის ს ზოგ. დოებების სავაჭრო-სამრეწველო წარმოება

„ტეხნო-ქიმიკოსი"

საოჯახო საქონლის წარმოება და ვაჭრობა.

მთავარი საწყობი და მმართველობა თბილისში, პლეხანოვის პროსპ № 106 (ყ. მიხეილოვის პროსპ) ტელეფ 13—63.

განყოფილება ბათუმში, ტროცკის ქ. № 14, (ყ. მიხეილის ქ).

ნის.—1007—1—1

სახელმწ. უნივერსიტეტის

კბილის სნეულებათა კლინიკაში

(პლეხანოვის პროსპ. № 126)

ავადმყოფების მიღება სწარმოებს დილის 9—1 საათ. და საღამოთი 4 6 ძდე

748 20 3

ექიმი

კ. გ. ვართანოვი

სიფილისის, კანისა და ვენერიული სნეულებ. ნი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—10 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: სურამის ქ № 9 ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად. 746—25—5

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

სამკურნალო კაბინეტი დაარსებული

მიხეილ გადევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მკურნალობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ უიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ვორონცოვის ქ. № 20. 126—25—3

დაეკარგა პირადობის მოწმობა ონის აღმასკომიდან № 845. ჩაითვალოს გაუქმებულად. დათიკო ხარების ძე ჯოხაძის სახელზე. 811—1—1

დაეკარგა პირადობის მოწმობა მოცემული ქ. ყარსის მართველობიდან № 117 კაზარ მათეოსის ძე ესაიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 812—1—1

სტამბა „ზარია ვოსტოკის" სანა წულუკიძის ქუჩა № 4.